

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლ. ენუქიძე

ქირითადი სინტაქსური თეორიები
თანამედროვე საზღვარგარეთულ
ენათმეცნიერებაში

46



თბილისი
„მეცნიერება“

1987

ნაშრომში გაანალიზებულია უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე (1930—1980 წწ.) შექმნილი სინტაქსური თეორიები საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. იგი ორ მიზანს ისახავს: 1. მოგვცეს ამ პერიოდში დამუშავებულ სინტაქსურ მოძღვრებათა ანალიზი და 2. აღნიშნულ თეორიათა პრაქტიკული ღირებულების შეფასების მიზნით თანამედროვე სინტაქსის ძირითადი ცნებები და პროცედურები გამოიყენოს ქართული ენის მასალის ანალიზისას.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი მ. მაჭავარიანი

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატები:

ლ. კვანტალიანი
ნ. ჭანიშვილი

შესავალი

„სინტაქსი გრამატიკის უძველესი დარგთაგანია. იგი ჯერ კიდევ ფილოლოგიურ გრამატიკებში იყო გამოყოფილი. მიუხედავად ასეთი ხანდაზმულობისა, სინტაქსის ამოცანები, მისი ძირითადი ცნებები და ანალიზის პროცედურები დღესაც სპეციალისტთა შორის პრინციპული დავის საგანს წარმოადგენს. ასეთ ვითარებაში სინტაქსის პრობლემატიკის დამუშავების ყოველი ახალი ცდა საგანგებო ყურადღებას იქცევს“ [39, გვ. 311].

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებისათვის ძირითად სინტაქსურ მოძღვრებათა ანალიზის საფუძველზე სინტაქსის საგნის გაგებაში გამოიკვეთა ოთხი მიმართულება:

1. სინტაქსი შეისწავლის ნებისმიერ შესიტყვებათა სისტემას. წინადადება ამ შემთხვევაში არის შესიტყვების ერთ-ერთი სახეობა.
2. სინტაქსი შეისწავლის წინადადებებს და წინადადებათა შიგნით სიტყვათა შეერთებებს; შესიტყვება გაიგება როგორც წინადადების ნაწილი.
3. სინტაქსში ცალ-ცალკე შეისწავლება შესიტყვება და წინადადება; პირველი წარმოადგენს არაკომუნიკაციური დონის ერთეულს, ხოლო წინადადება კომუნიკაციურ დონეს განეკუთვნება [144, გვ. 128].
4. „შესიტყვების აგებულება (სიტყვათა ურთიერთობა შესიტყვებაში აგებულების მხრივ) სინტაქსის ობიექტადაა მიჩნეული, ხოლო შესიტყვების მნიშვნელობა (ანალიზი შესიტყვებისა გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით); აგრეთვე მნიშვნელობა ბრუნვათა, დროთა, კილოთა, გვართა, ქცევათა... მნიშვნელობა დამხმარე სიტყვათა (კავშირთა, თანდებულთა) და ნაწილაკთა, რამდენადაც მნიშვნელობა შესიტყვებაში ირკვევა, სტილისტიკის საგანია“ [41, გვ. 261].

წინადადებისა და მისი შემადგენელი ნაწილების განსაზღვრის საკითხში ძირითადია სამი მიმართულება: ლოგიკისტური, ფსიქოლოგისტური, და ფორმალისტური (ენობრივ-გრამატიკული) [41, გვ. 228]. შესაბამისად წინ წამოწეულია რიგ შემთხვევაში წინადადების (შესიტყვების) ფორმალურ-სტრუქტურული თავისებურება, რიგ შემთხვევაში ფუნქციას გაესმის ხაზი.

ძირითადი სინტაქსური თეორიები როგორც საზღვარგარეთულ ისე

სამამულო ენათმეცნიერებაში მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე მონოგრაფიულადაა შესწავლილი არნ. ჩიქობავას ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, რომელიც პირველად 1928 წელს გამოვიდა. ამიტომ ჩვენ ამ წლებამდე არსებულ თეორიებს არ განვიხილავთ. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან ახალი საენათმეცნიერო მიმდინარეობების ჩამოყალიბების კვალდაკვალ რიგი ცვლილება შეინიშნება სინტაქსის საგნის განსაზღვრაში, შესაბამისად იცვლება კვლევის მეთოდებიც. ჩვენს მიზანს წარმოადგენს ძირითად სინტაქსურ თეორიათა კრიტიკული ანალიზი და აღნიშნულ თეორიათა პრაქტიკული ღირებულების შეფასება ძირითადი ცნებებისა და ანალიზის პროცედურების ქართული ენის მასალაზე შემოწმების გზით.

სინტაქსის საბანი და კვლევის მეთოდები
სტრუქტურალიზმის ძირითად სკოლებში

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ენათმეცნიერებაში ჩასახულ ერთ-ერთ ძირითად მიმდინარეობად აღიარებულია სტრუქტურალიზმი, რომელიც სამი სკოლით არის წარმოდგენილი: პრაღის საენათმეცნიერო წრე, კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმი და ამერიკის დესკრიფციული ენათმეცნიერება. მიუხედავად ამოსავალი თეორიული პრინციპების მსგავსებისა, სინტაქსის საგნისა და კვლევის მეთოდების საკითხში ამ სკოლათა შორის რიგ შემთხვევაში არსებითი სხვადასხვაობა შეინიშნება. ზოგჯერ კი განსხვავება ოდენ ტერმინოლოგიურ სხვაობაში გამოიხატება. ჩვენს მიზანს შეადგენს მოკლედ გადმოვცეთ ამ მიმდინარეობათა ძირითადი თვალსაზრისები სინტაქსის პრობლემათა შესახებ, მოვახდინოთ მათი შედარებითი ანალიზი და ვაჩვენოთ, რა გავლენა მოახდინა თითოეულმა სინტაქსის პრობლემატიკის შემდეგდროინდელ განვითარებაზე.

§ 1. პრაღის საენათმეცნიერო წრე

როგორც ცნობილია, სტრუქტურალიზმის სკოლებიდან ყველაზე ადრე პრაღის საენათმეცნიერო წრე ჩამოყალიბდა (1926 წ.). საყურადღებოა ამ სკოლის პროგრამაში — „პრაღის ლინგვისტური წრის თეზისებში“ — გამოთქმული თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ. თეზისებში აღნიშნულია: ლინგვისტურ ანალიზს ფუნქციონალური თვალსაზრისით უნდა მიეუდგეთ, რადგან ენას გარკვეული მიზანდასახულობა აქვს. „ენა არის გამოხატვის საშუალებათა სისტემა, რომელიც გარკვეულ მიზანს ემსახურება“ [118, გვ. 17], ამიტომ წინადადების და მისი წევრების ანალიზისას მთავარი ყურადღება ფუნქციის ექცევა, ხოლო სინტაქსს თვით თეზისებში ფუნქციონალური სინტაქსი ეწოდება.

სიტყვათა შეერთება, აღნიშნულია თეზისებში, სინტაგმატური ქმედების საფუძველზე ხდება. ხშირად ეს ქმედება ცალკეული სიტყვის

სახითაც გამოვლინდება. ძირითადი სინტაგმატური ქმედება, რომელიც ქმნის წინადადებას, გამოხატულია პრედიკაციით. ამიტომ ფუნქციონალური სინტაქსი უპირველესად ყოვლისა შეისწავლის შემასმენელთა ტიპებს, ამასთან მხედველობაში იღებს გრამატიკული ქვემდებარის ფუნქციასა და ფორმას. ქვემდებარის ფუნქცია ყველაზე კარგად გამოვლინდება, თუ წინადადების აქტუალურ დანაწევრებას თემად და გამონათქვამად შევადარებთ წინადადების ფორმალურ დანაწევრებას გრამატიკულ ქვემდებარედ და შემასმენლად. (ჩეხურში გრამატიკული ქვემდებარე არ არის ისეთივე თემატური, როგორც ფრანგულსა და ინგლისურში) [118, გვ. 22].

წინადადების აქტუალური დანაწევრების ცნება, რომელიც არსებითია ფუნქციონალური სინტაქსისათვის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ნაყოფიერი აღმოჩნდა, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ეს ცნება მეტად პროდუქტიული გახდა, ამიტომ მასზე უფრო ვრცლად ვიმსჯელებთ.

აქტუალური დანაწევრების შესახებ დაწერილებითი მსჯელობა მოცემულია პრადის საენათმეცნიერო წრის ფუძემდებლის ვ. მათეზიუსის შრომებში [99, გვ. 239—245].

მათეზიუსის აზრით, წინადადების აქტუალური დანაწევრება უნდა დაუპირისპირდეს მის ფორმალურ დაყოფას. ფორმალური დაყოფა ანაწევრებს წინადადებას გრამატიკულ ელემენტებად, აქტუალური დანაწევრება კი არკვევს საშუალებებს, რომლითაც წინადადება უნდა ჩაერთოს იმ საგნობრივ კონტექსტში, რომლის ბაზაზეც იგი წარმოიშვა.

წინადადების ფორმალური დაყოფის ძირითადი ელემენტებია გრამატიკული სუბიექტი და გრამატიკული პრედიკატი, ხოლო აქტუალური დანაწევრების ძირითადი ელემენტები არის ამოსავალი პუნქტი (წერტილი) ანუ გამონათქვამის საფუძველი — ის, რაც მოცემულ სიტუაციაში ცნობილია ან, უკიდურეს შემთხვევაში, ადვილი გასაგებია მსმენელისათვის, და გამონათქვამის ბირთვი ანუ ის, რასაც მეტყველი გვამცნობს გამონათქვამის საფუძვლის შესახებ. გამონათქვამის საფუძველი შეიძლება დაემთხვეს გრამატიკულ ქვემდებარეს, ხოლო გამონათქვამის ბირთვი — გრამატიკულ შემასმენელს, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის. შეიძლება ბირთვი ქვემდებარემ წარმოადგინოს, ხოლო საფუძველი — შემასმენელმა. ასეთ შემთხვევაში რიგ ენაში შეიძლება შეიცვალოს წინადადებაში სიტყვათა რიგი, ინტონაციური კონტური, მაგრამ გრამატიკული ქვემდებარე და გრამატიკული შემასმენელი ფორმალურად არ იცვლება [99, გვ. 239]. გამონათქვამის თემად (საფუძვლად) შეიძლება გვევლინებოდეს მეტყველი ან თანამო-

საუბრე, რომელიც წინადადებაში აღინიშნება ზმნის პირიანი ფორმით, კერძოდ ზმნის პირველი ან მეორე პირის ფორმით. თემა შეიძლება გამოიხატოს მესამე პირის ფორმითაც, თუ საქმე ეხება მეტყველების პროცესში უკვე დასახელებულ პირს ან საგანს. ენებში, სადაც თხრობით წინადადებაში ზმნის პირიან ფორმასთან ყოველთვის დგას დამოუკიდებლად გამოხატული ქვემდებარე, ჩვეულებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე. სხვა მდგომარეობაა იმ ენებში, სადაც თხრობით წინადადებაში ზმნის პირიანი ფორმა მოითხოვს დამოუკიდებლად გაფორმებულ ქვემდებარეს მხოლოდ 'განსაკუთრებულ შემთხვევაში. ასეთ ენებში (ჩეხური ასეთ ენას განეკუთვნება) თემა ცალკე არ გამოიხატება და აისახება სიტყვის მორფოლოგიურ ასპექტში, რომელიც გამონათქვამის ცენტრს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში წინადადებაში გამოიყოფა მხოლოდ ბირთვი [99, გვ. 243—344].

განსაკუთრებით მდიდარ მასალას აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით იძლევა ჩვეულებრივი, ყოველდღიური მეტყველება, როდესაც სამეტყველო სიტუაცია უფრო მდიდარია. სიტუაციას ეკუთვნის ყველაფერი ის, რაც, როგორც ცნობილია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეტყველების პროცესში. აქტუალიზაციის აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება შინაგანი მაჩვენებლები, რაც გამოიხატება ემოციური შეფერილობით. შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე გარეგნული მაჩვენებლებიც.

ამოსავალი წერტილი (საფუძველი) და მისი ბირთვი (განსაკუთრებით რთულ წინადადებაში) სხვადასხვაგვარი თანმიმდევრობით გვხვდება, მაგრამ ჩვეულებრივი თანმიმდევრობა ასეთია: დასაწყისს წარმოადგენს ამოსავალი პუნქტი, შემდეგ მოდის ბირთვი. ასეთ რიგს მათეზიუსი უწოდებს ობიექტურს. ამ შემთხვევაში გადასვლა ხდება ნაცნობიდან უცნობზე, რაც უადვილებს მსმენელს გაგონილის გაგებას. შესაძლებელია გამონათქვამში ჯერ ბირთვი იყოს წარმოდგენილი, შემდეგ კი — საფუძველი. ეს სუბიექტური თანმიმდევრობაა. მეტყველი ისეა გატაცებული ახლის თქმის სურვილით, რომ არღვევს ჩვეულებრივ რიგს. ასეთი თანმიმდევრობა გამონათქვამის ბირთვს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს [97, გვ. 485]. სხვა ნაშრომში ობიექტურ თანმიმდევრობას მათეზიუსი არამარკირებულს უწოდებს, სუბიექტურს — მარკირებულს [98, გვ. 252—253].

მათეზიუსი ვახაზავს, რომ საშუალებანი, რომლითაც გამოიხატება სუბიექტური და ობიექტური თანმიმდევრობა აქტუალური დანაწევრებისას სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა. ამ სფეროს განეკუთვნება არა მარტო სიტყვათა რიგი, არამედ პასიური პრედიკაციის გამოყენება.

სხვადასხვაგვარია აქტუალური დაყოფა მარტივ წინადადებაში [98, გვ. 246].

როგორც ცნობილია, პრალის სკოლა იცავს ენისა და მეტყველების დაპირისპირების პრინციპს, რაც ვლინდება როგორც სინტაქსის ობიექტის დადგენისას, ისე წინადადების განსაზღვრისას. მათეზიუსი აღნიშნავს, რომ ყველა ცნობილი ენათა სისტემა შექმნილია არა გამოხატულების, არამედ ურთიერთობის მიზნით. ყოველი გამონათქვამი ორი აქტისაგან შედგება... ერთის მიზანია კონკრეტული ან აბსტრაქტული სინამდვილიდან ააჩიოს მონაკვეთი, რომ მასზე შეაჩეროს მომავალი მეტყველის ყურადღება და დააფიქსიროს ეს ენობრივი საშუალებით, მეორე აქტი მდგომარეობს იმაში, რომ ენობრივი ნიშნები, რომლითაც აღინიშნება სინამდვილის მონაკვეთები ურთიერთკავშირში შევიდნენ, რის შედეგადაც ორგანულად იქმნება მთელი ერთეული — წინადადება [100, გვ. 228]. იშვიათ შემთხვევაში გარკვეული რეალობის აღსანიშნავად გამოყენებულია ერთადერთი სიტყვა, რომელიც თავისთავად იქცევა წინადადებად. კვლევისას გადამწყვეტი არის საკომუნიკაციო მოთხოვნილებანი, ამიტომ: 1. მეტყველებიდან, როგორც უშუალოდ მოცემულისაგან, მივდივართ ენისაკენ, რომელიც სისტემის სახით რეალურია მხოლოდ იდეალურ პლანში, 2. ფუნქციონალური მოთხოვნილებებიდან მივდივართ ფორმალური საშუალებებისაკენ, რომელთა გზითაც ფუნქციონალური მოთხოვნილებანი კმაყოფილდება. ამ გზით დადგენილ ლინგვისტურ დისციპლინებს შეიძლება ეწოდოს ფუნქციონალური ონომატოლოგია და ფუნქციონალური სინტაქსი [100, გვ. 229].

მათეზიუსის აზრით, სინტაქსის ცენტრალური პრობლემა, რა თქმა უნდა, არის წინადადების პრობლემა. წინადადების ისეთი განსაზღვრის ძიება რომლითაც იხელმძღვანელებდა ენათმეცნიერება, ჯერ კიდევ გრძელდება. არის არაერთი ცდა წინადადების განსაზღვრისა და არსებობს ამ განსაზღვრათა კრიტიკული მიმოხილვებიც [100, გვ. 236].

მათეზიუსის აზრით, წინადადება არ ეკუთვნის მხოლოდ მეტყველებას, იგი დაკავშირებულია ენის გრამატიკულ სისტემასთან. ენაში სიტყვა გამოდის თავის კონცეპტუალურ ასპექტში, წინადადება გვევლინება როგორც აბსტრაქტული მოდელი. მეტყველებაში სიტყვა ეთანადება კონკრეტულ სინამდვილეს, წინადადება რეალიზდება როგორც კონკრეტული გამონათქვამი.

რა ადგილი უჭირავს წინადადებას გრამატიკულ სისტემაში? არ არსებობს ენა, რომელსაც წინადადების ასაგებად ერთადერთი მოდელი ჰქონდეს. ენათმეცნიერებაში უკვე არ მიაჩნიათ აუცილებლად

წინადადებისათვის მასში *verbum finitum*-ის არსებობა, თუმცა უზმნო წინადადებას ბევრი ენათმეცნიერი ჯერ კიდევ ზემოდან უყურებს (იესპერსენი ასეთ წინადადებას „ამორფულს“ უწოდებს) და მათ სისტემურ შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცევა; მაგრამ ზოგ ევროპულ ენაში უზმნო წინადადება გამოხატავს გრამატიკული სისტემის არსს. მათი შეცვლა სხვა ტიპის წინადადებით არ შეიძლება (რუსულში, ნაწილობრივ ჩეხურში, ინგლისურში). აქედან დასკვნა: ყველა ენას წინადადებისათვის თავისი ფორმა, თავისი მოდელი აქვს [100, გვ. 236].

წინადადების განსაზღვრის სირთულეზე მსჯელობს პრადის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვ. სკალიჩკა ნაშრომში „ენობრივ ერთეულთა ასიმეტრიული დუალიზმი“ [113]. არსებობს კონსტრუქციები, აღნიშნავს იგი, რომელთა შესახებ ენათმეცნიერები ვერაფრით ვერ შეთანხმებულან, წინადადებები არიან ისინი თუ არა. ასეთებია ე. წ. ერთწევრიანი წინადადებები. ჭავჭავაძის აზრით, წინადადება არის მინიმალური ენობრივი ერთეული, რომელიც შეიცავს რაიმე მოდალურ თვალსაზრისს (რეაქციას) საგანსა ან მოვლენაზე¹; წინადადება ჩვეულებრივ გამოიხატება კლიშე-წინადადებით, მაგრამ ეს ყოველთვის არ ზორციელდება. მაგ., გამონათქვამში „ცეცხლი!“ არსებითი სახელი იკავებს მთელი წინადადების ადგილს. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ასიმეტრიულ დუალიზმთან¹. წინადადებას აქვს აზრობრივი საფუძველი, კლიშე-წინადადებას — ფორმალური. ის, რომ გამონათქვამი „ცეცხლი!“ არის წინადადება, ისევე როგორც კონსტრუქცია „იქ არის ცეცხლი!“ წინადადების ინტონაციით დასტურდება [113, გვ. 127].

წინადადება, რომელსაც აქვს დარღვეული კლიშე, ემოციური სტილის გამოხატველია.

წინადადება — კლიშე-წინადადების დონეზე გვაქვს გარკვეული აკუსტიკურ-მოტორული ერთეული, წინადადების ინტონაცია. იგი თითქმის ყოველთვის ახლავს წინადადებას, მაგრამ არასოდეს მის კლიშეს. იქ, სადაც წინადადება არ ემთხვევა მის კლიშეს, ინტონაცია იღებს თავის თავზე წინადადების, როგორც ასეთის, დახასიათების ფუნქციას.

ყველა ენაში არსებობს წინადადების აგების თავისი საკუთარი, აუცილებელი ტიპები (კლიშეები) [114, გვ. 194].

¹ ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმი ს. კარცევისკის ტერმინია. გახაზულია ის ფაქტი, რომ ენობრივი ნიშნის ფორმალური და შინაარსობრივი მხარე ყოველთვის სიმეტრიული არ არის. გვაქვს ომონიმიის და ომოსემიის შემთხვევები [114, გვ. 119—121].

ჩვენ არ შევეუდგებით სინტაქსის პრობლემებზე პრალის საენათმეცნიერო წრის წარმომადგენელთა ნააზრევის უფრო დაწვრილებით განხილვას [იხ. 104, გვ. 111—114; 118; 135, გვ. 138—148]. ჩვენი აზრით, მოკლედ გადმოცემულ თვალსაზრისთა ანალიზის ხაფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: პრალის საენათმეცნიერო წრეში შენარჩუნებულია გრამატიკის ტრადიციული დაყოფა სინტაქსად და მორფოლოგიად. გვაქვს სინტაქსის და მისი მთავარი ობიექტის — წინადადების განსაზღვრის საინტერესო ცდები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქტუალური დანაწევრების და კლიშე-წინადადების ცნების გამოყენება. წინადადების განსაზღვრასთან დაკავშირებული ბევრი რთული საკითხი ასიმეტრიული დუალიზმის გამოყენების გზით სარწმუნო ინტერპრეტაციას იღებს.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკითხზე. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება მათეზიუსის მსჯელობა: გამონათქვამის თემად შეიძლება გვევლინებოდეს მეტყველი ან თანამოსაუბრე, რომელიც წინადადებაში აღინიშნება ზმნის პირიანი ფორმით, კერძოდ, ზმნის პირველი ან მეორე პირის ფორმით. თემა შეიძლება გამოიხატოს მესამე პირის ფორმითაც, თუ საქმე ეხება მეტყველების პროცესში უკვე დასახელებულ პირს ან საგანს. ასეთ შემთხვევაში წინადადებაში გამოიყოფა მხოლოდ ბირთვი (იხ. ზემოთ, გვ. 7). ბუნებრივია, ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აქტუალური დანაწევრების სურათი სხვაგვარი იქნება ენებში, სადაც ზმნის პირის საშუალებით გამოიხატება არა მარტო სუბიექტი, არამედ ობიექტებიც, რომლებიც რემის (ბირთვის) შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ეს არის ერთ-ერთი საკითხი, რომელზედაც უნდა გამახვილდეს ყურადღება, როდესაც აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით განვიხილავთ ქართული ენის მასალას.

§ 2. კოპენჰაგენის სკოლა

როგორც ცნობილია, ევროპული სტრუქტურალიზმი — პრალის საენათმეცნიერო წრე და კოპენჰაგენის სკოლა ემყარება ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტურ თეორიას. ამიტომ, როგორც მოსალოდნელია, ამ სკოლათა შორის რიგ საკითხში გარკვეული მსგავსება შეინიშნება [38, 79, 104]. ამას ვერ ვიტყვი სინტაქსის პრობლემატიკის შესახებ.

კოპენჰაგენის სკოლას ორიგინალური სინტაქსური თეორია არ შეუქმნია, ამდენად არც განსაკუთრებული გავლენა მოუხდენია სინტაქსის შესახებ მეცნიერულ აზრის განვითარებაზე. მარტინეს აზრით,

:გლოსმატიკა აუქმებს სინტაქსს, რომელიც არსებითად ითქვიფება ვარიანტთა (გაპირობებულ ვარიანტთა) და მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრებაში [96, გვ. 451].

მიუხედავად ასეთი თვალსაზრისისა, პროცედურა, რომლითაც ხდება ტექსტის აღწერა კოპენჰაგენის სკოლაში საინტერესოა და გარკვეულ პარალელს პოულობს ამერიკის დესკრიფციული ენათმეცნიერების მეთოდოლოგიასთან, თავის დროზე საკმაოდ პოპულარულ უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზთან, ხოლო თეორიის მიზნის ფორმულირება წარმომავლობი გრამატიკის პრინციპებს ეთანადება [125].

კოპენჰაგენის საენათმეცნიერო წრის ერთ-ერთი ფუძემდებლის უილ. იელმსლევის შრომაში „ენის თეორიის პროლეგომენებში“ აღნიშნულია: ობიექტი, რომელიც აინტერესებს ლინგვისტურ თეორიას, არის ტექსტი. ლინგვისტური თეორიის მიზანია შექმნას პროცედურული მეთოდი, რომლის საშუალებითაც არაწინააღმდეგობრივად და ამომწურავად აღიწერება როგორც მოცემული, ისე ნებისმიერი ტექსტი, ისეთიც რომელიც მომავალში შეიქმნება. ტექსტების (ანუ პროცესების) ანალიზის შედეგად უნდა მივიღოთ ცოდნა სისტემის ანუ ენის შესახებ, რომლის საფუძველზეც არის აგებული გარკვეული ბუნების ყველა ტექსტი და რომლის საშუალებითაც უნდა შექმნას თეორიულად შესაძლებელი ახალი ტექსტები. უფრო ზოგადად, ლინგვისტურმა თეორიამ უნდა მოგვცეს ნებისმიერი ტექსტის ანალიზის შესაძლებლობა ნებისმიერ ენაზე. [77, გვ. 277].

აღნიშნულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ტექსტის (ანუ პროცესის) ანალიზზე. ლინგვისტური თეორია იწყებს ტექსტიდან, როგორც მოცემული მთლიანობიდან და ცდილობს აღწეროს იგი ამომწურავად, არაწინააღმდეგობრივად და მარტივად (ემპირიული პრინციპის მოთხოვნები). ანალიზი მიმდინარეობს თანდათანობითი დაყოფის გზით, ანუ დედუქციური გადასვლით კლასიდან სეგმენტზე. მიღებული სეგმენტები კვლავ კლასებად განიხილება და ხდება მათი შემდგომი დაყოფა სეგმენტებად სანამ ანალიზი არ დამთავრდება [77, გვ. 273].

პროლეგომენებში ხაზგასმულია, რომ ტექსტის ანალიზისას არსებითია ის მიმართებანი, რომელიც მყარდება მის შემადგენელ ელემენტთა შორის ერთ დონეზე ან სხვადასხვა დონის ელემენტთა შორის. ელემენტები მხოლოდ ამ მიმართებათა საფუძველზე არსებობენ. მიმართება არსებობს როგორც ტექსტის შემადგენელ წინადადებათა შორის, ისე სიტყვათა შორის წინადადებაში და სიტყვაში მის შემადგენელ ელემენტთა შორის. ამგვარად, ტექსტი, წინადადება და სიტყვა

ერთნაირი მეთოდით აღიწერება მიმართებათა საფუძველზე [77, გვ. 284].

ტრადიციული ლინგვისტიკა, აღნიშნულია პროლეგომენებში, მეტნაკლებად განიხილავდა ამ მიმართებებს ტექსტში, რამდენადაც ისინი არსებობდნენ სიტყვათა შორის, მაგრამ სიტყვის შიგნით ამგვარი მიმართებანი არ განიხილებოდა. ამის საფუძველზე გრამატიკა იყოფოდა მორფოლოგიად და სინტაქსად ჯერ კიდევ ტრადიციული ლინგვისტიკის ანტიკური დროიდან. მიღებული იყო, რომ მორფოლოგია სისტემას შეისწავლიდა, სინტაქსი პროცესს აღწერდა. მაგრამ სიტყვის შიგნითაც არსებობს ისეთივე მიმართებანი, როგორც სიტყვათა შორის ვლინდება წინადადებაში. ტრადიციული მორფოლოგია ისევე ემყარება სელექციას (დერეკაციული ელემენტი სიტყვაში აუცილებლად მოითხოვს ძირის არსებობას), როგორც სინტაქსი: დამოკიდებული წინადადება გულისხმობს მთავარი წინადადების არსებობას [77, გვ. 287].

რადგან შესაძლებელია ტექსტის რამდენიმენაირი დანაწევრება, მისი ანალიზის პრინციპი უნდა დადგინდეს კონკრეტულ შემთხვევაში ემპირიული მოთხოვნების (ამომწურავი, მარტივი, არაწინააღმდეგობრივი) გათვალისწინებით. ეს კი მოხერხდება მხოლოდ ელემენტთა შორის მიმართებათა გათვალისწინების საფუძველზე [77, გვ. 287—288].

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის ანალიზისას საკუთრივ სინტაქსური სფერო ცალკე გამოყოფილი არ არის, არც სპეციფიკური ტერმინოლოგიაა გამოყენებული წინადადების ანალიზისათვის. ტექსტის ანალიზი მოიცავს ვრცელ, თითქმის მთელ ენობრივ კორპუსს. იგი ითვალისწინებს როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ისე შემეცნების ყველა სფეროს, რაც კონკრეტული ენის საშუალებით გამოიხატება. შემდეგ ხდება თანდათანობითი დაყოფა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრებად, მეცნიერებებად, ცალკეულ ავტორთა ნაწარმოებებად, ცალკე შრომებად, თავებად, პარაგრაფებად და ა. შ. [77, გვ. 354].

ტრადიციული ლინგვისტიკის ნაკლად ითვლება ის, რომ იგი ვრცელი ტექსტიდან აკეთებდა ნახტომს იმ დონეზე, როდესაც ხდება ტექსტის დაყოფა მარტივ წინადადებებად, იგულისხმებოდა, რომ ლოგიკურ-ფსიქოლოგიური დაყოფა დიდი მოცულობის ტექსტისა უკვე ჩატარებული იყო.

როგორც აღვნიშნა ზემოთ, სადემარკაციო ხაზი სინტაქსსა და მორფოლოგიას შორის არ გადის და არა ერთხელაა აღნიშნული, რომ თავიდან უნდა ავიცილინოთ ლინგვისტიკის დაყოფა ფონეტიკად, მორფოლოგიად, სინტაქსად, ლექსიკოგრაფიად და სემანტიკად, რადგან ასეთი დაყოფა არაღამაკმაყოფილებელია ბევრი თვალსაზრისით და

ზშირად ერთი ცნება კვეთს მეორეს [77, გვ. 318—330], მაგრამ გლოსემატიკაში ტერმინები (ცნებები) „წინადადება“, „სიტყვა“ შენარჩუნებულია. როგორ ხდება მათი იდენტიფიკაცია?

წარმოვიდგინოთ ტექსტი, რომელიც დაყოფილია რთულ წინადადებად, ისინი თავის მხრივ იყოფიან მარტივ წინადადებად, უკანასკნელი — სიტყვებად და ა. შ. დაყოფის ყოველ დონეს ელემენტთა საკუთარი ინვენტარი შეესაბამება. აღმოჩნდება, რომ ტექსტის სხვადასხვა ადგილებში გვხვდება „ერთი და იგივე“ რთული წინადადება, „ერთი და იგივე“ მარტივი წინადადება, „ერთი და იგივე“ სიტყვა და ა. შ., სხვა სიტყვებით, გვხვდება ნიმუში ყოველი რთული, ყოველი მარტივი წინადადებისა, ყოველი სიტყვისა და ა. შ. ამ ნიმუშებს ავტორი უწოდებს ვარიანტებს, ხოლო არსი, რომლის ნიმუშებსაც ისინი წარმოადგენენ — ინვარიანტებად იწოდება. ვარიანტები გამოვლინდება ტექსტის უშუალო დაყოფის შედეგად. ვარიანტებიდან ინვარიანტებზე გადასვლისას ანალიზის ყველა დონეზე უნდა იქნეს გამომუშავებული სპეციალური მეთოდი, რომელიც დაადგენს აუცილებელ კრიტერიუმებს მსგავსი შემოკლებებისათვის.

კოპენჰაგენის სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს ვ. ბრენდალს მოცემული აქვს უნივერსალური, ლოგიკური გრამატიკის შექმნის ცდა. სინტაქსის საკითხები ამ გრამატიკაში ცალკე გამოყოფილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ ბრენდალი თავის პრაქტიკულ მუშაობაში ინარჩუნებდა მორფოლოგიისა და სინტაქსის ცნებებს, შემოიტანა კიდევ ახალი ცნება „მორფოსინტაქსი“ ისეთ მოვლენათა აღსანიშნავად, როგორცაა სიტყვათა ხმარება წინადადებაში, სიტყვათა სემანტიკური ცვლილება კონტექსტში, სიტყვათა რიგი და სხვ. [58, გვ. 37—49].

კოპენჰაგენის სკოლის ძირითად წარმომადგენელთა იელმსლევის და ბრენდალის ნააზრევის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. კოპენჰაგენის სკოლას ორიგინალური სინტაქსური თეორია არ შეუქმნია და არსებითი გავლენა არ მოუხდენია სინტაქსური პრობლემატიკის დამუშავებაზე.

2. სინტაქსისა და მორფოლოგიას შორის არსებული ზღვარის მოსპობისა და გრამატიკის ამ ორი დარგის უგულვებელყოფის ცდა პრაქტიკულად ვერ განხორციელდა თვით ამ სკოლის წარმომადგენელთა მიერაც.

3. სინტაქსისა და მორფოლოგიის ობიექტთა აღწერაში ერთგვარი პროცედურული მეთოდის გამოყენების ცდა ოდენ გლოსემატიკას არ ახასიათებს. ასეთი ცდა გვაქვს ამერიკული დესკრიფციულ ენათმეც-

ნიერებაში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის დროს, მაგრამ აქ ანალიზის ტექნიკა უფრო დახვეწილია და პრაქტიკულად გამოსაყენებელი სხვადასხვა ენათა მიმართ².

§ 3. ამერიკული დისკრიმინაციული ენათმეცნიერება

1968 წელს ა. ჩიქობავა აღნიშნავდა: „უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ამერიკის დესკრიფციული ენათმეცნიერება ცდილობს თავისებურად წარმართოს ენის აღწერა, საერთოდ, და წინადადებისა, კერძოდ, ეს ცდა მოითხოვს ცალკე განხილვას ამოსავალ პრინციპებთან დაკავშირებით“ [44, გვ. 013].

ცნობილია, რომ ისევე როგორც ენობრივი ანალიზის სხვა სფეროებში, სინტაქსშიც დესკრიპტივისტები ლ. ბლუმფილდის მოძღვრებას ემყარებიან. ამიტომ, ბუნებრივია, მკვლევართა უმრავლესობა დესკრიფციული ენათმეცნიერების მიმოხილვას ბლუმფილდის ნააზრევთა ანალიზიდან იწყებს. ჩვენც პირველ რიგში განვიხილავთ სინტაქსის პრობლემატიკას ბლუმფილდთან.

ტრადიციის თანახმად, აღნიშნავს ბლუმფილდი, უმრავლეს ენათა გრამატიკა ორი ნაწილისაგან შედგება — სინტაქსისაგან და მორფოლოგიისაგან [63, გვ. 195]. კონკრეტულად სინტაქსის საგნის, კვლევის მეთოდების და ამასთან დაკავშირებულ სიძნელეთა შესახებ მსჯელობას ბლუმფილდთან წინ უსწრებს მსჯელობა ენობრივი ფორმისა და წინადადების ტიპების შესახებ, რაც აუცილებელია სინტაქსის, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დონის გამოკვეთისათვის.

ბლუმფილდის განსაზღვრით:

1. ნებისმიერი ენა შედგება ენობრივ ფორმათა თანმიმდევრობებისაგან.

2. ყოველი ენობრივი ფორმა არის სასიგნალო ერთეულთა მყარი შეერთება.

3. სასიგნალო ერთეულს წარმოადგენს ფონემა.

4. ყოველ ენაში მკაცრად განსაზღვრული ფონემათა რიცხვი და ფონემათა რეალურად დადასტურებული შეერთებანი.

ენობრივი ფორმის წარმოთქმისას მოლაპარაკე იწვევს მსმენელში რეაქციას გარკვეული სიტუაციის მიმართ. ეს სიტუაცია და მის მიმართ რეაქცია წარმოადგენს ფორმის ენობრივ მნიშვნელობას [63, გვ. 165].

² იელმსლევის თეორიისა და ამერიკული დესკრიფციული ენათმეცნიერების შედარებითი ანალიზი იხ. [79, 125].

ზოგი ენობრივი ფორმა ავლენს ნაწილობრივ ფონეტიკურ-სემანტიკურ მსგავსებას სხვა ენობრივ ფორმასთან. ასეთ ფორმას ეწოდება რთული (ან კომპლექსური) ფორმა.

კომპლექსურ ფორმათა საერთო ნაწილი არის ენობრივი ფორმა — კომპლექსურ ფორმათა შემადგენელი (ან კომპონენტი). თუ კომპლექსურ ფორმაში არის შემადგენელი, რომელიც არ მეორდება არცერთ სხვა კომპლექსურ ფორმაში, ასეთი შემადგენელი წარმოადგენს უნიკალურ შემადგენელს. შემადგენელი შეიძლება იყოს როგორც თავისუფალი, ისე დაკავშირებული ფორმა. მარტივი ფორმა ანუ მორფემა ეწოდება ისეთ ენობრივ ფორმას, რომელიც არ ავლენს სხვა ფორმასთან ნაწილობრივ მსგავსებას [63, გვ. 168].

ყოველი კომპლექსური ფორმა იშლება საბოლოო შემადგენლებად — მორფემებად. ინგლისური ფორმა *Poor John ran away* შედგება ხუთი მორფემისაგან: *Poor, John, ran, a-, -way*. კომპლექსური ფორმის დაშლა საბოლოო შემადგენლებად ერთბაშად არ ხდება. ინგლისურ ენაზე მეტყველი ნებისმიერი ადამიანი იტყვის, რომ ფრაზაში *Poor John ran away* უშუალო შემადგენლები არის ორი ფორმა *Poor John* და *ran away*, რომ ყოველი მათგანი თავის მხრივ არის რთული, კომპლექსური ფორმა, რომელიც იშლება უშუალო შემადგენლებად; პირველ ნაწილში უშუალო შემადგენლებია *Poor* და *John*. ისინი საბოლოო შემადგენლებსაც წარმოადგენენ, ხოლო მეორე ნაწილში უშუალო შემადგენლებია *ran* და *away*, ხოლო კომპლექსური ფორმის საბოლოო შემადგენელი არის *a* და *way*.

↑ ნებისმიერ გამონათქვამში, აღნიშნავს ბლუმფილდი, ენობრივი ფორმა არის ან უფრო დიდი ფორმის შემადგენელი, მაგ.: *John* გამონათქვამში *John ran away*, ან დამოუკიდებელი ფორმა, რომელიც არ შედის უფრო დიდ, კომპლექსურ ენობრივ ფორმაში, მაგ.: *John* წამოძახილში *John!* იმ შემთხვევაში, როდესაც ენობრივი ფორმა არის, რომელიმე უფრო რთული ფორმის ნაწილი, ამბობენ, რომ იგი არის ჩართულ პოზიციაში, სხვა შემთხვევაში იგი არის აბსოლუტურ პოზიციაში და ქმნის წინადადებას [63, გვ. 178]. ამგვარად, წინადადება არის დამოუკიდებელი ენობრივი ფორმა, რომელიც ამა თუ იმ გრამატიკული კონსტრუქციის საშუალებით არ არის ჩართული უფრო რთულ ენობრივ ფორმაში.

წინადადების გამოყოფის ძირითადი საშუალებაა ინტონაცია (მეორეული ფორმა); რომელიც ახდენს წინადადების ბოლოს მარკირებას (არსებობს თხრობის, კითხვის, ძახილის... ინტონაცია), მახვილი გამოიყენება წინადადებაში ცალკეულ ნაწილთა ემფატიკური გამოყოფისთვის.

ფისათვის. ემფატიკური ელემენტი შეიძლება გამოიყოს სიტყვათა რიგის საშუალებით ან სპეცილური კონსტრუქციით.

სხვადასხვა ტიპის წინადადებათა გამოსაყოფად ინტონაციის გარდა გამოიყენება სპეციალური ნიშნები, რომლებიც ფორმათა სელექციასთან (კლასიფიკაციასთან) არის დაკავშირებული. ასეთებია, მაგ., კითხვითი სიტყვები წინადადებაში.

ენებში განირჩევა წინადადებათა ორი ტიპი — სრული და უსრული (ელიფსისური). სრულს ავტორი უწოდებს ამა თუ იმ ენაში წინადადების ტიპურ, გავრცელებულ ფორმას. მისგან განსხვავებულ ფორმას უსრული ეწოდება. მაგ.: ინგლისურის ტიპური წინადადებაა „მოქმედი პირი — მოქმედება“, მეორე (სრული) ფორმაა ინფინიტივი, რომელიც ძახილის ინტონაციით წარმოითქმება. მას იშვიათად შეიძლება ახლდეს მეორე პირის ნაცვალსახელი ან რაიმე განსაზღვრება. სრული წინადადება წარმოადგენს დასრულებულ გამონათქვამს, რომელიც რაღაც ახალს იტყობინება, რაც უფრო გააზრებულა საუბარი, მით უფრო მეტი იქნება მასში ამ ტიპის წინადადებები. ზოგჯერ ფორმა „მოქმედი-მოქმედება“ შესიტყვებას წარმოადგენს, მოქმედი ცალკე სიტყვით (ნაცვალსახელით) არის გამოხატული, ზოგჯერ იგი დაკავშირებული ფორმაა და ერთი სიტყვით გამოიხატება, მოქმედი პირის გაგება ზმნაშია მოცემული. იგი წარმოადგენს სიტყვაწინადადებას. ორწევროვანი ფორმა ჩვეულებრივ იწოდება პრედიკატულ წინადადებად. პრედიკაციაში კომპონენტი, რომელსაც უფრო საგნობრივი მნიშვნელობა აქვს, იწოდება ქვემდებარედ, მეორე ნაწილი შემასმენელია. ისეთი ენებისათვის, რომელთაც მხოლოდ ერთი ტიპის წინადადება აქვთ, ტერმინები ქვემდებარე-შემასმენელი ზედმეტია, თუმცა ამ შემთხვევაშიც ამბობენ, რომ ენას აქვს მხოლოდ ერთი ტიპის ორწევროვანი წინადადება, რომელშიაც მოქმედი პირი ქვემდებარეა, მოქმედება — შემასმენელი.

არსებობს პრედიკაციის სხვაგვარი ფორმაც. მაგ.: მოქმედების ობიექტი — მოქმედება (ლათინურში). ავტორი განიხილავს ქართული ენის ფაქტებსაც და აღნიშნავს, ქართულში განსხვავებულია წინადადება „მოქმედი — მოქმედება“ მაგ., „ვწერ“ და „გრძნობა — აღქმის“ წინადადება მაგ., „მესმის“. თუმცა, ავტორის შენიშვნით, ეს დაპირისპირება არ არის აბსოლუტური. მაგ., „დანახვა“ ამ ენაში გამოიხატება როგორც მოქმედი — მოქმედება: „ენახავ“ [63, გვ. 182—183].

არასრული ანუ ელიფსური წინადადების მაგალითებია წამოძახილები: ახ, ოი, ოხ, დიახ, ღმერთო, ქალბატონო; მისასალმებელი სიტყვები, ისეთი ფორმები, რომლებიც ადასტურებენ ადრე წარმოთ-

ქმულ წინადადებებს ან აზუსტებენ სიტუაციას: „აი ეს“, „სიამოვნებით“, „ხეალ დილით“...

ჩვენ არ შევჩერდებით წინადადების ყველა ტიპზე, რომელსაც ახასიათებს ავტორი სხვადასხვა ენათა მონაცემების გათვალისწინებით.

საკუთრივ სინტაქსისადმი მიძღვნილ თავში კვლავ ხაზგასმულია, რომ სინტაქსურია ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც არც ერთი უშუალო შემადგენელი არ არის დაკავშირებული ფორმა. ენაში თავისუფალი ფორმები (სიტყვები და შესიტყვებები) შედიან უფრო დიდ თავისუფალ ფორმებში (შესიტყვებებში) რომლებიც, ორგანიზდება მოდულაციის ტაქსებით, ფონეტიკური მოდიფიკაციით, სელექციით და თანმიმდევრობით³. შემდეგ ავტორი ახასიათებს თავისუფალ ფორმათა დაკავშირების სხვადასხვა ხერხებს, გამოვლენილს კონკრეტულ ენებში. თავისუფალ ფორმათა განლაგების საფუძველზე გამოყოფილია სიტყვათა ფორმალური კლასები, რომელიც ტრადიციულ მეტყველების ნაწილებს ეთანადება [63, გვ. 202—209]; დახასიათებულია კონსტრუქციათა სხვადასხვა ტიპები: ეგზოცენტრული (შემადგენლები არ ეკუთვნიან იმავე კლასს, რასაც შესიტყვება) და ენდოცენტრული (შესიტყვება და ერთ-ერთი შემადგენელი ერთსა და იმავე კლასს ეკუთვნიან).

ამ თავში არ გვხვდება მსჯელობა სინტაქსური კონსტრუქციების უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის შესახებ, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბლუმფილდის სინტაქსურ მოძღვრებაში ახალი და საინტერესო არის კონსტრუქციათა შემადგენლების და უშუალო შემადგენლების გამოყოფა [39, გვ. 325].

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზი ბლუმფილდთან არ არის ოდენ სინტაქსისათვის განკუთვნილი, მიუხედავად ამისა ამ მეთოდმა სწორედ სინტაქსში მოიკიდა ფეხი და შეასრულა გარკვეული როლი სინტაქსური ანალიზის შემდგომ განვითარებაში.

ბლუმფილდი არ იძლევა უშუალო შემადგენელთა გამოყოფისათვის საჭირო პროცედურებს; არც კონსტრუქციათა კლასები, არც შემადგენელთა კლასები ბლუმფილდის მიერ საბოლოოდ დადგენილი არ არის, ამ მიმართულებით გარკვეული კვლევა ჩატარდა ბლუმფილ-

³ მოდულაცია არის მეორეულ ფონემათა — მახვილისა და ინტონაციის — გამოყენება. ფონეტიკური მოდიფიკაცია წარმოადგენს ფორმის პირველად ფონემათა ცვლილებას: do+noI—don'I; სელექცია (შერჩევა) იყენებს მნიშვნელობის ფაქტორს ფონემათა დაკავშირებისას; თანმიმდევრობა რთული ფორმის შემადგენელთა რიგზე ამახვილებს ყურადღებას [63, გვ. 171].

დის მიმდევრებთან, რამაც განაპირობა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში სხვადასხვა მიმართულებათა წარმოშობა.

სინტაქსის პრობლემატიკისადმი განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება მე-20 საუკუნის 40-იან წლებში.

* მკვლევართა უმრავლესობა, რომელიც ემყარება ბლუმფილდის მოძღვრებას, იმთავითვე აღნიშნავს, რომ სინტაქსური ანალიზის პროცედურები ბლუმფილდთან საბოლოოდ დამუშავებული არ არის, ბევრ სიძნელეს აწყდება კონკრეტული მასალის კვლევისას, ამიტომ საჭირო ხდება მათი შევსება და მოდიფიკაცია [176, გვ. 65]. ამ მკვლევართა რიცხვი საკმაოდ დიდია: პაიკი, პარისი, ნაიდა, უელზი, პიტმენი, ჩეტმენი, ბლოკი, ჰოკეტი, ფრიზი, ლონგაკრი და სხვა [39, 104, გვ. 117—239].

დამუშავდა სხვადასხვაგვარი პროცედურები უშუალო შემადგენელთა გამოსაყოფად. მაგ., პაიკმა კონსტრუქციების უშუალო შემადგენლებად გაკვეთის 20 პრინციპი წარმოადგინა [176, გვ. 65]. უელზმა შემოიტანა მოდელისა და ექსპანსიის ცნება [186, გვ. 189]. პიტმენთან დამუშავდა ტექნიკა ბირთვისა და თანამგზავრთა დასადგენად [177, გვ. 288]. რადგანაც რიგ შემთხვევაში ძნელი აღმოჩნდა ფრაზის ხაზოვანი ანალიზი უშუალო შემადგენელთა მიხედვით. დამუშავებული იქნა ე. წ. წყვეტილი შემადგენლები; ანალიზის ყველა დონეზე ფრაზის გაკვეთა ორ ნაწილად გარკვეულ სიძნელეებს წააწყდა, ამიტომ სწორ-ხაზოვანი ანალიზისას ორზე მეტი შემადგენელის გამოყოფა გახდა აუცილებელი. უშუალო შემადგენელთა ბინარული განხილვის წინააღმდეგ გაილაშქრა კ. ბაზელმა, აგრეთვე ლონგაკრმა, რომელმაც შემადგენელთა ჯაჭვებში ორზე მეტი შემადგენელი დაუშვა, და ზოგმა სხვა მკვლევარმა [39, გვ. 366].


↓ ჩვეულებრივ, უშუალო შემადგენლებად იყოფა დიდი ერთეული (გამონათქვამი). დამუშავდა საპირისპირო პროცედურაც. მარტივ ფორმათა ბინარული შეერთებით და შემდგომ მათი თანდათანობით გაფართოებით მიიღება გამონათქვამი (წინადადება) [160, გვ. 150]. დაწერილებით ამ მეთოდზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

წინადადების უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის პროცესი სამი სახით გამოიხატება:

~ 1. ფრჩხილების საშუალებით:

S{NP(A[poor] + N[John]) + VP(V[ran] + Adv[away])}

2. გრაფიკულად, უშუალო შემადგენელთა ხეების საშუალებით:



3. უშუალო შემადგენელთა აღმნიშვნელი კლასების თანმიმდევრობით გადაწერის გზით:

$S \rightarrow NP + VP$
 $VP \rightarrow V + Adv$
 $NP \rightarrow A + N$
 $N \rightarrow John$

$A \rightarrow poor$
 $V \rightarrow ran$
 $Adv \rightarrow away$

ამ ჩანაწერებში განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ უშუალო შემადგენელთა ფორმალური კლასების მიხედვით დახასიათება ჩართულია ანალიზის პროცესში.

მართალია, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ბევრი რამ გაკეთდა უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის ტექნიკის დასახვეწად, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ბლუმფილდის შემდეგ უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის მეთოდის წარმოქმნის ტრიალებს, რადგან თვით ანალიზის პრინციპები არ იძლევიან ნაკლოვანებათა დაძლევის საშუალებას [51, გვ. 77—78].

ბუნებრივია, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაშივე დაიწყეს ძიება უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის ნაკლოვანებათა დასაძლევად, ძიება უფრო რაციონალური გზისა, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა წინადადების ანალიზი და სინთეზი. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის კრიტიკამ წარმოშვა ტრანსფორმაციული მეთოდი, მაგრამ სანამ ამ მეთოდის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, პოკლედ შევაჯამებთ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში სინტაქსის პრობლემებთან დაკავშირებულ ძირითად დებულებებს:

1. სინტაქსი, როგორც გრამატიკის შემადგენელი ნაწილი დესკრიპტივისტიკისგან განსხვავებულია [39, გვ. 352].

2. სინტაქსური ანალიზი ძირითადად უშუალო შემადგენლებზე

დაყრდნობით წარმოებს. სინტაქსში წინადადების საბოლოო შემადგენლებად მიღებულია მეტყველების ნაწილები. თუმცა ანალიზი საკუთრივ სინტაქსის ფარგლებში არ რჩება, საბოლოო ერთეულს მორფემა წარმოადგენს.

ტრადიციული „წინადადების წევრები“ უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის დროს არ ფიგურირებს.

3. სინტაქსის ძირითად ერთეულად ზოგ ავტორთან წინადადება გვევლინება, ზოგი წინადადებას და ფრაზას გამოყოფს, ზოგიც გამონათქვამს მიიჩნევს სინტაქსის ძირითად ერთეულად.

4. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზისას თითქმის უგულებელყოფილია სინტაქსურ ურთიერთობათა ტრადიციული სახეები: მართვა, მირთვა, შეთანხმება. ზოგჯერ ეს ურთიერთობანი გამოყოფილია როგორც სელექციის სახეობები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გრამატიკულ განლაგებათა რიგს და პოზიციას. მორფემათა კლასების გამოყოფა ემყარება დიაგნოსტიკურ გარემოცვათა არჩევას: (დიაგნოსტიკური გარემოცვა შეიჩქევა ისე, რომ გამოვლინდეს ის საერთო თვისება, რომელიც გააჩნია ამ კლასში გაერთიანებულ ყველა ელემენტის დისტრიბუციას. მაგ. N კლასისათვის დამახასიათებელია გარემოცვა „the () is“ ანუ პოზიცია V-ს წინ). დიაგნოსტიკურ გარემოცვათა საფუძველზე გამოყოფილ კლასთა ტერმინებით (მაგ., N, V, A, Adv და ა. შ.) აღიწერება წინადადების (გამონათქვამის) სტრუქტურა. ეს ითვლება ერთ-ერთ ეკონომიურ გზად წინადადების (გამონათქვამის) აღსაწერად. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზისას მნიშვნელოვანია დაქვემდებარების ცნება. კონსტრუქციაში მთავარია წევრი, რომლის ამოტოვებაც იწვევს გრამატიკული სისწორის დარღვევას. დაქვემდებარებულ წევრთა ამოტოვება შესიტყვების გრამატიკულ სისწორეს არ არღვევს.

5. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზისას ზოგ ავტორთან ხდება მნიშვნელობის უგულებელყოფა. ზოგჯერ მნიშვნელობის გათვალისწინება არსებითია ანალიზისას (განსაკუთრებით ომონიმურ კონსტრუქციათა ანალიზისას).

✓ ტრანსფორმაციული მეთოდი

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზი ძირითადად გულისხმობს რთული ერთეულის დაშლას უფრო მცირე მოცულობის ერთეულებად; ეს არის ანალიზი მთლიანი გამონათქვამისა ან წინადადებისა ზემოდან ქვემოთ. ზ. ს. ჰარისის აზრით, არ არსებობს რაიმე ზოგადი მეთოდი უშუალო შემადგენელთა თანმიმდევრულად განსაზღვრისათვის, როდესაც ვიწყებთ მთელი გა-

მოთქმით და ქვემოთ მივდივართ. ნაკლებ სიძნელეებს შევხვდებით თუ დავადგენთ მორფემათა და მორფემათა თანმიმდევრობების სუბსტიტუციურ კლასებს. თუ დავიწყებთ მორფემებით და წავალთ ზემოთ.

სწორედ ამგვარ ანალიზს აწარმოებს ჰარისი ნაშრომში „მორფემიდან გამონათქვამისაკენ“ [160]. იგი სინტაქსის საკითხების განხილვას იწყებს მორფემებით, შემდეგ კი გადადის მორფემათა თანმიმდევრობებზე, იყენებს მათ მიმართ სუბსტიტუციის ოპერაციას. იმ მორფემებს ან მორფემათა თანმიმდევრობებს, რომლებიც ერთსა და იმავე პოზიციაში გვხვდებიან გამოთქმაში, ავტორი აერთიანებს ერთსა და იმავე სუბსტიტუციურ კლასებში. იგი ადგენს სუბსტიტუციურ კლასთა ტოლობებს, რომლებიც, მისი აზრით, გვაძლევს შესაძლებლობას გავითვალისწინოთ, თუ მორფემათა რა თანმიმდევრობა გვხვდება ენაში. სხვაგვარად, ესაა ენაში არსებულ გამონათქვამთა (წინადადებათა) ფორმულები. ამ სტატიაში ჰარისი არ იყენებს უშუალო შემადგენლებს. იგი თვითონ აღნიშნავს, რომ უშუალო შემადგენლებად ანალიზი განსხვავებულ ტექნიკას მოითხოვს.

როგორც თ. შარაძენიძე აღნიშნავს, ჰარისის თვალსაზრისში შემომჩნევს ერთგვარი მინიშნება წარმომშობ გრამატიკაზე. ამოსავლად აღებულია მარტივი ერთეულები — მორფემები, — მათზე დამყარებით იქმნება ენაში დასაშვებ გამოთქმათა ფორმულები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება ავაგოთ ნებისმიერი კონკრეტული გამოთქმა. აქ წარმოებს არა გამოთქმათა ანალიზი, არამედ მათი კონსტრუირება, სინთეზი [39, გვ. 333—335].

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზში არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად ჰარისმა შემოიტანა პრინციპულად განსხვავებული ცნება — ტრანსფორმაციის ცნება. მას ბიძგი ტრანსფორმაციული მეთოდის შემოტანისათვის ენათმეცნიერებაში მისცა ცდამ, შეექმნა ანალიზის მეთოდი მეტყველების ისეთი მონაკვეთისათვის, რომელიც თავისი აგებულებით არ უდრის მარტივ წინადადებას (მეტია ვიდრე მარტივი წინადადება) და არ ანალიზდება უშუალო შემადგენელთა ტერმინების საშუალებით⁴.

ტრანსფორმაციის ცნების განსაზღვრას ჰარისი გვაძლევს სხვა, მეტად მნიშვნელოვან ცნებაზე დაყრდნობით, ესაა მორფემის ინდივიდუალური გარემოცვა.

⁴ ინგლისური ენის ტრანსფორმაციათა მიახლოებითი ჩამოთვლა და რთული ფრაზის ანალიზის მეთოდები ზ. ს. ჰარისმა მოგვცა ჟურნალში 1952 წელს. [159, გვ. 1—30; იქვე, გვ. 474—495]. იგივე საკითხი დაწვრილებით არის განხილული შემდეგდროინდელ შრომებში [160, 161, 136].

პარისის აზრით, გარდა დიაგნოსტიკური გარემოცვისა ყოველ მორფემას აქვს ინდივიდუალური გარემოცვა.

i-მორფემის (ან სიტყვის) ინდივიდუალური გარემოცვის სფერო ეწოდება გარემოცვას, შედგენილს იმ მორფემებისაგან (ან სიტყვებისაგან), რომლებიც გვხვდებიან იმავე წინადადებაში, რომელშიაც i (გარკვეული მოცულობის ტექსტში). თუ მოცემულია გამონათქვამი ან წინადადება და მორფემები, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი i-სათვის არსებობს გარკვეული ერთობლიობა j, k... მორფემათა, რომელნიც გვხვდებიან იმავე წინადადებაში, რომელშიაც i. ყოველი ინდივიდუალური მორფემა ხასიათდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გარემომცველ მორფემათა ერთად-ერთი სიმრავლით (ზოგ მორფემას შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი გარემოცვა, მაგ., სიტყვისმცვლელი აფიქსები).

იმის გამო, რომ ყოველ მორფემას ინდივიდუალური გარემოცვა აქვს, რა თქმა უნდა, ენის აღწერა ინდივიდუალურ გარემოცვათა ტერმინებით ძნელდება. ასეთი აღწერა არაეკონომიურია, მაგრამ, პარისის აზრით, არ უნდა უგულებელვყოთ ინდივიდუალური გარემოცვა, როგორც ეს კეთდებოდა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ზოგიერთ მორფემას აქვს მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) გარემოცვა, მაგ., სიტყვას cloth „ქსოვილი“ თითქმის ისეთივე გარემოცვა აქვს, როგორც paper-ს „ქაღალდი“: the () tore „() გაიხა“, get me a () quick „მომეცი () ჩქარა“ და სხვ. (ფრჩხილებში შეიძლება ორივე სიტყვა ჩაისვას). მსგავსი გარემოცვის მქონე მორფემები შეიძლება ერთ ჯგუფში გავაერთიანოთ (მსგავსი გარემოცვები არ უდრის არც იდენტურს. და არც დიაგნოსტიკურ გარემოცვებს). ყოველი ამგვარი ჯგუფის წარმომადგენელი მორფემა, ცხადია, წინადადებაში შეგვხვდება სხვა ჯგუფის არა ნებისმიერ, არამედ გარკვეული ინდივიდუალური გარემოცვის მქონე წევრთან. ამგვარად გამოიყოფა ერთდროულად შეხვედრად მორფემათა გარკვეული კლასები [136, გვ. 530].

ტრანსფორმაციის განსაზღვრა მოცემულია კონსტრუქციების მიმართ, რომლებიც შედგენილია თითქმის ერთნაირი გარემოცვის მქონე კლასებისაგან და რომელთა გაერთიანებაც ერთს თანმიმდევრობაში (მაგ. წინადადებაში) დასაშვებია. (1. კლასთა ელემენტარულ თანმიმდევრობას კონსტრუქცია ეწოდება. 2. კონსტრუქცია არის წინადადება, ან უფრო დიდი კონსტრუქციის უშუალო შემადგენელი [136, გვ. 534].

თუ ორი ან მეტი კონსტრუქცია (ან კონსტრუქციათა თანმიმდევრობა) შედგება ერთი და იმავე n კლასისაგან და გვხვდება წინადა-

დებაში ამ კლასთა n წევრის ერთი და იმავე გაერთიანებით ერთსა და იმავე გარემოცვაში, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს კონსტრუქციები არიან ერთმანეთის ტრანსფორმები, რომ ყოველი მათგანი შეიძლება შივილოთ მეორისაგან გარკვეული ტრანსფორმაციის საშუალებით. მაგ., კონსტრუქციები $NvVN$ (წინადადება) და $N'sVingN$ (სახელური ჯგუფი) კმაყოფილებიან NV და N კლასთა ერთი და იმავე სამეულებით (მაგ., he „ის“, meet „შეხვედრა“; we „ჩვენ“; he met us „ის შეგვხვდა ჩვენ“; his meeting us „მისი შეხვედრა ჩვენთან“.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრანსფორმაცია განისაზღვრება როგორც სიმეტრიული დამოკიდებულება ორ წინადადებას შორის. იმისათვის, რომ ორი წინადადება ჩაითვალოს ერთმანეთის ტრანსფორმებად, აუცილებელია ორივეს კმაყოფილებდეს მორფმათა ერთი და იგივე ერთობლიობა, ანუ აუცილებელია კმაყოფილებდებოდეს მორფმათა ერთად შეხვედრის მოთხოვნა.

ამგვარად, ჰარისი დამოკიდებულებას ამყარებს ორ რეალურ წინადადებას შორის (რადგანაც ყოველთვის ითვალისწინებს მორფმათა ინდივიდუალურ გარემოცვებს, ინდივიდუალურ მორფემებს). შეიძლება ორ კონსტრუქციას შორის დამყარდეს ტრანსფორმაციის მიმართება ისე, რომ არ იქნეს ფიქსირებული, რომელი წინადადება არის ამოსავალი და რომელი მიიღება მისგან ტრანსფორმაციით. დამოკიდებულება წინადადებათა შორის სიმეტრიულია და უმრავლეს შემთხვევაში შებრუნებადი.

ჰარისის აზრით, ნებისმიერი ენის წინადადებაში დასაშვებია მორფმათა მხოლოდ გარკვეული კლასების თანმიმდევრობა. ეს თანმიმდევრობები ხშირად შეიძლება განვიხილოთ, როგორც კლასთა ელემენტარული გაერთიანებების (კონსტრუქციების) გარკვეული სახით შეერთების პროდუქტი. მაგ., თანმიმდევრობა $TNPV$. მიღებული აღმოჩნდება კლასთა ელემენტარული თანმიმდევრობებისაგან TNV და NPN ჩასმის ოპერაციის შედეგად $NPN \equiv N$. თუ გავითვალისწინებთ ამგვარი ჩასმის შესაძლებლობებს და, აგრეთვე, ზოგიერთი მორფემის უნარს, შეცვალოს სხვა მორფემები თანმიმდევრობებში (მორფემა-შემცვლელები) და, აგრეთვე, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ენაში არსებობენ წინადადების დამაკავშირებელი ელემენტები, საშუალება მოგვეცემა ნებისმიერი წინადადების სტრუქტურა გამოვხატოთ ტრანსფორმაციის ტერმინებით. თუ მოცემულია რაიმე წინადადება, ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ მასში ნებისმიერი ტრანსფორმაციის არსებობა. წინადადება აღმოჩნდება შედგენილი მარტივი წინადადებების ან კონსტრუქციებისაგან, რომელთა ტრანსფორმირებაც მოხდა მოცემულ წინადადებად სხვადასხვა დამაკავშირებელი და

დამხმარე ელემენტების შემოტანით. ელემენტარულ წინადადებებს ავტორი აკუთვნებს გრამატიკის ბირთვის. ნებისმიერი ორი განსხვავებული წინადადება, რომელიც სხვადასხვანაირად იშლება, განსხვავდება ან ბირთვული წინადადებით, ან ტრანსფორმაციის ხარისხით. ერთი და იგივე წინადადება შეიძლება დაიშალოს სხვადასხვაგვარად, რადგან ორი შებრუნებადი ტრანსფორმაციის შედეგად შეიძლება მივიღოთ ერთი და იგივე წინადადების ტიპი (ომონიმის შემთხვევაში) [136, გვ. 627].

პარისის აზრით, გრამატიკის ბირთვი წარმოადგენს ელემენტარულ წინადადებათა, შემაერთებელ ელემენტთა და დამხმარე სიტყვათა სიმრავლეს. ყოველი ბირთვული წინადადება წარმოადგენს გარკვეულ კონსტრუქციას. ბირთვი ჩვეულებრივ შეიცავს მცირერიცხოვან კონსტრუქციებს. ინგლისური ენის ბირთვულ კონსტრუქციებად ავტორი თვლის შემდეგს: NvV (V-სათვის, რომელიც დამატების გარეშე გვხვდება) NvVPN PN-სათვის, რომელიც გვხვდება V-ს შეზღუდულ რიცხვთან), NvVN. NisN, NisA, NisPN, NisD. N is between N and N, N! Yes! [136, გვ. 628].

გარდა ამისა, ავტორს შესაძლებლად მიაჩნია ზოგი სხვა კონსტრუქციის გამოყოფა. მაგ., არსებობენ ინტონაციურად გამოყოფილი დანართები (вводящие элементы) და ჯგუფები D და PN; ისინი გვხვდებიან ნებისმიერ ბირთვულ წინადადებასთან. V კლასი ამ კონსტრუქციებში აერთიანებს შესიტყვებას VP და VD; A კლასი მოიცავს DA-ს; N-ში შედის რთული N და განსაკუთრებული ფორმები, როგორცაა NPN, T კლასის სხვადასხვა სიტყვები და სიტყვები რომლებიც T კლასის შემდეგ გვხვდებიან, აგრეთვე მრავლობითი რიცხვის სუფიქსი — s.

ბირთვული წინადადებები არ შეიცავენ ელემენტებს, რომლებიც მეორდებიან მოცემული წინადადების ორ ნაწილსა და მეზობელ წინადადებებში.

ბირთვული წინადადებები მაქსიმალურად დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან და გვაძლევენ მინიმალურ ინფორმაციას ერთმანეთის შესახებ.

ბირთვული წინადადებები არიან მინიმალური კონსტრუქციებიც, მათში გამოვლინდება ძირითადი შეზღუდვები, რომელიც ედება ელემენტთა შეერთებას ენაში.

სიტყვების გარემოცვა ენის ყველა წინადადებაში ემთხვევა გარემოცვას ბირთვულ წინადადებაში.

პარისი ტრანსფორმაციულ ანალიზს განიხილავს, როგორც ანალი-

ზის ახალ დონეს. ტრანსფორმაცია საშუალებას იძლევა: 1. ავაგონებისმიერი სიგრძის წინადადება ბირთვული წინადადებისაგან.

2. იგი რთულ წინადადებას აძლევს ორგანიზებულ ხასიათს-

3. იგი საშუალებას იძლევა ახსნას განსხვავება ორ ომონიმურ წინადადებას შორის და განსაზღვროს სტრუქტურა კონსტრუქციისა, რომელიც ჩვეულებრივი ლინგვისტური ანალიზის დროს არ ანალიზდება.

4. ტრანსფორმაციის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს მსგავსება და განსხვავება წინადადებებს შორის.

5. ინდივიდუალურ გარემოცვათა გათვალისწინება, რასაც ეფუძნება ტრანსფორმაციის განსაზღვრა, საშუალებას იძლევა ენის უფრო სრულყოფილად აღწერისათვის.

6. ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც გვიხდება სხვადასხვა ენობრივი სტრუქტურის შესწავლა. მისი გამოყენება შეიძლება ენათა ტიპოლოგიისათვის, სხვადასხვა სტრუქტურის ენების შედარებისას.

7. ტრანსფორმაციის გათვალისწინება აუცილებელია თარგმანის დროს.

ჰარისის აზრით, ტრანსფორმაციის ძირითადი გამოყენება ეფუძნება მის აზრობრივ სტატუსს, ტრანსფორმაციის დროს მნიშვნელობის ძირითადი ელემენტი უცვლელი რჩება. მართალია, არსებობს განსხვავება შინაარსში ორ კონსტრუქციას შორის, რომელნიც ერთმანეთის ტრანსფორმები არიან, მაგრამ ეს განსხვავება განპირობებულია გარეგნული გრამატიკული სტატუსით (მიმართებებით). მაგ., NvVN არის წინადადება, ხოლო N'sVingN — სახელური ჯგუფი. არსებობს აგრეთვე ემფატიკური და სტილისტური განსხვავება. მაგ., აქტივსა და პასივს შორის განსხვავება სტილისტური განსხვავებაა.

ზოგიერთ ტრანსფორმათა შინაარსს შორის განსხვავება გამოწვეულია ერთ-ერთში ახალი მორფემის გამოჩენით. ასეთი მორფემებია, მაგ., კითხვითი, უარყოფითი, დადასტურებითი და სხვა ნაწილაკები. ძირითადი შინაარსი ინვარიანტის სახით მოცემულია ყველა წინადადებაში [136, გვ. 540].

ჰარისის აზრით, ეს არის განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოება. მაშინ, როდესაც სტრუქტურულ ლინგვისტიკაში და ტრანსფორმაციის თეორიაში შინაარსი არ განიხილება, ტრანსფორმაციის მიმართებაში მყოფ წინადადებათა საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა წარმოვადგინოთ წინადადების შინაარსის პრაქტიკული შეფასება.

როგორც აღვნიშნეთ, ტრანსფორმაციის ცნება, როგორც „თანა-

დროული შეხვედრის“ (co-occurrence) მიმართება, დაამუშავა ზ. ს. პარისმა მე-20 საუკუნის ორმოციანი წლების ბოლოს, როდესაც გავრცობილი გამონათქვამის სინტაქსურ სტრუქტურას სწავლობდა. ამავე წლებში ნოამ ხომსკი ცდილობდა შეექმნა წარმომშობი გრამატიკა თანამედროვე ივრიტის და ინგლისური ენისათვის. ამ გრამატიკის სინტაქსური მოდელის ასაგებად ნ. ხომსკი იყენებდა პარისის პროცედურებს „მორფემიდან გამონათქვამისაკენ“, მაგრამ მუშაობის პროცესში მას ხვდებოდა სერიოზული სიძნელეები, რომელთა გადალახვაც ხერხდებოდა ტრანსფორმაციული მეთოდის მოდიფიკაციით. ნ. ხომსკიმ განავითარა პარისის იდეა და მოგვცა ტრანსფორმაციული მეთოდის თავისებური ინტერპრეტაცია. მან შეიმუშავა ზოგადი ლინგვისტური თეორია, რომლის საფუძველზეც შეეცადა ნებისმიერი ენის წარმომშობი გრამატიკის ზოგადი სტრუქტურის აგებას. ნ. ხომსკის წარმომშობი გრამატიკული ტრანსფორმაცია და პარისის ტრანსფორმაცია, რომელიც „თანადროულ შეხვედრას“ ემყარება, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ფორმალური თვისებებით, ისე მათი როლით კონკრეტულ სინტაქსურ აღწერაში. როგორც ნ. ხომსკი აღნიშნავს, მათმა განურჩევლობამ შეიძლება სასიფათო შედეგებამდე მიგვიყვანოს [131, გვ. 516].

მართალია, ტრანსფორმაციულ გრამატიკას საფუძველი ჩაეყარა ზ. პარისის შრომებში, მაგრამ იგი საბოლოოდ დაამუშავა და თეორიულად დააფუძნა ნ. ხომსკიმ, ამიტომ წარმომშობი ტრანსფორმაციული გრამატიკის შემქმნელად ხომსკი ითვლება. >

ნ. ხომსკის თეორიის განვითარებაში ორი პერიოდი გამოიყოფა. პირველი პერიოდის ფუნდამენტური ნაშრომია „სინტაქსური სტრუქტურები“ [132], მეორე პერიოდის ე. წ. „სტანდარტული თეორიის“ საფუძვლები მოცემულია „სინტაქსური სტრუქტურის ასპექტებში“ [133]. განსხვავება ამ ორი პერიოდის შრომებს შორის რიგ შემთხვევაში არსებითი ხასიათისაა და ძირითადად ეხება წარმომშობი გრამატიკის სტრუქტურას.

ჩვენ არ შევჩერდებით ტრანსფორმაციული მეთოდის თეორიული საფუძვლების ანალიზზე. ჩვენთვის ამჟერად უფრო საინტერესოა თვით გრამატიკის სტრუქტურა და სინტაქსის ადგილი ამ სტრუქტურაში (ვრცლად ეს საკითხები იხ. [8, 9, 12, 13]).

ნ. ხომსკის აზრით, ძირითადი ფაქტი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერმა სერიოზულმა ლინგვისტურმა თეორიამ მდგომარეობს შემდეგში: ჩნის თეორიის უნდა აინტერესებდეს ენის შემოქმედებითი ხასიათი. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ამ ენაზე ააგოს ახალი წინადადებანი და

ამავე ენაზე მოლაპარაკე სხვა ადამიანი გაიგებს ამ წინადადებებს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი მისთვის შეიძლება სრულიად ახალი იყოს. ენის დაუფლების შემდეგ ადამიანს შეუძლია წარმოქმნას და გაიგოს იმდენად ბევრი წინადადება, რომ მათი სიმრავლე შეიძლება უსასრულო სიმრავლედ ჩაითვალოს. / წინადადებათა მხოლოდ მინიმუმს იზეპირებენ, უმრავლესობა კი იქმნება ექსპრომტად / მშობელიური ენის ცოდნა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც წესთა რალაც სისტემის ცოდნა. ამ სისტემას შეიძლება ეწოდოს გრამატიკა, გრამატიკა არის მექანიზმი, რომელიც გვაძლევს სწორად აგებულ წინადადებათა უსასრულო სიმრავლეს და თითოეულ მათგანს უთანადებს ერთს ან რამდენიმე სტრუქტურულ დახასიათებას. * ხომსკი ასეთ მექანიზმს წარმომქმნელ გრამატიკას უწოდებს აღწერითი გრამატიკებისაგან განსხვავებით. / (ნ. ხომსკის მოკყავს ჰ. პაულის ციტატა, სადაც აღნიშნულია, რომ ძველი ენათმეცნიერებმა არსებითი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ყველა გამონათქვამს მეხსიერების უბრალო წარმონაქმნად განიხილავდათ) [131, გვ. 466—467].

* ხომსკის მიზანია ააგოს ფორმალიზებული ლინგვისტური თეორია და ცდილობს დაასაბუთოს ამ თეორიის უპირატესობა.

ენის ლინგვისტური ანალიზის პირველ საფეხურზე, ნ. ხომსკის აზრით, უნდა მივიღოთ წინადადების რეპრეზენტაციის სრული სისტემა. ხომსკი ვარაუდობს, რომ ასეთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და განიხილავს ენას — ფონემატურად უკვე წარმოდგენილს. * ხომსკი უშვებს: 1. გრამატიკულად სწორი წინადადების ინტუიციურ ცოდნას. 2. წინადადების რეპრეზენტაციის ფორმას თვლის დამუშავებულად.

ამ ორი დაშვების შემდეგ ნ. ხომსკი განმარტავს, რომ ენა არის სასრული ან უსასრულო სიმრავლე სასრული სიგარძის წინადადებათა, რომელნიც ანბანის სიმბოლოთა სასრული რაოდენობით მიიღებიან [130, გვ. 239; 132, გვ. 416].

† ხომსკის აზრით, ლინგვისტურ თეორიაში გრამატიკულად სწორი წინადადების გრამატიკულად არასწორისაგან გამოსაყოფად არ გამოდგება შემდეგი კრიტერიუმები: 1. გრამატიკულად სწორი არ შეიძლება გავაიგივოთ იმ გამონათქვამთა ერთობლიობასთან, რომელსაც მოიპოვებს ლინგვისტი თავისი მუშაობის დროს. ნებისმიერი გრამატიკა ახდენს არსებულ გამონათქვამთა სასრული და გარკვეული სახით შემთხვევითი ერთიანობის პროექტირებას გრამატიკულად სწორ გამოთქმებზე (შესაძლოა უსასრულობაზე). / 2. ცნება „გრამატიკულად სწორი“ არ შეიძლება გავაიგივოთ ცნებასთან „აზრიანი“, „შინაარსის

მქონე“. ორი წინადადებიდან: Colorless green ideas sleep furiously „უფერულ მწვანე იდეებს მოუსვენრად სძინავთ“ და Furiously sleep green ideas colorless, „მოუსვენარი ძილი მწვანე იდეები უფერული“ პირველი გრამატიკულად სწორია, მეორე — არა. აქედან გამომდინარე, სემანტიკური საფუძვლის ძიება გრამატიკული სისწორის დასადგენად უშედეგოა. არსებობს მხოლოდ სტრუქტურული ხასიათის საფუძვლები, რომელიც მოგვცემს სწორი და არასწორი წინადადების გარჩევის საშუალებას. 3. ცნება „გრამატიკულად სწორი ინგლისურ ენაში“ არ შეიძლება გავაიგივოთ ცნებასთან „ინგლისური ენისადმი მიახლოების სტატისტიკურად მაღალი დონე“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი წინადადება და მსგავსი იშვიათად შეგვხვდება ინგლისურ ენაში, თუმცა იგი გრამატიკულად სწორი წინადადებაა.

მეორე და მესამე დებულების განხილვის შემდეგ ნ. ხომსკი დაასკვნის: გრამატიკა ავტონომიურაა, — იგი დამოუკიდებელია როგორც წინადადების შინაარსისაგან, ისე ალბათობრივი მოდელისაგან [132, გვ. 421].

/ როგორც ხომსკის შემდეგდროინდელი შრომებიდან ჩანს, გრამატიკას უნდა აინტერესებდეს არა მარტო გრამატიკულად სწორი, არამედ ამასთანავე შინაარსიანი, აზრიანი წინადადების წარმოქმნა ენის ცოდნა გულისხმობს არა მარტო უსასრულოდ ბევრი ახალი წინადადების წარმოქმნასა და გაგებას, არამედ სწორი წინადადების გარჩევას სხვა წინადადებებისაგან და მათთვის ინტერპრეტაციის მიცემას. ბევრი ლინგვისტი ფიქრობს, ამბობს ხომსკი, რომ თუ გამონათქვამისათვის შეიძლება აიგოს ისეთი კონტექსტი, რომელშიაც იგი იღებს ინტერპრეტაციას, მაშინ, ასეთი წინადადება შეიძლება ჩაითვალოს წინადადებად. ამგვარი მიდგომის დროს გრამატიკა დადის მართვის, შეთანხმების და სხვა სინტაქსური კავშირების შესწავლამდე. ნ. ხომსკის აზრით, ეს ისევე არ არის დასაბუთებული, როგორც მტკიცება, რომ ენის შესწავლა შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ ფონეტიკის შესწავლამდე [131, გვ. 466, შენიშვნა 2].

ნ. ხომსკი განიხილავს ენის აღწერის რამდენიმე მრდელს ინგლისური ენისათვის და ასკვნის: ა. მდგომარეობათა სასრული რიცხვის მქონე მარკოვის პროცესი არ გამოდგება ინგლისური ენის გრამატიკად. ბ. მდგომარეობათა სასრული რიცხვის მქონე გრამატიკაზე უფრო ძლიერია უშუალო შემადგენელთა გრამატიკის ფორმალიზებული ვარიანტი, მაგრამ იგი წარმატებით აღწერს ინგლისური ენის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს, მარტივ წინადადებებს. გ. ავტორი შეისწავლის გრამატიკული ტრანსფორმაციის ფორმალურ თვისებებს და ასკვნის:

ინგლისური ენის გრამატიკა არსებითად გამარტივდება თუ სტრუქტურულ აღწერას უშუალო შემადგენელთა დონეზე შევზღუდავთ მარტივი წინადადებებით (ბირთვით), რომელთაგანაც სხვა წინადადებები აიგება ტრანსფორმაციის რამდენიმეჯერ გამოყენებით. ყოველი გრამატიკული ტრანსფორმაცია Tr. არის წესი, რომელიც ყოველ წინადადებას უშუალო შემადგენელთა მოცემული სტრუქტურით გარდაქმნის ახალ წინადადებად, უშუალო შემადგენელთა შეცვლილი სტრუქტურით. მიღებული წინადადება და მისი სტრუქტურა შეიძლება ფიქსირებული სახით დავუყავშიროთ გარდასაქმნელ სტრუქტურას (წინადადებას) ყოველი Tr-სათვის [130, გვ. 258].

ტრანსფორმაციის წესების შემოღება საშუალებას გვაძლევს ღრმად შევიჭრათ ენის სტრუქტურაში, ავხსნათ მთელი რიგი საკითხი, რომელიც უკავშირდება ენის ხმარებასა და გაგებას. ტრანსფორმაციული წესების შემცველი გრამატიკა უფრო მარტივია და აქვს მეტი ამხსნელობითი ძალა, ვიდრე მდგომარეობათა სასრული რიცხვის მქონე გრამატიკას, ან მარტო უშუალო შემადგენელთა გრამატიკას.

„სინტაქსურ სტრუქტურებში“ აღწერილი გრამატიკა სამი კომპონენტისაგან შედგება. 1. უშუალო შემადგენელთა დონე; 2. ტრანსფორმაციული დონე და 3. მორფოფონემატური დონე. ჩვენ არ შეეჩერდებით ამ დონეთა დაწერილებით დახასიათებაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. ამ ნაშრომში გრამატიკა ფაქტობრივ გათანაბრებულია სინტაქსთან. სინტაქსს ევალუება წარმოქმნას გრამატიკულად სწორი წინადადება. სემანტიკური მხარე წინადადებისა უგულვებელყოფილია. ამრიგად, ძლიერ გაზრდილია, გაფართოებულია სინტაქსის არე. >

არსებითად განსხვავდება წარმომშობი გრამატიკის სტრუქტურა „სინტაქსური სტრუქტურის ასპექტებში“. პირველი პერიოდის ბევრი მნიშვნელოვანი ცნება, როგორცაა „ბირთვული წინადადება“, „გრამატიკის უშუალო შემადგენელთა დონე“ და სხვ. ადგილს უთმობს, ახალ, განსხვავებულ ცნებებს: „სიღრმული სტრუქტურა“, „ზედაპირული სტრუქტურა“ და სხვ. არსებით ცვლილებას განიცდის ტრანსფორმაციული დონე და სხვაგვარად დგას მეორე პერიოდის შრომებში სემანტიკის საკითხიც.

წარმომშობი გრამატიკა ამ ეტაპზე უკვე სხვა სამი კომპონენტისაგან შედგება: სინტაქსი, ფონოლოგია და სემანტიკა. გრამატიკის მიზანია არა მარტო აბსტრაქტულ ფორმალურ ობიექტთა უსასრულო სიმრავლის წარმოქმნა, რაც სინტაქსის ამოცანაა, არამედ ფონეტიკური და სემანტიკური ინტერპრეტაციაც, რაც, შესაბამისად, ფონოლოგიური და სემანტიკური კომპონენტების ფუნქციას წარმოადგენს.

ამ ეტაპზე გრამატიკის სინტაქსური ნაწილი შედგება ბაზისისა და ტრანსფორმაციული კომპონენტისაგან. ბაზა თავის, მხრივ მოიცავს კატეგორიალურ სუბკომპონენტს და ლექსიკონს. კატეგორიალური სუბკომპონენტში შედის კატეგორიალური ლექსიკონი ანუ სიმბოლოები (S, N, V...) და განშტოების ბაზისურ წესთა სისტემა $S \rightarrow NP + VP$; $NP \rightarrow Det + N$; $VP \rightarrow VP + NP$ და ა. შ.; ეს წესები კონტექსტით შეზღუდულნი არ არიან და ასრულებენ ორ, სრულიად განსხვავებულ ფუნქციას: 1. ისინი განსაზღვრავენ გრამატიკულ მიმართებათა სისტემას, რასაც შემდეგ ემყარება სემანტიკური ინტერპრეტაცია და 2. გვაძლევენ სიღრმული სტრუქტურის ელემენტთა თანმიმდევრობას, რაც წარმოადგენს საფუძველს ტრანსფორმაციულ წესთა ფუნქციონირებისათვის. პირველი ამ წესთაგანი (გრამატიკულ მიმართებათა სისტემის დამდგენი), ხომსკის აზრით, მეტად ზოგადია და შესაძლებელია უნივერსალურიც.

ბაზისური კომპონენტის განშტოების წესები წარმოქმნის მარტივ პრეტერმინალურ ჯაჭვს, მაგ., ასეთს $Det + N + V$ ან $N + V + Det + N$ და სხვ. და აერთიანებს მათ რთულ ბაზისურ სტრუქტურებში.

რთულ ბაზისურ სტრუქტურებში ლექსიკური ერთეულების შეტანის შედეგად ვიღებთ წინადადების სიღრმულ სტრუქტურას. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ლექსიკური ერთეული რთული ოდენობაა. იგი შედგება გრამატიკული ფორმატივებისა და ლექსემებისაგან. პრეტერმინალურ ჯაჭვში გრამატიკული ფორმატივების შეტანით ვიღებთ ტერმინალურ ჯაჭვს, ხოლო სიღრმული სტრუქტურა მიიღება ტერმინალურ ჯაჭვში ლექსემების შეტანით. სიღრმული სტრუქტურის ცნება ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა ნ. ხომსკის ახალი თეორიაში, რადგან წინადადების სემანტიკური ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მხოლოდ სიღრმული სტრუქტურის ლექსიკურ ერთეულებზე და მარტივ სტრუქტურებში წარმოდგენილ გრამატიკულ ფუნქციებსა და მიმართებებზე.

განვიხილოთ, რა სახით არის წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები სიღრმულ სტრუქტურაში და რა ინფორმაციას იძლევიან ისინი სემანტიკური ინტერპრეტაციისათვის.

ლექსიკონი წარმოადგენს ლექსიკურ ჩანაწერთა სიმრავლეს. ყოველი ლექსიკური ჩანაწერი ხასიათდება განმასხვავებელ ნიშანთა ფონოლოგიური მატრიცით, რომელიც „წარმოთქვამს“ გარკვეულ ლექსიკურ ფორმატივს და იდენტიფიცირებულ სინტაქსურ ნიშანთა ერთობლიობით, რომელიც კომპლექსურ სიმბოლოს წარმოადგენს. ხომსკის აზრით, სრულ გრამატიკაში ლექსიკურ ჩანაწერს უნდა ჰქონ-

დეს დეფინიციებიც. ფორმატივის ბევრი გრამატიკული თვისება შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს უშუალოდ ლექსიკონში სინტაქსური ნიშნების ლექსიკურ ფორმატივებთან მიმართების გზით. სახელდობრ, ამ გზით უნდა დამუშავდეს სხვადასხვა მორფოლოგიური თვისება: ლექსიკურ ერთეულთა შესვლა დერეივაციულ კლასებში, ბრუნებათა კლასები, ძლიერი და სუსტი ზმნები და სხვა. მოკლედ, ლექსიკონი მოიცავს მთელ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია როგორც გრამატიკის სინტაქსური კომპონენტის ტრანსფორმაციული ნაწილისათვის, ისე გრამატიკის ფონოლოგიური და სემანტიკური კომპონენტისათვის. წმინდა სემანტიკური ნიშნები ქმნიან ლექსიკონში კარგად განსაზღვრულ სიმრავლეს. ნიშანი ეკუთვნის ამ სიმრავლეს, თუ იგი არ არის გამოყენებული (ნახსენები) სინტაქსური და ფონოლოგიური კომპონენტის მიერ [133, გვ. 132].


ლექსიკონში შედის ლექსიკურ ერთეულთა სუბკატეგორიზაციის წესები, რომელთა გათვალისწინება საშუალებას იძლევა გრამატიკის კატეგორიალური კომპონენტის მიერ წარმოქმნილ ბაზისურ სტრუქტურაში სწორად იქნეს შეტანილი ლექსიკური ერთეული, რამაც უნდა უზრუნველყოს როგორც გრამატიკულად, ისე სემანტიკურად სწორი წინადადების მიღება. გრამატიკულ სისწორეს უზრუნველყოფენ მკაცრი სუბკატეგორიზაციის წესები, სემანტიკურ სისწორეს — სელექციის წესები. სქემა იხ. [12, გვ. 18].

რა მიმართებაშია ასეთი სტრუქტურის გრამატიკა ტრადიციულ გრამატიკასთან? რას გვაძლევს იგი წინადადების დახასიათებისათვის? ავტორის აზრით, ტრადიციულ გრამატიკებს წინადადების დახასიათება შეეძლოთ სამი თვალსაზრისით: 1. წინადადების კატეგორიალური დახასიათება, ანუ წინადადების დაყოფა შემადგენლებად ისე, რომ ყველა შემადგენელს მიეწერებოდეს გარკვეული კატეგორიალური ნიშანი: წინადადება (S), ზმნური ფრაზა (VP), სახელური ფრაზა (NP) და ა. შ. 2. წინადადების ფუნქციონალური დახასიათება, ანუ წინადადების წევრთა დახასიათება სუბიექტის, პრედიკატის და ობიექტის თვალსაზრისით. 3. წინადადების წევრთა დახასიათება სინტაქსური ნიშნების მიხედვით. ეს დახასიათება გულისხმობს წინადადების წევრთა შესახებ შემდეგი ინფორმაციის მოცემას: წინადადების წევრი მეტყველების რა ნაწილია. თუ არსებითი სახელია. კონკრეტულია იგი თუ აბსტრაქტული, საკუთარი თუ საზოგადო. ადამიანთა თუ არა-ადამიანთა კლასი, სულიერი, უსულო და ა. შ. ზმნის შესახებ უნდა ითქვას, გარდამავალია იგი თუ გარდაუვალი; მის მიერ აღნიშნული მოქმედება როგორი საგნისთვისაა დამახასიათებელი და სხვ. ხომსკი სამივე აღწერას საჭიროდ მიიჩნევს. მისი მიზანია, ეს სამი ინფორმაცია

გაერთიანოს და წარმოადგინოს ფორმალურად წინადადების სტრუქტურულ აღწერაში, ამგვარი სტრუქტურული აღწერა მოგვცეს ექსპლიციტური წესების სახით [133, გვ. 60—61].

ხომსკის აზრით, კატეგორიალური ცნებებისაგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ფუნქციონალური ცნებები. ის გარემოება, რომ ზოგჯერ წინადადების ესა თუ ის წევრი კატეგორიალური და ფუნქციონალური თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა, არ გვაძლევს საფუძველს ისინი გავათანაბროთ. ფუნქციონალური ემთხვევა კატეგორიალურს მხოლოდ სიღრმულ სტრუქტურებში და ამით ისინი განსხვავდებიან ზედაპირული სტრუქტურებისაგან, სადაც ჩვეულებრივ ასეთი იდენტობა არა გვაქვს.

დერივაციულ ხეზე სიღრმული სტრუქტურა შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ



მაგრამ, ხომსკის აზრით, წარმოქმნის პროცესში სუბიექტისა და ობიექტის ცნების შეტანა მიზანშეწონილი არ არის, რადგანაც იგი გამოიწვევდა კატეგორიალური და ფუნქციონალური ცნებების აღრევას. ამას გარდა, ამ ცნებების შეტანა დერივაციაში ჭარბია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი სიღრმული სტრუქტურის გარკვეულ კატეგორიულ კომპონენტებს მიემართებიან ცალსახად. ამ შემთხვევაში დერივაციას ინფორმაცია მათი ფუნქციის შესახებ შეიძლება დაემატოს ინტუიციურად. სხვა მდგომარეობა გვაქვს ზედაპირულ სტრუქტურაში. პასიურ კონსტრუქციაში რეალური სუბიექტი განსაზღვრულია VP კატეგორიით, ხოლო რეალური ობიექტი — S-ით; სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს, რომ ამგვარი ზედაპირული სტრუქტურის მქონე წინადადებებისათვის სხვა სიღრმული სტრუქტურა ვივარაუდოთ [133, გვ. 65—67].

სუბიექტისა და ობიექტის დაკავშირება განმსაზღვრელ S და VP კატეგორიებთან მეტ თავისუფლებას ანიჭებს სიტყვათა რიგის სა-

კითხს წინადადებაში. სუბიექტი აღარ განისაზღვრება, როგორც ზმნის მარცხნივ, ხოლო ობიექტი, როგორც ზმნის მარჯვნივ მდგომი სახელი, როგორც ეს აღრინდელ და ზოგ თანამედროვე გრამატიკებშია წარმოდგენილი.

ხომსკის აზრით, სინტაქსური და სემანტიკური წესების მიმართების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ გარკვეული თვალსაზრისები არის გამოთქმული, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. აქ არსებობს შესაძლებლობათა გარკვეული დიაპაზონი. ამ სფეროში შემდგომი წარმატებები მოითხოვს მაინტერპრეტირებელი სემანტიკური წესების ღრმა შესწავლას. საკითხი სინტაქსისა და სემანტიკის გამყოფი საზღვრების შესახებ არ არის თეორიული წინამძღვარი სინტაქსური და სემანტიკური წესების შესწავლისათვის. პირიქით, საკითხი მათი გამიჯვნის შესახებ ღიად დარჩება მანამ, სანამ ეს სფეროები არ იქნება შესწავლილი უკეთ, ვიდრე ამჟამად არის. ბუნებრივი ენების სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურები ინახავენ ბევრ გამოცანას თავიანთ ფაქტებში. მათი განცალკევების ნებისმიერი ცდა არ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად.

„სინტაქსური თეორიის ასპექტებში“ ჩამოყალიბებულ „სტანდარტულ თეორიას“ თვით ხომსკი უწოდებს სინტაქსურად დაფუძნებულს იმ თვალსაზრისით, რომ იგი ენის ბგერით მხარესა და შინაარსს შორის მიმართებას ამყარებს სინტაქსური კომპონენტის საშუალებით.

ნ. ხომსკის აზრით, „სტანდარტული თეორიის“ მოდიფიკაცია გვაქვს „გაფართოებულ სტანდარტულ თეორიაში“, რომელიც ითვალისწინებს, რომ სემანტიკური რეპრეზენტაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ სიღრმულ სტრუქტურაზე, ზოგ შემთხვევაში იგი ზედაპირულ სტრუქტურას უფრო უკავშირდება, ვიდრე სიღრმულს. ისეთი ფაქტორები, როგორცაა ფოკუსი, პრესუპოზიციაცია, თემა და რემა, ლოგიკური ელემენტების მოქმედების არე და სხვ., ზედაპირულ სტრუქტურაში განისაზღვრებიან სხვაგვარად, ვიდრე სიღრმულ სტრუქტურაში, ამიტომ უნდა მოხდეს გრამატიკის სტანდარტული თეორიის მოდიფიკაცია შემდეგი სახით: სინტაქსური და ფონოლოგიური კომპონენტი იგივე რჩება. იცვლება სემანტიკური კომპონენტი. სემანტიკური ინტერპრეტაცია დამოკიდებულია როგორც სიღრმულ, ისე ზედაპირულ სტრუქტურაზე [151, გვ. 73—75].

როგორც ვხედავთ, მეორე პერიოდის შრომებშიც სინტაქსი კვლავ ფორმალურ სტრუქტურას წარმოადგენს. ხომსკი ხაზს უსვამს, რომ სინტაქსურ დონეზე სემანტიკური ინფორმაცია საჭირო არ არის, მაგრამ გრამატიკის ეს კომპონენტი ისეა აგებული, სახელდობრ, ლექსიკონი ისეთ ინფორმაციას იძლევა, რომ უკვე სიღრმულ სტრუქტურაში

„წარმოშობი სემანტიკის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯ. ლაკოვი ნაშრომში „წარმოშობი სემანტიკის შესახებ“ [170] აყალიბებს თავის თეორიულ თვალსაზრისს, რომელსაც „ბაზისურ თეორიას“ უწოდებს. ნაშრომის ძირითადი დებულებებია:

1. წარმოშობი სემანტიკა თავის საწყისებს იღებს ტრანსფორმაციულ წარმოშობ გრამატიკაში. ~~ესი თანმიმდევრულად იყენებს ტრანსფორმაციული გრამატიკის მეთოდოლოგიას.~~

2. წარმოშობი სემანტიკის წარმომადგენლებს აერთიანებთ იმის აღიარება, რომ სემანტიკა თამაშობს ძირითად როლს სინტაქსური დონისათვის. წარმოშობი სემანტიკის არსებითი პოზიციის მიხედვით სინტაქსი და სემანტიკა არ უნდა გაითიშოს. ტრანსფორმაციებისა და დერივაციული შეზღუდვების ფუნქცია არის ერთმანეთს შეუფარდოს სემანტიკური რეპრეზენტაცია და ზედაპირული სტრუქტურა. ტერმინი „წარმოშობა“, როგორც ტრანსფორმაციული გრამატიკის შემთხვევაში, აქაც ნიშნავს, რომ აღწერა უნდა იყოს მკაცრი და სრული [170, გვ. 232].

3. გრამატიკა არის წესთა სისტემა, რომელიც ენის ბგერებს შეუფარდებს სათანადო მნიშვნელობას.

4. ნებისმიერი ბუნებრივი ენის ნებისმიერი ზედაპირული სტრუქტურა შეიძლება დახასიათდეს „ხეების“ ანუ „ფრაზის აღმნიშვნელთა“ საშუალებით, რომელთაც აქვთ ძირი S და რომლის განსტოებებიც მარკირებულია სიმბოლოთა სასრული რიცხვიდან: S, NP, VP, V... აღებულნი მაჩვენებლით. „ფრაზის აღმნიშვნელი“ განისაზღვრება ისეთ პრედიკატთა ტერმინებით, როგორიცაა: „წინ უსწრებს“, „განსაზღვრავს“, „მარკირებულია“.

5. გრამატიკა წარმოშობს ზედაპირულ სტრუქტურათა უსასრულო კლასს.

6. გრამატიკაში შედის გრამატიკულ ტრანსფორმაციათა სისტემა, რომელიც ერთი სახის „ფრაზის აღმნიშვნელს“ გადაიყვანს სხვა სახის „ფრაზის აღმნიშვნელში“ („ფრაზის აღმნიშვნელს“ გარდაქმნის). ტრანსფორმაცია უზრუნველყოფს სწორედ აგებული წინადადების მიღებას. იგი დერივაციას „ფილტრავს“, არასწორ წინადადებათა მიღებისაგან აზღვევს.

7. გრამატიკაში შედის, აგრეთვე, ლექსიკონი, რომელიც შეიცავს ლექსიკური ერთეულის შესახებ ფონოლოგიურ, სემანტიკურ და სინ-

ტაქსურ ინფორმაციებს. ლექსიკური ერთეული ტრანსფორმაციათა საშუალებით შედის ფრაზის აღმნიშვნელში [170, გვ. 233].

8. გრამატიკები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ დერივაციის რომელ საფეხურზე გამოიყენება ლექსიკური ტრანსფორმაცია (ეს პირობა მეტად მნიშვნელოვანია, ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვეკენება საუბარი, — ლ. ე.).

9. ერთ სინტაქსურ სტრუქტურას შეიძლება რამდენიმე ფრაზის აღმნიშვნელი ჰქონდეს (ომონიმის ან პოლისემიის შემთხვევაში), როდესაც მოცემული გვაქვს რაიმე სინტაქსური სტრუქტურა ფრაზის აღმნიშვნელებით $P_1 \dots P_n$ წინადადების სემანტიკური რეპრეზენტაცია — SR — განისაზღვრება როგორ $SR(P_1, PR, Top, F\dots)$, სადაც PR არის პრესუპოზიციათა კონიუნქცია, Top — წინადადების თემა, ხოლო F — წინადადების ფოკუსი [170, გვ. 234]⁵.

10. ბაზისური თეორია არ თვლის საჭიროდ სიღრმული სტრუქტურის ცნების გამოყენებას.

ტრანსფორმაციული წესების გამოყენება ნ. ხომსკის გრამატიკაში მკაცრად განსაზღვრულია, იგი იწყება სიღრმული სტრუქტურის ჩამოყალიბების შემდეგ. ბაზისურ თეორიაში კი დასაშვებია, რომ ტრანსფორმაცია წინ უსწრებდეს ტერმინალურ ჯაჭვში ლექსიკური ერთეულების ჩასმას (სიღრმულ სტრუქტურას) ან მოსდევდეს მას. ტრანსფორმაციული წესების ამგვარ გამოყენებას ლაკოვი ემპირიული მასალის ადეკვატური და მარტივი აღწერის საჭიროებით ასაბუთებს. შედეგად ვიღებთ არსებით ცვლილებას ნ. ხომსკის გრამატიკაში: გრამატიკის სიღრმული კომპონენტი კარგავს აზრს.

სწორედ ეს უკანასკნელი არის ის არსებითი პუნქტი, რომლითაც ხომსკის თეორია და ლაკოვის „ბაზისური თეორია“ უპირისპირდებიან ერთმანეთს. ძირითადად ამ პუნქტით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხომსკის თეორია და „წარმომშობი სემანტიკის“ მეორე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის მაკ-კოლის თვალსაზრისიც. მაკ-კოლი მრავალმხრივ აკრიტიკებს ხომსკის გრამატიკას. მისი კრიტიკა შეეხება „გადაწერის წესებს“ ხომსკის გრამატიკაში [171], ლექსიკონში ლექსიკური ერთეულების განმარტებას [172] და სხვ. ხომსკის გრამატიკის „მუშაობის“ სუსტი მხარეები მაკ-კოლის საფუძველს აძლევს საერთოდ კრიტიკულად შეხედოს ტრანსფორმაციული გრამატიკის სტრუქტურას. არსებითი ამ კრიტიკაში სიღრმული სტრუქტურის სა-

⁵ ავტორი შესაძლებლად თვლის სხვა სემანტიკურ მაჩვენებელთა შემოტანასაც სემანტიკურ რეპრეზენტაციაში, მაგრამ მათზე არ ჩერდება. ვანმარტავს, რას ნიშნავს პრესუპოზიციით, თემა და ფოკუსი, რადგან ამ ცნებათა გაგებაში ერთგვარობა არ არისო [170, გვ. 234].

კითხია. მაკ-კოლი თვით აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში მისი ოვალსაზრისი სიღრმული სტრუქტურის შესახებ შეიცვალა. ხომსკის მიერ 1965 წელს გამოცემული გრამატიკის ბევრი დეტალი მას საკმაოდ მოაჩნდა, მაგრამ იგი იღებდა ხომსკის ამოსავალ პუნქტს, სახელდობრ, ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ გრამატიკის შემადგენლობაში შედის: 1. ბაზისური კომპონენტი, რომელიც შეიცავს პოტენციურს, სწორად გაფორმებულ სიღრმულ სტრუქტურას. 2. სემანტიკური კომპონენტი, რომელიც შეუფარდებს სიღრმულ სტრუქტურას სემანტიკურ რეპრეზენტაციას და 3. ტრანსფორმაციული კომპონენტი, რომელიც სიღრმულ სტრუქტურას გადაიყვანს ზედაპირულ სტრუქტურაში. ეს არის სამი დონე ლინგვისტური რეპრეზენტაციისა, რომელიც ძირითადად მიღებულია მკვლევართა მიერ. ეჭვი არ არის, აღნიშნავს ავტორი, რომ ამ სამთავან აუცილებელია სემანტიკური და ზედაპირული სტრუქტურის რეპრეზენტაცია. იგი აუცილებელია ლინგვისტური სისტემის ყოველგვარი აღწერისათვის, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას სიღრმული სტრუქტურის შესახებ. ავტორს შესაძლებლად მიაჩნია, რომ გრამატიკაში შეიძლება გვექონდეს არა ეს სამი დონე, არამედ, „ფორმაციის წესთა კომპონენტი“, რომელიც დაახასიათებს სწორად გაფორმებული სემანტიკური რეპრეზენტაციის სტრუქტურის წევრებს და „ტრანსფორმაციული კომპონენტი“, რომელიც შეუფარდებს სემანტიკურ რეპრეზენტაციას ზედაპირულ სტრუქტურას. ასეთ შემთხვევაში სიღრმული სტრუქტურა საკირო აღარ აღმოჩნდება.

ავტორის აზრით, ხომსკის გრამატიკაში წარმოდგენილი სინტაქსური და სემანტიკური კომპონენტი უნდა შეიცვალოს ერთიანი წესთა სისტემით, შუამავალი რგოლით, რომელიც გარდაქმნის სემანტიკურ რეპრეზენტაციას ზედაპირულ სტრუქტურად.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში დაისვას კითხვა: რა სახის წესები უნდა შედიოდეს გრამატიკის ასეთ კომპონენტში? იგი უნდა შეიცავდეს ცალკე სემანტიკური რეპრეზენტაციის შემცველ წესებს და ცალკე სინტაქსური რეპრეზენტაციის განმსაზღვრელ წესებს, თუ წესთა ერთიან ჰომოგენურ სისტემას?

ავტორის აზრით, სემანტიკური რეპრეზენტაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც მოწესრიგებული ხე, რომლის მარყუქები მარკირებული არის სინტაქსური კატეგორიებით. სისტემა წესებისა, რომელიც გარდაქმნის სემანტიკურ რეპრეზენტაციას სემანტიკურ სტრუქტურად, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც წესთა სისტემა, რომელიც ასახავს მოწესრიგებული მარკირებული განშტოების მქონე ხეებს მოწესრიგებულ მარკირებული განშტოების მქონე ხეებზე. ამ წესებში უნდა შედიოდეს არა მარტო „განსაზღვრის“, „წაშლის“ და

„გადაადგილების“ წესები, რომლებიც ფორმირებული არიან ნ. ხომსკის თეორიაში, არამედ, აგრეთვე, ლექსიკური ჩართვის ტრანსფორმაცია, რომელიც ჩასვამს ლექსიკურ ერთეულს მარკირებული ხის შესაბამის ადგილას.

მართალია, „ლექსიკური ჩართვის ტრანსფორმაცია“ ხომსკის გრამატიკაშიც შედის, მაგრამ სხვაგვარია მაკ-კოლისთან მისი გამოყენების ადგილი და თანამიმდევრობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხომსკის მართებულად მიაჩნია, რომ უველა ლექსიკური ტრანსფორმაცია უნდა შევიდეს ბაზისურ კომპონენტში სხვა ტრანსფორმაციების გამოყენებამდე. სხვა ავტორები (გრუბერი, ლაკოვი, როსი) ამტკიცებენ, რომ არ არის აუცილებელი ლექსიკურ ტრანსფორმაციათა ამგვარი შეზღუდვა. ერთ შემთხვევაში იმას ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ტრანსფორმაცია ხორციელდება უფრო ადრე, ვიდრე ამას „ასპექტები“ ეარაუდობს, ხოლო სხვა შემთხვევაში — უფრო გვიან, რიგ ტრანსფორმაციათა ჩატარების შემდეგ. თვალსაზრისი, რომელსაც მაკ-კოლი იცავს ამ ნაშრომში, მდგომარეობს იმაში, რომ ლექსიკური ერთეულები უნდა ჩაისვას შემადგენლების ადგილას, რომელნიც მიიღებიან გარკვეულ ტრანსფორმაციათა შედეგად (ასეთია, მაგალითად, პროცედურა კაუზატიური ზმნების წარმოსაქმნელად). ამგვარად, ისპობა განსხვავება „ტრანსფორმაციულად წარმოქმნილსა“ და „ლექსიკურს“ შორის, ამ განსხვავებას კი ხომსკი და მისი მიმდევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

„წარმომშობი სემანტიკის“ სხვა წარმომადგენლებს (პ. პოსტალი, ჯ. როსი, ჩ. ფილმორი, ე. ბახი და სხვ.) აერთიანებთ ანალოგიური დამოკიდებულება სიღრმული სტრუქტურისადმი. სიღრმული სტრუქტურის ადგილს „წარმომშობ სემანტიკაში“ სემანტიკური კომპონენტი იჭერს [170].

ერთ-ერთი ავტორი, რომელიც კრიტიკულად უდგება ნ. ხომსკის გრამატიკას და დამოუკიდებლად ამუშავებს სემანტიკურ თეორიას, არის უ. ლ. ჩეიფი [139].

ჩეიფი „წარმომშობი სემანტიკის“ სხვა წარმომადგენელთა მსგავსად უარყოფს სიღრმულ სტრუქტურას, მაგრამ მას ამ ავტორთაგან განასხვავებს დერივაციის პროცესის მიმართულებისადმი პრინციპული მნიშვნელობის მინიჭება.

ჩეიფის მიერ დამუშავებული გრამატიკა იწყება სემანტიკით.

მისი მსჯელობა ასეთია: იქედან ამოსვლით, რომ ენა არის მნიშვნელობის გარდაქმნა ბგერით ნაკადად, ჰიპოთეტურად ხდება საწყისი სემანტიკური სტრუქტურის აღწერა, სადაც თავმოყრილია მნიშვნელობათა კონფიგურაციები. ეს სემანტიკური კონფიგურაციები ექვემ-

დებარება სხვადასხვა პოსტემანტიკურ პროცესებს, რის შედეგადაც ვიღებთ ზედაპირულ სტრუქტურას. უკანასკნელი ჩერ კიდევ შეიცავს ისეთი სემანტიკური ხასიათის ერთეულებს, რომლებიც წარმოდგენილი არ იქნება ფონეტიკურ სტრუქტურაში. შემდეგ, სიმბოლიზაციის საშუალებით ზედაპირული სტრუქტურის ელემენტები გადადიან ამოსავალ ფონოლოგიურ სტრუქტურაში — კონფიგურაციებში. ასეთი „მორფოფონოლოგიური“ კონფიგურაციები გარკვეული პროცესების შედეგად გვაძლევენ ფონეტიკურ სტრუქტურას. მაგალითად: უპირველეს ყოვლისა გვაქვს ცნებები და სხვადასხვა კონფიგურაციებში მათი კომბინაციის საშუალებები; ეს არის სემანტიკური სტრუქტურა. ავიღოთ ორი ცნება:

1. cat
2. მრ. რიცხვი.

ლინეარიზაციის პროცესის საშუალებით იგი გადადის ერთ განზომილ-
 ლებაში $\overline{\text{cat}}$ მრ. რ. და ვიღებთ ზედაპირულ სტრუქტურას. სიმ-

ბოლიზაციის პროცესი გვაძლევს ფონოლოგიურ სტრუქტურას $kæt s$,
 ხოლო ბოლოს ვიღებთ ფონეტიკურ სტრუქტურას $kæts$.

რით განსხვავდება გრამატიკის ამგვარი სტრუქტურა სხვა გრამატიკებისაგან, სახელდობრ, ხომსკის გრამატიკისაგან?

ერთ-ერთი აუცილებელი და, ჩეიფის აზრითვე, სადავო ამ გრამატიკაში არის მიმართულება სემანტიკიდან ფონეტიკური სტრუქტურისაკენ. ეს არის გარდაქმნა მნიშვნელობისა ბგერაში და არა ბგერისა — მნიშვნელობაში. ბევრი მეცნიერის (მათ შორის იელმსლევის) აზრით, მიმართულება შებრუნებადია, რადგან საქმე გვაქვს მეტყველ-მსმენელთან. ჩეიფის აზრით კი, მხოლოდ მის მიერ დასახელებული თანამიმდევრობაა დამახასიათებელი ენისათვის, რადგან სემანტიკური სტრუქტურა გაცილებით უფრო რთულია და პოსტემანტიკური პროცესები გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი, ვიდრე ფონოლოგიური სტრუქტურა და ფონეტიკური პროცესები. ამის ნათელ დადასტურებად ავტორი თვლის თუნდაც ომონიმიის არსებობას. გარდა ამისა, შენიშნავს ავტორი, სწორად აგებული სემანტიკური სტრუქტურა ყოველთვის მოგვცემს სწორ ფონეტიკურ რეპრეზენტაციას, პირიქით კი შეუძლებელია, შეიძლება სწორმა ფონეტიკურმა სტრუქტურამ უაზრობა მოგვცეს. მეტყველების პროცესში მნიშვნელობას და ბგერას არა აქვს ერთნაირი ხვედრითი წონა. მნიშვნელობა ყოველთვის მონაწილეობს მეტყველების აქტში, ბგერა კი — არა. მეტყველი ჩერ

სემანტიკურ სტრუქტურას წარმოქმნის და მერე გარდაქმნის მას ბგერაში. მსმენელი გაიგონებს რა ბგერებს, იცის, რომ მას რაღაც მნიშვნელობა ექნება და ცდილობს აღადგინოს სემანტიკური სტრუქტურა, რითაც დაიწყო მეტყველმა [139, გვ. 40].

ჩეიფის ეს თვალსაზრისი უპირისპირდება, ერთი მხრივ, სტრუქტურალიზმს, რომელიც გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევდა ფონეტიკას, და, მეორე მხრივ, წარმომშობ-ტრანსფორმაციულ გრამატიკას, რომელსაც ავტორი უწოდებს „სინტაქსიზმს“, რადგანაც ამ გრამატიკაში სინტაქსია განმსაზღვრელი. ჩეიფის აზრით, ხომსკის გრამატიკა არ იძლევა ერთ მიმართულებას მნიშვნელობიდან ბგერისაკენ. ამ კონცეფციის მიხედვით დერივაციის თანამიმდევრობა არ არის მკაცრად განსაზღვრული. შეიძლება სემანტიკური ინტერპრეტაცია აისახოს სიღრმულ სტრუქტურაში, რომელიც აისახება ზედაპირულ სტრუქტურაში და შემდეგ ფონეტიკურ სტრუქტურაში ან, პირიქით, ჯერ ფონეტიკური რეპრეზენტაცია აისახება ზედაპირულ სტრუქტურაში, რომელიც აისახება სიღრმულ სტრუქტურაში, და შემდეგ სემანტიკურ ინტერპრეტაციაში. ხომსკი თვლის, რომ როგორც „სინტაქსურ“, ისე „სემანტიკურ“ თეორიას საფუძვლად უდევს ერთი სისტემა, ასახვის მიმართულებას მნიშვნელობა არა აქვს [139, გვ. 80].

ჩეიფის აზრი, ხომსკის ამ მსჯელობის საპასუხოდ, ასეთია: ენა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ასახვათა სისტემა. სხვადასხვა ობიექტები, რომლებიც ენაში არსებობს, ურთულესი ობიექტებია და, უპირველეს ყოვლისა, დაისმის საკითხი მათი წარმოქმნის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსფორმაციის პროცესის გვერდით არსებობს ფორმაციის პროცესი. ავტორის აზრით, ფორმაციის პროცესი ლოკალიზდება სემანტიკის სფეროში; სწორი სემანტიკური სტრუქტურა უზრუნველყოფს სწორ ზედაპირულ სტრუქტურას და ფონეტიკურ რეპრეზენტაციას. ცდა იმისა, რომ ფორმაციის პროცესი მოთავსდეს ფონეტიკური სტრუქტურის სფეროში, ავტორს აბსურდულად ეჩვენება. მისი აზრით, არც ზედაპირული სტრუქტურის სფეროში შეიძლება მისი მოთავსება. ჩეიფი შენიშნავს, რომ ასე სტრუქტურალისტები იქცეოდნენ და ნაკლებ წარმატებას მიაღწიესო. ჩეიფის აზრით, მარცხით დამთავრდა „სინტაქსისტების“ ცდაც, მოეთავსებინათ ფორმაციის პროცესი ჰიპოთეტურად სინტაქსურ სიღრმულ სტრუქტურაში, რადგან „სინტაქსისტები“ ჯერ კიდევ საჭიროდ თვლიდნენ გამიჯნვოდნენ სემანტიკას [139, გვ. 80].

ჩეიფი კვლავ და კვლავ კატეგორიულად იმეორებს, რომ სწორი წინადადების მისაღებად აუცილებელია სემანტიკური სტრუქტურით დაწყება.

ამგვარად, განსხვავება „სინტაქსიზმსა“ და ჩეიფის „სემანტიზმს“ შორის არის იმის დაშვებაში, თუ სად ფორმირდება, სად განისაზღვრება სწორი ენობრივი გამონათქვამი, სემანტიკურ სტრუქტურაში თუ ჰიპოთეტურ სიღრმულ სტრუქტურაში, რომელიც, ჩეიფის აზრით, მდებარეობს სადღაც სემანტიკურსა და ზედაპირულ სტრუქტურათა შორის. ჩეიფი გახაზავს, რომ „სინტაქსისტურ“ თეორიაში სემანტიკა დამხმარე როლს თამაშობს, ხოლო „სემანტიკურში“ იგი წამყვანია [139, გვ. 81].

ჩეიფის აზრით, სემანტიკური მოდელის საფუძველზე გაცილებით ადვილია ენის გამოყენების ახსნა. ენის გამოყენება ნიშნავს სათქმელის როგორღაც გამოხატვას. სათქმელი უნდა დანაწევრდეს შესაბამისი ენის სემანტიკური სტრუქტურის მოთხოვნილებების მიხედვით. შემდეგ ეს სტრუქტურა უნდა გარდაიქმნას ბგერებად. ავტორის აზრით, სინტაქსისტთა მოდელი ვერ ასახავს ენის გამოყენებას, ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ შემოეტანათ „ენის ცოდნისა“ და „ენის გამოყენების“ ცნებები, მათ მიერ აგებული მოდელი ენის ცოდნის მოდელია, მაგრამ არა ნაკლებ ანგარიშგასაწვევია ენის გამოყენება. ჩეიფის აზრით, ენის ცოდნისა და სინტაქსურ მოდელს შორის შეხვედრის წერტილების ძიება მიუღწეველი ამოცანაა [139, გვ. 22].

ჩეიფი ყურადღებას ამახვილებს სიღრმული სტრუქტურის გაურკვეველ ბუნებაზე „სინტაქსისტურ თეორიაში“. სინტაქსიზმის მიხედვით სიღრმული სტრუქტურა არის ენის შემოქმედების ცენტრი; სემანტიზმის თვალსაზრისით გაუგებარია, რატომ უნდა იყოს აყვანილი ასეთ გადამწყვეტ სტატუსზე მოვლენები, რომლებიც იმყოფება სემანტიკასა და ზედაპირულ სტრუქტურას შორის? როგორია ამ მოვლენის კონკრეტული თვისებანი? ჩეიფის აზრით, სინტაქსიზმის პირველ ეტაპზე სიღრმული სტრუქტურა ძალიან გავდა ზედაპირულ სტრუქტურას. მათ შორის მხოლოდ სხვადასხვა ტრანსფორმაციები მოქმედებდნენ. სიღრმული სტრუქტურა არ უზრუნველყოფდა სემანტიკურად სწორი წინადადების წარმოქმნას. მასში არ გვექონდა იმაზე მეტი ინფორმაცია, რასაც შეიცავდა ცალკეული მორფემა ზედაპირულ სტრუქტურაში. დროთა განმავლობაში სურათი შეიცვალა. სიღრმული სტრუქტურა დაუახლოვდა ზედაპირულ სტრუქტურას. გრამატიკას უნდა წარმოექმნა არა მარტო გრამატიკულად, არამედ სემანტიკურადაც სწორი წინადადება. ამ მოთხოვნამ განაპირობა ის, რომ სიღრმული სტრუქტურაშივე მხედველობაში ყოფილიყო მიღებული სემანტიკური ელემენტები: „სულიერი“, „ადამიანი“ და სხვ. ასეთი ელემენტების რიცხვი თანდათან გაიზარდა და დაიკარგა ზღვარი სინტაქსისა და სემანტიკის შორის. სიღრმული სტრუქტურა სემანტიკამ მოიცვა და

სიღრმული სტრუქტურის არსებობა სემანტიკის გვერდით სრულიად გაუმართლებელი აღმოჩნდა (ჩეიფს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, რომ სემანტიკური თეორია უფრო მხერხებულია რიგ მოვლენათა ასახსნელად) [138, გვ. 82—84].

ლაკოვის, მაკ-კოლისა და ჩეიფის ნაშრომთა ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორია მსგავსება და განსხვავება ხომსკის თეორიასა და „წარმომშობ სემანტიკას“ შორის. „წარმომშობმა სემანტიკამ“ დაიმკვიდრა ახალი ნაკადის, ახალი მიმდინარეობის სახელწოდება თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ზოგჯერ იმასაც აღნიშნავენ, რომ იგი დიამეტრულად ეწინააღმდეგება ხომსკის თეორიას.

სამართლიანია თუ არა ასეთი შეფასება? როგორია თვით ხომსკის დამოკიდებულება ამ ახალი მიმდინარეობისადმი?

ნაშრომში „სიღრმული სტრუქტურა, ზედაპირული სტრუქტურა და სემანტიკური ინტერპრეტაცია“ [151, გვ. 73—75] ნ. ხომსკი განიხილავს მაკ-კოლის, ლაკოვის და სხვათა შრომებს და აღნიშნავს, რომ ძირითადი კრიტიკა მოდის სიღრმული სტრუქტურის ცნებაზე და სინტაქსური სტრუქტურისა და სემანტიკური რეპრეზენტაციის მიმართების საკითხზე. ნ. ხომსკის აზრით, ბევრი კრიტიკული თვალსაზრისი არის „სტანდარტული თეორიის“ რეალიზაცია ტერმინოლოგიის გარკვეული შეცვლით. რაც შეეხება „სტანდარტული თეორიის“ ისეთ მოდიფიკაციას, რომელიც გვხვდება ფილმორის შრომაში „ბრუნვათა შესახებ“, ხომსკის აზრით, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ იგი გადმოსცემს გარკვეულ ფაქტებს „პირდაპირი გზით“, მაშინ, როდესაც „სტანდარტული თეორია“ იმასვე აკეთებს „არაპირდაპირი“ გზით. ამიტომ განსხვავების იქნება ამ ორ თეორიას შორის აზრს მოკლებულიაო [151, გვ. 75].

იმის გამო, რომ „წარმომშობ სემანტიკაში“ წინადადების წარმოქმნა სემანტიკით იწყება და ჯერ სემანტიკური რეპრეზენტაცია აისახება სინტაქსურ აღწერაში, ხოლო შემდეგ სინტაქსური აღწერა აისახება ფონეტიკურ რეპრეზენტაციაში, წარმომშობ სემანტიკას ხშირად უწოდებენ „სემანტიკურად დაფუძნებულ გრამატიკას“, ხოლო საპირისპიროდ ხომსკის გრამატიკა „სინტაქსურად დაფუძნებულად“ ითვლება (იხ. ზემოთ, გვ. 33). ხომსკის აზრით, არ ჩანს განსხვავება „სინტაქსურად დაფუძნებულ“ და „სემანტიკურად დაფუძნებულ“ თეორიებს შორის. სტანდარტული თეორია წარმოქმნის ოთხეულს (P, s, d, S), სადაც P ფონეტიკური რეპრეზენტაციაა, s — ზედაპირული სტრუქტურა, d — სიღრმული სტრუქტურა, S — სემანტიკური რეპრეზენტაცია. აზრს მოკლებულია იმაზე დავა, რომელი მათგანი უნდა წარმო-

იქმნას პირველად. ამ ოთხეულის ნებისმიერი თანამიმდევრობა გეტო-
ვებს ერთი თეორიის ფარგლებში. აქ ასახვის მიმართულება არ არის
ძირითადი ცნება და ამიტომ ამ თვალსაზრისით „სინტაქსურად და-
ფუძნებული“ და „სემანტიკურად დაფუძნებული“ თეორიები ერთ-
მანეთის პარალელური აღმოჩნდება [151, გვ. 70].

საინტერესოა ხომსკის ამ მსჯელობაზე ლაკოვის შენიშვნა: ლაკო-
ვის აზრით, არც „ბაზისური თეორიისთვის“ არის ასახვის მიმართუ-
ლება (ფონეტიკიდან სემანტიკისაკენ თუ სემანტიკიდან ფონეტიკაზე)
მნიშვნელოვანი ცნება. დერივატია ციკლურია და ციკლში რაიმე მი-
მართულებაზე ლაპარაკი აბსურდია. შესაძლებელია წასვლა ქვემო-
დან ზემოთ ზედაპირული სტრუქტურისაკენ და ზემოდან ქვემოთ —
სემანტიკისაკენ. აეტორის აზრით, ბევრმა მკითხველმა მცდარი დას-
კვნა გამოიტანა ნ. ხომსკის მიერ ნახმარი ტერმინების საფუძველზე
„სინტაქსურად დაფუძნებული გრამატიკა“ და „სემანტიკურად და-
ფუძნებული გრამატიკა“ და ერთმანეთს დაუპირისპირა ისინი, როგორც
ალტერნატიული გრამატიკები. ლაკოვის აზრით, ხომსკი სავსებით მარ-
თებულად ამბობს, რომ თუ მოცემული გვაქვს S (სემანტიკური რე-
პრეზენტაცია) და P (ფონეტიკური რეპრეზენტაცია), აზრი არა აქვს
ვილაპარაკოთ დერივატიის მიმართულებაზე, S-დან P-საკენ თუ
P-დან S-საკენ. ამ შემთხვევაში ტერმინებს მხოლოდ ტექნიკური მნიშ-
ვნელობა აქვთ, გაუგებრობა გამოიწვია იმან, შენიშნავს ლაკოვი, რომ
შემდეგ ეს ტერმინები ხომსკიმ იხმარა თავისი თეორიისა და მაკ-კო-
ლის იმ თეორიის გასამიჯნავად, სადაც მაკ-კოლი უარყოფდა სიღრმულ
სტრუქტურას და დერივატიის პირველ საფეხურს, P-ს პირდაპირ
ათანაბრებდა S-თან (სემანტიკურ ინტერპრეტაციასთან). ამგვარად,
„სემანტიკურად დაფუძნებული“ გახდა „წარმომქმნელი სემანტიკის“
სინონიმი და შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ეს ორი გრამატიკა
(ხომსკისა და მაკ-კოლისა) ერთმანეთს უპირისპირდებიან ასახვის მი-
მართულების მიხედვით, მაშინ როდესაც არც მაკ-კოლისათვის იყო
„ასახვის მიმართულება“ არსებითი. მთავარი აქ, როგორც აღნიშნუ-
ლი იყო, სიღრმული სტრუქტურის საკითხია [170, გვ. 236—237].

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი აეტორი, რომელმაც ასახვის მი-
მართულებას არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა, არის ჩეიფი, თუმცა
ლაკოვს მიაჩნია, რომ ჩეიფის მტკიცებას აკლია ემპირიული საფუძვე-
ლი.

სპეციალურ ლიტერატურაში ჯერჯერობით არ შეგვხვედრია ხომ-
სკის მიერ ჩეიფის თვალსაზრისის შეფასება, მაგრამ ცნობილია, რომ
ტრანსფორმაციული გრამატიკის შექმნის პირველი ეტაპებიდანვე სა-
დავო გახდა საკითხი — ტრანსფორმაციული გრამატიკა წინადადების

ანალიზს ახდენს, თუ სინთეზს. ხომსკი საკითხის ამგვარ დასმას არ მიიჩნევდა სწორად. მისი აზრით, გრამატიკა ერთდროულად ანალიზ-საც ახდენს და სინთეზსაც. მას მხოლოდ ერთი მიმართულება არა აქვს.

ჩვენ გვეჩვენება, რომ ანგარიშგასაწვევია ჩეიფის აზრი იმის შესახებ, რომ თუ საკითხს ასე დავსვამთ, მაშინ დავრჩებით მხოლოდ ენის ცოდნის სფეროში და ენის გამოყენების პროცესს ნათლად ვერ წარმოვიდგენთ. არ შეიძლება მეტყველების პროცესში მნიშვნელობა არ ჰქონდეს „ასახვის მიმართულებას“ და ნებისმიერად შეიძლებოდეს გრამატიკის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა, ყოველ შემთხვევაში, თუ შევეცდებით ავტომატურად მანქანას წარმოვათქმევინოთ წინადადება, გარკვეული თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელი აღმოჩნდება. სხვა ვითარება გვექნება ენის „ცოდნის“ შემთხვევაში. აქ, მართლაც, პროცესი შებრუნებადი, ციკლური უნდა იყოს და ამის გამო ასახვის მიმართულება არსებითი არა ჩანს.

როგორც ხომსკის თეორიის, ისე „წარმომშობი სემანტიკის“ შეფასებისას უფრო მნიშვნელოვანი სიღრმული სტრუქტურის საკითხია. ჩვენი აზრით, ხომსკის მიერ „წარმომშობი სემანტიკის“ შეფასება არ არის ობიექტური. „წარმომშობი სემანტიკა“ არ არის „სტანდარტული თეორიის“ რეალიზაცია მხოლოდ ტერმინოლოგიის გარკვეული შეცვლით. რა თქმა უნდა, გადაჭარბებული ჩანს იმის მტკიცება, რომ „წარმომშობი სემანტიკა“ არის პრინციპულად ახალი მიმდინარეობა, რომ იგი დიამეტრულად უპირისპირდება ხომსკის წარმომშობ გრამატიკას. „წარმომშობი სემანტიკა“ ხომსკის წარმომშობი გრამატიკის განშტოებაა, მის საფუძველზე აღმოცენებული. იგი თანამიმდევრულად იყენებს ტრანსფორმაციული გრამატიკის მეთოდოლოგიას. „წარმომშობი სემანტიკაში“ წინ არის წამოწეული სემანტიკის საკითხი. ამ თვალსაზრისით იგი დიამეტრულად განსხვავდება ხომსკის პირველი პერიოდის გრამატიკისაგან და არა „გაფართოებული სტანდარტული თეორიისაგან“, სადაც სემანტიკა ასევე დიდ ადგილს იჭერს. თუმცა პრინციპული განსხვავება ამ ორ გრამატიკას შორის არის არა ის, თუ რა მოცულობითაა მასში მოცემული სემანტიკა, არამედ ის, თუ გრამატიკის რომელ ნაწილშია წარმოდგენილი იგი და რა მიმართებაშია სიღრმულ სტრუქტურასთან, რომელიც ხომსკის თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

თავისთავად სიღრმული სტრუქტურის საკითხი ხომსკის თეორიაში ერთ-ერთი სადავო საკითხია. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთი ცნობილი ენათმეცნიერი ეხება სიღრმული სტრუქტურის სტატუსს. გამოთქმულია დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრები ამ ცნების

შესახებ [40, 59, 117, 127]. ამის საფუძველს კი თვით ხომსკის თეორიის ანალიზი იძლევა. ხომსკის არც ერთ ნაშრომში არა გვაქვს სიღრმული სტრუქტურის საბოლოო, ცალსახა, მკაცრი განსაზღვრა. ყოველი ახალი კონკრეტული ენობრივი ფაქტი გარკვეულ ცვლილებას იწვევს სიღრმული სტრუქტურის განმსაზღვრელ წესებში. ეს კი საეჭვოს ხდის თვით სიღრმული სტრუქტურის უნივერსალობისა და აუცილებლობის საკითხს. ამჟერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს სიღრმული სტრუქტურის რაობაზე მსჯელობა, ამ საკითხებს ნაშრომის მეორე თავშიც შევეხებით. მიუვითებთ მხოლოდ იმ სიძნელეზე, რომელიც წარმოიქმნება გრამატიკაში სემანტიკის ადგილის გარკვევისას. ხომსკი აღნიშნავს, რომ სიღრმულ სტრუქტურაში მოცემულია მთელი ინფორმაცია, რაც საჭიროა წინადადების სემანტიკური ინტერპრეტაციისათვის; ხომსკის გრამატიკაში სემანტიკური ინფორმაცია მოცემულია ბაზისურ ლექსიკონში და, ამას გარდა, ცალკე გამოიყოფა სემანტიკური კომპონენტი და სემანტიკური ინტერპრეტაციის დონე. არ არის ნათელი, როგორ უნდა გაიმიჯნოს სინტაქსური და სემანტიკური ნიშნები ლექსიკურ ერთეულთან. მკაცრ ფორმულირებად ვერ ჩაითვლება განმარტება, რომ ის ნიშნები, რომლებიც არ მონაწილეობენ არც ერთ სინტაქსურ წესში, განეკუთვნებიან სემანტიკურ ნიშნებს [133, გვ. 132]. ცხადია, გრამატიკა, რომელშიაც ასეთი განუსაზღვრელი ადგილი უჭირავს სემანტიკას, ვერ დააკმაყოფილებს სიმარტივის მოთხოვნას. ამ თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება „წარმომშობ სემანტიკას“, სადაც სემანტიკა კომპაქტურად გრამატიკის დასაწყისში იჭერს ადგილს და ამით, ზოგი მკვლევარის აზრით, საფუძველს აცლის ხომსკის თეორიის ამოსავალ ცნებას — სიღრმულ სტრუქტურას [12].

როგორც აღნიშნული იყო, „წარმომშობი სემანტიკის“ სახით წარმომშობი გრამატიკის განვითარებაში ახალი მიმდინარეობა გაჩნდა. ამ ახალი მიმდინარეობის გაჩენა ემპირიული მასალის კვლევამ გამოიწვია. საეარაუდოა, რომ მომავალში ემპირიული მასალის კვლევის ადეკვატურობისა და სიმარტივის მოთხოვნა კვლავ ბევრ ცვლილებას შეიტანს წარმომშობ გრამატიკაში; დახვეწს და სრულყოფს მას.

„წარმომშობი სემანტიკის“ საბოლოო შეფასებაში ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ჭერჭერობით არ არსებობს ამ თეორიის პრინციპებზე აგებული კონკრეტულ ენათა გრამატიკები. ცალკეულ ფაქტთა ეფექტური აღწერა მთელი თეორიის ობიექტურად შეფასების საფუძველს არ იძლევა. ჩვენი აზრით, ცალკე, დეტალურ ანალიზს მოითხოვს ფილმორისა და ხომსკის თეორიათა მიმართების საკითხი, აქ განსხვავება უფრო არსებითია, ვიდრე ეს აღნიშნული აქვს ხომსკის.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნ. ხომსკის ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის კრიტიკულ შეფასებათა და მისი განვითარების ცდათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩარლზ ფილმორის თეორიას. ფილმორის თეორია ძირითადად ჩამოყალიბებულია ნაშრომში „ბრუნვათა შესახებ“ [156]. ზოგადად კი, თავის სხვადასხვა ნაშრომში წარმოდგენილ სინტაქსურ მოდელს ფილმორი „ბრუნვათა გრამატიკას“ უწოდებს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ფილმორის „ბრუნვათა გრამატიკა“ დიამეტრულად ეწინააღმდეგება ნ. ხომსკის გრამატიკას, წარმოადგენს მის არსებით სახეცვლილებას. [95, 157, 173]. თვით ხომსკი კი აღნიშნავს: „რაც შეეხება „სტანდარტული თეორიის“ ისეთ მოდიფიკაციას, რომელიც გვხვდება ფილმორის შრომებში „ბრუნვათა შესახებ“, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ იგი გადმოსცემს გარკვეულ ფაქტებს „პირდაპირი გზით“, მაშინ, როდესაც „სტანდარტული თეორია“ იმასვე აკეთებს „არაპირდაპირი გზით“, ამიტომ განსხვავების ძიება ამ ორ თეორიას შორის აზრს მოკლებულია“ [151, გვ. 73—75].

მტკიცება ამ ორი თეორიის იდენტურობის შესახებ ხომსკის ნაშრომებში მოცემული არ არის. ჩვენს მიზანს წარმოადგენს გავაანალიზოთ „ბრუნვათა გრამატიკისა“ და „სტანდარტული თეორიის“ ძირითადი დებულებანი, შევედაროთ ისინი ერთმანეთს და კრიტიკულად შევაფასოთ თითოეული მათგანი, რის საფუძველზეც შესაძლებლობა მოგვეცემა ვიმსჯელოთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა შესახებ. ყურადღებას ამ შემთხვევაშიც სინტაქსის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვამახვილებთ.

ძირითადი საკითხი, რომელიც გამოიყოფა ამ ორი თეორიის შედარების დროს, არის „სიღრმული სტრუქტურისა“ და „ზედაპირული სტრუქტურის“ საკითხი. უფრო კონკრეტულად: სად განისაზღვრება, სად ყალიბდება სახელის ესა თუ ის ბრუნვა წარმომშობი გრამატიკაში, სიღრმულ სტრუქტურაში, ზედაპირულ სტრუქტურაში (თუ დავრჩებით ხომსკის წარმომშობი გრამატიკის ფარგლებში), თუ საჭიროა სხვა ცნების შემოტანა, ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის მოდიფიკაცია?

ხომსკის მიხედვით, სიღრმულ სტრუქტურაში ლექსიკური ერთეულის შესახებ გვაქვს ინფორმაცია: რომელ გრამატიკულ კატეგორიას განეკუთვნება იგი და რა ფუნქციას ასრულებს. ამასთან ფუნქცი-

ური დახასიათება შემოისაზღვრება მხოლოდ სუბიექტისა და ობიექტის ცნებით.

როგორც ცნობილია, სუბიექტსა და ობიექტს კონკრეტულ ენებში სხვადასხვაგვარი ფორმალური გამოხატულება აქვთ. ისინი ან გარკვეული ბრუნვით ფორმდებიან, ან გარკვეული პოზიცია უჭირავთ. სად განისაზღვრება ბრუნვის ფორმა ხომსკის გრამატიკაში? ხომსკის აზრით, ბრუნვების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს ბევრი ტრანსფორმაციული წესის განხორციელების შემდეგ, სახელის ბრუნვა განისაზღვრება მისი პოზიციით ზედაპირულ სტრუქტურაში და არა სიღრმულ სტრუქტურაში [133, გვ. 210].

შეიძლება დავასკვნათ, რომ ზედაპირული სტრუქტურის ბრუნვათა მრავალფეროვნებას (ზოგი ენისათვის მაინც) სიღრმულ სტრუქტურაში მხოლოდ სუბიექტისა და ობიექტის ფუნქცია შეესატყვისება. ასეთი დასკვნა, ბუნებრივია, ბევრ სირთულესა და ექვს წარმოშობს.

განიხილოთ, როგორია ფილმორის თვალსაზრისი ამ საკითხზე და როგორ დამოკიდებულებაშია ფილმორის გრამატიკა წარმომშობ გრამატიკასთან.

ნაშრომში „ბრუნვათა შესახებ“ ფილმორი აღნიშნავს, რომ არსებობს გრამატიკის ორი ტიპი: ერთ შემთხვევაში წამყვანია ენის მორფოლოგია. დიდი ყურადღება ექცევა სიტყვათა ფორმების, სხვადასხვა ფორმალური კლასების აღწერას; სინტაქსის ასეთ გრამატიკაში მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს. იგი განიხილავს მხოლოდ სიტყვათა ფორმალური დაკავშირების წესებს. მეორე ტიპის გრამატიკებში სინტაქსს უჭირავს ცენტრალური ადგილი და სიტყვა-ფორმები ხასიათდება მხოლოდ სინტაქსის მოთხოვნათა თვალსაზრისით [156, გვ. 9—10].

პირველ ტიპის გრამატიკებს განეკუთვნება ტრადიციული აღწერითი გრამატიკები, ხოლო მეორე ტიპის გრამატიკას წარმოადგენს ნ. ხომსკის წარმომშობი გრამატიკა. ფილმორის თეორია თავისი სტრუქტურით და ამოსავალი დებულებებით უფრო ახლოსაა გრამატიკის მეორე სახეობასთან, მაგრამ წარმოადგენს მის არსებით მოდიფიკაციას.

ფილმორის აზრით, ისეთი ცნება, როგორცაა „ბრუნვა“, უნდა შედიოდეს ყველა ენის ბაზისურ კომპონენტში მიუხედავად იმისა, თუ როგორი სტრუქტურისაა ეს ენა.

სიღრმულ სტრუქტურაში ფორმირდება წინადადება. იგი შედგება ზმნისა და ერთი ან რამდენიმე სახელისაგან. ეს სახელები მიემართება ზმნას რაღაც ბრუნვის სახით. ფილმორის აზრით, სუბიექტი, რომელიც სიღრმული სტრუქტურის აუცილებელი ფუნქციონალური კომ-

პონენტია, შეიძლება გამოხატავდეს რამდენიმე შინაარსს. მაგალითად: წინადადებაში „ჯონმა გატეხა ფანჯარა“ სუბიექტი აგენსია.

ჩაქუჩმა გატეხა ფანჯარა — სუბიექტი ინსტრუმენტია.

ჯონმა გატეხა ფანჯარა ჩაქუჩით — წინადადებაში წარმოდგენილია აგენსიცი და ინსტრუმენტის. სუბიექტის როლში გამოდის აგენსი.

ე. ი. სიღრმულ სტრუქტურაში სუბიექტის ცნებასა და მის შინაარსს შორის იდენტობა არა გვაქვს. სუბიექტი დაშლადი ერთეულია. სუბიექტისაგან განსხვავებით, ბრუნვები არიან სემანტიკურად ელემენტარული ერთეულები. მათი დაშლა ნაწილებად შეუძლებელია. ისინი გამოხატავენ მხოლოდ ერთ შინაარსს და მხოლოდ ერთხელ გვხვდებიან ამა თუ იმ ზმნის გარემოცვაში. ამგვარ ბრუნვებს ფილმორი „სიღრმულ ბრუნვებს“ უწოდებს და ზმნის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, თუ ბრუნვათა როგორ კომბინაციაში შეუძლია მას შესვლა. ამგვარად, ბრუნვები წარმოდგენენ არგუმენტებს, ზმნა მათი ფუნქციაა. ზმნური ბირთვი და მასთან დაკავშირებული სახელები ქმნიან სიღრმული წინადადების პროპოზიციულ ნაწილს. ფილმორის აზრით, სიღრმულ სტრუქტურაშივე უნდა იყოს გათვალისწინებული აგრეთვე მოდალობა, რომელიც მიემართება მთლიანად პროპოზიციას და არა მარტო ზმნას. სახელის ესა თუ ის ბრუნვითი ფორმა ხშირად დამოკიდებულია მოდალობაზე. მოდალობაში შედის უარყოფა, დრო, კილო და ასპექტი. ამგვარად, წინადადების წარმოქმნის პირველი საფეხური ფილმორთან ასე წარმოგვიდგება: $S \rightarrow M(\text{Modality}) + P(\text{Proposition})$, (შდრ. ზომსკის $S \rightarrow NP + VP$). ხოლო შემდეგ საფეხურებზე ხდება პროპოზიციის გაშლა. პროპოზიციის ზოგადი ფორმულა ასეთია: $P \rightarrow V + C_1 + \dots + C_n$, სადაც C არის სახელის გარკვეული ბრუნვა [156, გვ. 2]. n არ არის უსასრულო რიცხვი. მოცემულ ნაშრომში ფილმორი გამოყოფს 6 ბრუნვას ($n=6$). ესენია: აგენტივი (A) — მოქმედების აღმძვრელი სულიერი საგანი (პირი); ინსტრუმენტალისი (I) — უსულო ძალა ან საგანი, რომლის საშუალებითაც ხდება მოქმედება; დატივი (D) — პირი, რომელიც განიცდის მოქმედებას ან იმყოფება ამა თუ იმ მდგომარეობაში; ფაქტიტივი (F) საგანი ან არსება, წარმოქმნილი მოქმედების შედეგად; ლოკატივი (L) — მოქმედების ადგილი ან მისი სივრცული ორიენტაცია; ობიექტივი (O) — ბრუნვა, რომლის მოქმედება განპირობებულია ზმნის სემანტიკით; საგანი, რომელსაც ეხება მოქმედება [156, გვ. 24—25].

ბრუნვები წინადადებაში სხვადასხვა კომბინაციით წარმოგვიდგება. ამიტომ შეიძლება გვეჩვენოს P -ს რამდენიმე ფორმულა: $V+A$; $V+O+A$; $V+D$; $V+O+I+A$ და ა. შ. ყოველ ზმნას აქვს თავისი

ჩარჩო, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ სემანტიკურ კლასს განეკუთვნება სახელი, მაგალითად:

კარი იღება [— O]

ჯონი აღებს კარს [— O, A]

ქარი აღებს კარს [— O, I]

ჯონი აღებს კარს სატეხით [— O, I, A] [156, გვ. 27].

საინტერესოა, რომ სიღრმულ ბრუნვათა რაოდენობა ფილმორის სხვადასხვა პერიოდის შრომებში სხვადასხვაა. მაგ.: 1966 წელს შრომაში „ბრუნვათა ახალი თეორიის შესახებ“ ფილმორი გამოყოფდა 4 ბრუნვას: ერგატივს, დატივს, კომიტატივს და ინსტრუმენტალისს. 1969 წელს აგენტივი შეიცვალა კონტრაგენტივით, ფაქტიტივი — რეზულტატივით, დატივი — აღქმის სუბიექტით, ხოლო 1971 წელს გამოქვეყნებულ შრომაში შემდეგი ბრუნვებია წარმოდგენილი: აგენტი, აღქმის სუბიექტი, ინსტრუმენტი, ობიექტი, წყარო, მიზანი, ადგილი და დრო. ბრუნვებად ივარაუდება აგრეთვე ბენეფაქტივი (პირი, რომლისთვისაც განკუთვნილია მოქმედება), უსულო ძალა და გზა [56, გვ. 119].

სიღრმულ ბრუნვათა რაოდენობისა და მათ დეფინიციათა ამგვარი ცვლა, ცხადია, ეპქვის ქვეშ აყენებს მათი უნივერსალურობის საკითხს.

ზედაპირულ სტრუქტურაში სიღრმული ბრუნვები სხვადასხვაგვარად ფორმდებიან. შესაძლებელია ყველა ბრუნვას ზედაპირულ სტრუქტურაში თავისი ფორმალური, მორფოლოგიური გამოხატულება ჰქონდეს. შეიძლება ამა თუ იმ სიღრმულმა ბრუნვამ ზედაპირულ სტრუქტურაში, წინადადების ხაზოვან სტრუქტურაში ფიქსირებული ადგილი დაიკიროს ან ზმნაში იქნეს წარმოდგენილი გარკვეული მორფემის სახით. შესაძლებლობები მრავალგვარია. იგი კარგ მასალას იძლევა ენათა ტიპოლოგიისათვის (მაგალითად, ქართულში ინსტრუმენტალისი და აგენსი შეიძლება მოთხრობითი ბრუნვის ფორმით გამოიხატოს; ასევე აგენსი ხან სახელობითითაა წარმოდგენილი, ხან მოთხრობითით იმისდა მიხედვით, თუ რომელ სერიაშია ზმნა და როგორია გარდამავლობა). ფილმორი ამ საკითხებს თავის ნაშრომში დიდ ყურადღებას უთმობს, მაგრამ ჩვენი მიზანი ამჟამად არ არის სიღრმული ბრუნვების ზედაპირულ ბრუნვებში ასახვის საკითხი. ჩვენთვის საინტერესოა ის დასკვნები, რაც უკვე განხილული მასალიდან გამომდინარეობს: 1. სიღრმულ სტრუქტურაში, ფილმორის აზრით, სახელთა ფუნქციების დახასიათებისას საკმარისი არ არის მარტო სუბიექტისა და ობიექტის ცნებები. თუ სიღრმული სტრუქტურის ცნებას შევინარჩუნებთ, საჭირო გახდება მის გვერდით „ულრმესი სტრუქტურის“ დონის გა-

მოყოფა (the „deepest“ level of the „deep structure“) [156, გვ. 88]. 2. პროპოზიციის მიხედვით. ბრუნვათა დეფინიცია სემანტიკას ემყარება. გრამატიკულ კატეგორიათა (ბრუნვათა) სემანტიკა განისაზღვრება ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკით. მაგალითად, თუ სახელი სულიერია, მას შეესატყვისება ბრუნვა „აგენსი“, თუ უსულოა — „ინსტრუმენტალისი“ და სხვ.

მეორე პუნქტი ჩ. ფილმორის თეორიას „წარმომშობი სემანტიკის“ თვალსაზრისთან აახლოებს. ამიტომ ხშირად ფილმორს ლაკოვთან, მაკ-კოლისთან და სხვა ავტორებთან ერთად „წარმომშობი სემანტიკის“ წარმომადგენლად მიიჩნევენ [12], მაგრამ ამ მიმდინარეობისაგან ფილმორს არსებითად განასხვავებს პირველი პუნქტი. მაშინ, როდესაც „წარმომშობი სემანტიკის“ წარმომადგენლები უარყოფენ სიღრმულ სტრუქტურას, ფილმორი სიღრმულ სტრუქტურაში „ულრმეს დონეს“ გამოყოფს და შესაძლებლად თვლის სიღრმული სტრუქტურის სუბიექტისა და ობიექტის ცნებათა შენარჩუნებას. ოღონდ მათ უფრო მაღალი დონის ერთეულებად მიიჩნევს.

საჭიროა დაეუბრუნდეთ საკითხს, გვაძლევს თუ არა ხომსკის ტრანსფორმაციული გრამატიკა „არაპირდაპირი გზით“ იმ ინფორმაციას, რასაც „ბრუნვათა გრამატიკა“ „პირდაპირი გზით“ იძლევა? აქვს თუ არა „სტანდარტულ თეორიას“ საშუალება რომელსაღმე დონეზე გამოხატოს, გამოავლინოს ზედპირულ ბრუნვათა სემანტიკა?

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ ხომსკის თეორიის განვითარების პირველი ეტაპები. როგორც ცნობილია, ნ. ხომსკი თავისი თეორიის განვითარების პირველ პერიოდში გამორიცხავდა გრამატიკული აღწერისათვის სემანტიკის გამოყენების აუცილებლობას. იგი მკაცრი ფორმალისტიკის პრინციპს იცავდა, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ფორმალურ აღწერას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია სემანტიკური მხარის შესწავლაში. კერძოდ, ტრანსფორმაციის ოპერაციების საშუალებით შეიძლება გამოვავლინოთ და ავხსნათ პოლისემიის მოვლენები. ის გარემოება, რომ ერთ ბრუნვას შეიძლებოდა რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონოდა, ცნობილი იყო, მაგრამ ამ მნიშვნელობათა დადგენის ფორმალური (და ამდენად ზუსტი) გზა არ არსებობდა. ტრანსფორმაციის ოპერაციების გამოყენებით მართლაც გახდა შესაძლებელი დადგენილიყო ერთი ბრუნვის რამდენიმე ფუნქცია. ასეთ ცდათა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, უორსის ნაშრომი „რუსული ენის მოქმედებითი ბრუნვის შემცველი კონსტრუქციის ტრანსფორმაციული ანალიზი“ [121, გვ. 637—682]. ასეთი

ანალიზი ჩატარებული იქნა ქართული ენის ბრუნვათა მიმართაც [92. 138]. ამგვარად, ტრანსფორმაციული გრამატიკა ბრუნვათა სემანტიკის (იმ სემანტიკის, რომელიც ფილმორის სიღრმული ბრუნვების სახითაა წარმოდგენილი) დადგენის საშუალებას კი იძლევა, მაგრამ ექსპლიციტური სახით ეს სემანტიკა გრამატიკის სტრუქტურაში არ არის წარმოდგენილი. იგი რიგ შემთხვევაში, მართლაც, „არაპირდაპირი“ გზითაა მოცემული გრამატიკაში და წარმოდგენს ე. წ. „დაფარულ კატეგორიებს“.

ჩვენი აზრით, ფილმორის დამსახურებად და არსებით განსხვავებად ხომსკის თეორიასთან შეადრებით სწორედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დაფარული კატეგორიების გამოვლენის საკითხს ენაში და რიგ შემთხვევაში სწორედ ასეთი კატეგორიები აქცია გრამატიკის ზედაპირული სტრუქტურის საყრდენად, საფუძვლად.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ სიღრმულ ბრუნვებს კონკრეტულ ენათა ზედაპირულ სტრუქტურაში შეიძლება მორფოლოგიური გამოხატულება არ ჰქონდეს, ფილმორის აზრით, ბრუნვითი ცნებები მოიცავენ უნივერსალურ კონცეფტებს, რომელიც შეიძლება თანდაყოლილიც კი იყოს. ამ ცნებათა საშუალებით ადამიანი მსჯელობს მის ირგვლივ მყოფ საგნებზე და მომხდარ მოვლენებზე; იმაზე, თუ ვინ ჩაიდინა მოქმედება, ვის შეეხო ეს მოქმედება, რა შეიცვალა მოქმედების შედეგად და ა. შ.

მაგრამ როგორ უნდა გამოვავლინოთ ეს უნივერსალური კონცეფტები? ფილმორის შრომებში რაიმე ობიექტური კრიტერიუმი მათ დასადგენად არა გვაქვს. ამის ნათელი დადასტურებაა ის ცვლილება, რომელსაც განიცდის ბრუნვათა რაოდენობა და დეფინიციები ფილმორის შრომებში.

სიღრმული ბრუნვების ყოველი ახლებური ინტერპრეტაცია იწვევს ზედაპირულ სტრუქტურასთან მათი მიმართების ცვლასაც, რაც მთელი გრამატიკის სტრუქტურაზე აისახება. სამართლიანად შენიშნავს ნ. არუთინოვა, რომ ფილმორი აგებს გრამატიკის შენობას ისე, რომ არ ამაგრებს მის საძირკველსო [56, გვ. 119].

გარკვეულ სიმწვლეებთან არის დაკავშირებული არა მარტო სიღრმული სტრუქტურის ბრუნვათა ინვენტარის დადგენის საკითხი, არამედ პროპოზიციის ფორმულების დადგენაც. როგორც ფილმორი აღნიშნავს, ბრუნვათა გარკვეული კომბინაცია განსაზღვრავს ზმნის არჩევანს პროპოზიციაში. ბრუნვები არგუმენტებია, შესაბამისად ზმნა

მათი ფუნქციას⁶. წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიზანს არ შეადგენს ფილმორის მთელი თეორიის ანალიზი. ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ გვეჩვენებინა, რომ ხომსკის გრამატიკის „სიღრმული სტრუქტურის“ მოდიფიკაცია „სიღრმული ბრუნვების“ შემოტანით არ გვაძლევს გრამატიკული აღწერისათვის მკაცრ, ფორმალურ კრიტერიუმებს.

თუ შევჯამებთ ზემოთ თქმულს, შეიძლება დავასკნათ: 1. ხომსკის თეორიაში ბრუნვა განისაზღვრება მხოლოდ ზედაპირულ სტრუქტურაში. სიღრმულ სტრუქტურაში ფუნქციონალურ ცნებებს წარმოადგენს მხოლოდ სუბიექტისა და ობიექტის ცნება. ფილმორი ბრუნვებს გამოყოფს როგორც სიღრმულ ისე ზედაპირულ სტრუქტურაში. მათ შორის ურთიერთკალსახა მიმართება არ არის. სიღრმული სტრუქტურის ბრუნვები ხასიათდება მათი ფუნქციის მიხედვით, სემანტიკაზე დამყარებით. ზედაპირულ სტრუქტურაში არსებითია მათი მორფოლოგიური გამოხატულება. ბევრი სიღრმული ბრუნვა კონკრეტულ ენაში „დაფარული კატეგორიების“ სახით არის წარმოდგენილი. სუბიექტისა და ობიექტის ცნება დამლადაია. უმარტივეს ფუნქციონალურ ცნებებს ბრუნვები წარმოადგენენ. თუ შევინარჩუნებთ სუბიექტისა და ობიექტის, როგორც აბსტრაქციის უფრო მაღალი დონის ცნებებს, სიღრმულ სტრუქტურაში საჭირო გახდება „უღრმესი დონის“ გამოყოფა, სადაც სიღრმული ბრუნვები განლაგდებიან.

2. ფილმორის თეორია სიღრმული სტრუქტურის სემანტიკურობის თვალსაზრისს უჭერს მხარს. „ბრუნვათა გრამატიკის“ ანალიზისას ხშირად მიუთითებენ, რომ იგი სემანტიკურად არის მოტივირებული [156, გვ. 88], ამიტომ მის ავტორს „წარმომშობი სემანტიკის“ მიმდინარეობის წარმომადგენლად მიიჩნევენ ზოგი მკვლევარი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ფილმორს ამ მიმდინარეობისაგან განასხვავებს ის, რომ იგი კატეგორიულად არ უარყოფს სიღრმული სტრუქტურის გამოყოფის შესაძლებლობას.

3. ფილმორის „ბრუნვათა გრამატიკა“ წარმოადგენს ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის — „სტანდარტული თეორიის“ — არსებით მოდიფიკაციას, ამ ორ თეორიას შორის ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ, როგორც ამას ხომსკი ვარაუდობს. მაგრამ „ბრუნვათა გრამატიკა“ რჩება წარმომშობი გრამატიკის“ თეორიულ ჩარჩოებში. იგი აღიარებს სინტაქსის ცენტრალურობის პრინციპს, წინადადების

⁶ ის გარემოება, რომ გარემოცვა განაპირობებს ზმნის შინაარსს, საშუალებას იძლევა მოვანდინოთ ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაცია მათი გარემოცვის მიხედვით. ამგვარი ცდები ენათმეცნიერებაში ცნობილია, მხოლოდ ამ შემთხვევაში ზედაპირულ სტრუქტურის ბრუნვებია მხედველობაში მიღებული [52, 53].

აღწერისას იყენებს იმავე პროცედურებს, რასაც წარმომშობი გრამატიკა, ამასთან, ავითარებს მის მხოლოდ ერთს, სახელის ბრუნვასთან დაკავშირებული მონაკვეთს, ამიტომ, ჩვენი აზრით, დასაბუთებული არა ჩანს მისი (ისევე როგორც „წარმომშობი სემანტიკის“) დაპირისპირება ხომსკის გრამატიკისადმი და „სტანდარტულ თეორიასთან“ პრინციპულად დაპირისპირებულ ახალ მიმდინარეობად ჩათვლა [13].

არსებითი კი ერთია, „სიღრმული სტრუქტურა“ როგორც სინტაქსის საფუძველი, როგორც მკაცრად ფორმალური სტრუქტურა კარგავს ძალას. საერთოდ, სინტაქსი, მიუხედავად მისი ცენტრალურობის აღიარებისა, კარგავს იმ ადგილსა და როლს, რაც მას ხომსკის „სინტაქსურ სტრუქტურებში“ ჰქონდა. ფორმალური სინტაქსი ადგილს უთმობს სემანტიკური ინფორმაციით დატვირთულ აღწერას. შეიმჩნევა ერთგვარი შემობრუნება ტრადიციული სინტაქსისაკენ. დიდი ადგილი ეთმობა არა მარტო ცალკეულ წინადადებათა ფორმალურ ანალიზს, არამედ ანგარიში ეწევა წინადადებათა ინტერპრეტაციას. წინადადების მიმართებას მთელ ტექსტთან, წინადადებისა და ტექსტის ურთიერთობას, რაც თავის მხრივ წარმოქმნის ახალ მიმდინარეობას — ტექსტის ლინგვისტიკას.

სინტაქსი და ტექსტის ლინგვისტიკა

თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი ახალი დარგის — ტექსტის ლინგვისტიკის ინტენსიური განვითარება იწყება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე დაგროვდა დიდძალი ლიტერატურა ამ პრობლემის ირგვლივ. დაწერილია მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, გამოდის კრებულები, ეწყობა კონფერენციები, შემუშავებულია პროგრამა-პროექტი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული შეიმჩნევა ერთგვარი „ბუმი“ ამ სფეროს ირგვლივ [102].

როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა ტექსტის ლინგვისტიკის რაობისა და საგნის შესახებ. არსებობს ტექსტისა და ტექსტის ლინგვისტიკის რამდენიმე გაგება, შესაბამისად — რამდენიმე მიმდინარეობა⁷.

ტექსტის ლინგვისტიკის სტატუსის გარკვევისას ბუნებრივია დაისვას საკითხი: 1. როგორ მიემართება იგი ტრადიციული ენათმეცნიერების დარგებს, სახელდობრ — სინტაქსს და გრამატიკას მთლიანად

⁷ ჩვენ განვიხილავთ ძირითადად იმ ნაშრომებს, რომელიც ტექსტისა და სინტაქსის ურთიერთობას ეხება. სხვა ნაშრომთა შესახებ ინფორმაცია იხ. [102].

(იგულისხმება როგორც წარმომშობი გრამატიკა, ისე გრამატიკა ტრადიციული გაგებით). 2. რა მიმართებაშია იგი სხვა მომიჯნავე მეცნიერებებთან. 3. მასში პრინციპულად ახალი პრობლემატიკა არის დასმული, თუ უკვე არსებულის მოდიფიკაცია წარმოებს.

ამ საკითხთაგან ჩვენთვის არსებითია პირველი.

ტექსტისა და ტექსტის ლინგვისტიკის მრავალრიცხოვან გაგებათა შორის არსებითად გვეჩვენება ორი მიმდინარეობა.

II. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, უფრო ვიწრო და ჩვეულებრივი გაგებით, ტექსტი არის წინადადებათა მოწესრიგებული სიმრავლე ან: გაბმული ტექსტი არის შინაარსით დაკავშირებულ წინადადებათა გარკვეული (დასრულებული) თანამიმდევრობა, რომელიც ავტორის მიზანდასახულებას გადმოსცემს [170].

შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკის ამოცანაა: აღწეროს წინადადებათა (გამონათქვამთა) თანამიმდევრობის სემანტიკური და ფორმალური ურთიერთკავშირი ან: დაადგინოს წინადადებათა დაკავშირების სახეები, მათი გადმოცემის წესები, რათა წინადადებანი (ტექსტი) სწორად იქნეს ინტერპრეტირებული.

მეორე მიმდინარეობის მიხედვით, რომელიც არსებითად განსხვავდება პირველისაგან: ტექსტი არ არის წინადადებათა თანამიმდევრობა. ტექსტი არის წინადადებათა გამოყენების თანამიმდევრობა. ტექსტი არის მეტყველების წერილობითი ასახვა [112]. შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკის ამოცანაა დაადგინოს კომუნიკაციის სწორად, მოხერხებულად განხორციელების პირობა, რომელიც ტექსტის ცალსახა სწორ გაგებას განაპირობებს. არსებითი მნიშვნელობა აქვს ტექსტის ზეპირ ფორმას [180]. ან: ტექსტის ლინგვისტიკა არის მეცნიერული დისციპლინა, რომლის მიზანია აღწეროს ადამიანთა კომუნიკაციის წანამძღვრებისა და პირობების არსი და ორგანიზაცია [66]. ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის ენას მოქმედებაში ანუ ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის მეტყველებას და არა ენას.

პირველი მიმდინარეობა ენის შესწავლის ტრადიციულობას ავითარებს. მისი მიზანია მონახოს წინადადებაზე უფრო დიდი ენობრივი ერთეული; ეს იქნება რთული სინტაქსური ერთიანობა (ზოგჯერ ტრადიციული რთული წინადადება), აბზაცი, პარაგრაფი, თავი და მსგ. იგი ეძიებს ზეფრაზობრივ ერთიანობას. აგრძელებს რა სინტაქსის ტრადიციებს, ტექსტის ლინგვისტიკა ტექსტის აღსაწერად იყენებს იმავე საშუალებებს, რაც წინადადების აღწერისთვისაა დამახასიათებელი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წინადადებათა სემანტიკას, დამხმარე სიტყვებს, ნაწილაკებს და ტექსტის დაკავშირების სხვა საშუალებებს. მაგ.: ა) ერთი და იმავე სემანტიკური ელემენტის, გან-

საკუთრებით სახელების გამეორებას მოდიფიკაციის გარეშე. ბ) ერთი და იმავე აღსანიშნის შენაცვლებას სინონიმებით, გ) სახელთა შენაცვლებას ნაცვალსახელებით, დ) სახელთა პერიფრაზს, ე) კორეფერენციას, ვ) დამოკიდებულ წინადადებასთან შეხამებას და ა. შ. სპეციალურად განიხილება ანაფორული (მიმართვა უკვე წარმოთქმულისადმი, მაგ.: „როგორც უკვე ითქვა“ ან „როგორც ზემოთ აღვნიშნეთ“) და კატაფორული (მიმართება მომავალში სათქმელისადმი) გამოთქმები. შეისწავლება აბზაცის, მთელი ტექსტის საწყისი და დამამთავრებელი ფრაზების სტრუქტურა (განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ზღაპრის კომპოზიცია). ტექსტის ანალიზისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების ხმარებას. საგნის ან მოვლენის პირველად ხსენების ფორმას. ვრცლად განიხილება წინადადების აქტუალური დანაწევრების პრობლემა და სხვა [იხ. 66, 67, 73, 84, 106, 109, 124].

ადვილი შესამჩნევია, რომ აქ ჩამოთვლილი საკითხები არ არის ახალი. ისინი მეტ-ნაკლებად განიხილებოდნენ სტილისტიკაში [69]. პოეტიკაში [73, 94, 120], ანტიკურ რიტორიკაში, სემანტიკაში და, რაც მთავარია, სინტაქსში.

ტრადიციას არსებითად უპირისპირდება ტექსტის ლინგვისტიკის მეორეგვარი გაგება. ამ მიმდინარეობის მიხედვით ტექსტი არ არის უბრალოდ უფრო დიდი ერთეული, ვიდრე წინადადება. ერთი წინადადების ფარგლებშიც შეიძლება გამოიყოს უცვლელი ფორმალური ოდენობა და ტექსტუალური კატეგორიები. ტექსტი სხვა სისტემის ოდენობაა, ტექსტი მეტყველებაა. ტექსტის ლინგვისტიკა მეტყველებას შეისწავლის და თავისი კატეგორიები უნდა ჰქონდეს. იგი განსხვავდება ტექსტის სტრუქტურული (ფორმალური) ანალიზისაგან (ტექსტის, როგორც წინადადებათა სიმრავლის ანალიზისაგან). ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის ტექსტის შექმნის ზოგად კანონებს და არა მეტყველების კონკრეტულ გამოვლენას (აქედან, ტექსტი არ არის სოსიურისეული parole). მიუხედავად ამ დეკლარაციული განცხადებისა, ამ მიმდინარეობამაც ბევრი რამ აიღო უკანასკნელი წლების ლინგვისტიკისაგან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მიმდინარეობაში ძველი და ახალი ინფორმაციის გადმოცემას და მის მიმართებას თემარემასთან [88]. თემები კრავენ ტექსტს, ძველ ინფორმაციას ინახავენ, რემებს ახალი ინფორმაცია შემოაქვთ. გამოიყოფა ინფორმაციული ცენტრები, აქტუალიზატორები, შეისწავლება ჟრაზის პროსოდიკ. დამხმარე სიტყვები, მცირე სიტყვები აქაც არსებით როლს თამაშობენ ტექსტის ორგანიზაციაში. იქმნება ახალი ტერმინები დაკავშირებული

ტექსტების დასახასიათებლად (მაგ.: დისკურსი არის გამონათქვამთა ისეთი თანმიმდევრობა s_1, \dots, s_n , რომელშიც ყოველი გამონათქვამის სემანტიკური ინტერპრეტაცია s_i (როცა $2 \leq i \leq n$) დამოკიდებულია გა⁰ მონათქვამის ინტერპრეტაციაზე თანმიმდევრობაში s_1, \dots, s_{i-1} , სხვა სიტყვებით, დისკურსში "შემაჯალი გამონათქვამის ადექვატური ინტერპრეტაცია მოითხოვს წინამაჯალი კონტექსტის ცოდნას [61].

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეორე მიმდინარეობის განვითარებას ბიძგი მისცა ბენვენისტის მოხსენებამ „ლინგვისტური დონეების შესახებ“ ლინგვისტთა IX საერთაშორისო კონგრესზე [102]. ამ მოხსენებაში გამოთქმულია საინტერესო თვალსაზრისი წინადადების, როგორც ლინგვისტური ანალიზის განსაკუთრებული დონის ერთეულის შესახებ. წინადადებას სხვა დონის ერთეულთან შედარებით რიგი თავისებურება ახასიათებს. წინადადების სეგმენტაცია შეიძლება, მაგრამ იგი არ წარმოადგენს უფრო მაღალი დონის ერთეულის ინტეგრატს. მხოლოდ წინადადებისთვისაა დამახასიათებელი არსებითი თვისება — პრედიკატულობა. წინადადების წევრთა (ნიშანთა) რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, მხოლოდ ერთი ნიშნითაც შეიძლება გამოიხატოს პრედიკატულობა, სუბიექტი (ქვემდებარე) პრედიკატთან აუცილებელი არ არის. პრედიკატული წევრი საკმარისია სუბიექტის განსაზღვრისათვის. წინადადების „სინტაქსი“ არის მხოლოდ გრამატიკული კოდი, რომელიც უზრუნველყოფს მისი წევრების სწორ განლაგებას. წინადადება განეკუთვნება კატეგორემატულ¹ დონეს (ბერძნ. *katagorema*, ლათ. *predicatum*). პრედიკატულობა წინადადების ძირითადი ნიშანია, მაგრამ იგი არ არის ერთეული. არ არსებობს პრედიკაციის სხვადასხვა სახეები. კატეგორემატული დონე მოიცავს ენობრივი გამონათქვამის მხოლოდ ერთ სპეციფიკურ ფორმას — წინადადებას. არ არსებობს სხვადასხვაგვარი წინადადებები, რომელთა თანმიმდევრობა შექმნიდა უფრო მაღალი დონის ერთეულს. კატეგორემატულ დონეზე მაღლა მდგომი ენობრივი დონე არ არსებობს. წინადადებაში შედის ენობრივი ნიშნები, მაგრამ თვით არ წარმოადგენს ენობრივ ნიშანს. სხვა დონის ენობრივ ნიშანთა (ფონემათა, მორფემათა, სიტყვათა (ლექსემათა)) სიმრავლე თვლადია, სასრულია, წინადადებათა რიცხვი უსასრულოა. წინადადება განუსაზღვრელი წარმონაქმნია, რომელიც შეუზღუდავ ვარიაციებს ქმნის. წინადადებით ჩვენ ვტოვებთ ენის, როგორც ნიშანთა სისტემის სფეროს და გადავდივართ სხვა სამყაროში, ენის როგორც ურთიერთობის საშუალების სამყაროში, რომლის გამოხატულებაც არის თვით მეტყველება. წინადადება არის მეტყველების ერთეული. ამის დამადასტურებელია ის,

რომ მას ახასიათებს გარკვეული მოდალობები. ცნობილია, რომ არსებობს მტკიცებითი, კითხვითი, თხრობითი წინადადება, რომელთაც აქვთ სინტაქსის და გრამატიკის სპეციფიკური ნიშნები, მაგრამ სპივე ერთად ემყარება პრედიკაციას. ეს სამი მოდალობა ასახავს სამ ძირითად პოზიციას მეტყველისას, რომელიც მოსაუბრეზე ახდენს გავლენას თავისი მეტყველებით.

წინადადება ერთეულია იმიტომ, რომ იგი მეტყველების სეგმენტია და არა იმიტომ, რომ იგი იმავე დონის სხვა ერთეულებს განასხვავებს. მაგრამ წინადადება არის ერთეული, რომელსაც ერთდროულად აქვს აზრი და რეფერენტი. აზრი იმიტომ, რომ იგი ატარებს აზრობრივ ინფორმაციას, რეფერენტი იმიტომ, რომ იგი გარკვეულ სიტუაციას მიემართება. ურთიერთში მოლაპარაკე ადამიანებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული საერთო რეფერენტი (ან გარკვეული სიტუაცია რეფერენტის სახით), უამისოდ კომუნიკაცია არ შედგება [62, გვ. 445—448]. ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ბენვენისტის შემდგომი მსჯელობის გადმოცემას. გავიმეორებთ ძირითად დებულებას: წინადადება თვისობრივად განსხვავდება სხვა ლინგვისტური დონის ერთეულებისაგან. იგი ქვემოდან შემოსაზღვრავს ტექსტს. ამაზე ტექსტის ლინგვისტიკის მეორე მიმდინარეობა ამყარებს მნიშვნელოვან დებულებას, ტექსტი კი არ აგრძელებს ენობრივ დონეებს, არამედ საფუძვლად ედება მას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბევრი საკითხი, რომელიც ამჟამად ტექსტის ლინგვისტიკაში, განსაკუთრებით პირველ მიმდინარეობაში განიხილება, ადრე სინტაქსის ობიექტს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პრადის ლინგვისტური წრის ფუნქციონალური სინტაქსის დებულებანი, როგორც არაერთგზის არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში [75, 135]. ფრაზის ინტონაცია, პროსოდია, აბზაცის სტრუქტურა, რთული კონსტრუქციების განხილვა ზოგჯერ სინტაქსის გარკვეული გაფართოების საჭიროებას ბადებდა, ამიტომ გაჩნდა მაკროსინტაქსის, სუპრასინტაქსის [106], ფუნქციონალური სინტაქსის, სინტაქსური სემანტიკის, წარმომშობი სინტაქსის, სტილისტიკის და სხვა ცნებები. ამის გამო ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში ზემოთ აღნიშნული პრობლემატიკის საჭიროება სინტაქსშივე შემზადდა და გარკვეული თვალსაზრისით გამართლებულიც ჩანს. მაგრამ საკამათოდ კვლავ რჩება, სად დაიდოს ზღვარი სინტაქსსა და ტექსტის ლინგვისტიკას შორის? ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ზოგჯერ ისმის არა ტექსტის ლინგვისტიკის, არამედ ტექსტის სინტაქსის საკითხი [75]. მაგ., რადგან ტექსტისა და გამონათქვამთა ზეფრაზობრივი აგებულება შეიძლება შესწავლილ იქნას როგორც სემანტიკური ისე სინტაქსური თვალსაზრისით, დრესლერი ტერმინს „სუპრასინტაქსურს“ არ უჭერს მხარს და ვაინრიხის მსგავ-

სად ლაპარაკობს ტექსტის სინტაქსზე და ტექსტის სემანტიკაზე, ხოლო უფრო მაღალი დონის ცნებად მიიჩნევის ტექსტის ლინგვისტიკას [75, გვ. 114].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტექსტის ლინგვისტიკა დაკავშირებულია ფუნქციონალურ ანალიზთან. დღეს ლაპარაკობენ ფუნქციონალიზმის ორ შტოზე. პირველი აგრძელებს პრალის ლინგვისტური სკოლის ტრადიციებს, მეორე ემყარება უკანასკნელი წლების სინტაქსურ-სემანტიკურ გამოკვლევებს სხვა ქვეყნებში [102, გვ. 24—27].

თანამედროვე ენათმეცნიერებაში აქტუალური დანაწევრების გვერდით გვხვდება სხვა ტერმინები, ზოგ შემთხვევაში სინონიმური, ზოგჯერ რაღაც ახალი ნიუანსის შემცველი. ასეთებია: კომუნიკაციური დანაწევრება, კონტექსტური დაყოფა, დაყოფა თემად და რემად, წინადადების კომუნიკაციური პერსპექტივა, წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივა, ხაზოვან-დინამიკური სტრუქტურა და სხვა [50].

აქტუალური დანაწევრების შედეგად მიღებული წინადადების ნაწილების აღსანიშნავად იხმარება: ფუძე და ბირთვი, ან ამოსავალი პუნქტი და ბირთვი, ფსიქოლოგიური სუბიექტი და ფსიქოლოგიური პრედიკატი, აზრობრივი სუბიექტი და აზრობრივი პრედიკატი, ლოგიკური სუბიექტი და ლოგიკური პრედიკატი [99], თემა და რემა [149], მოცემული და პრედიცირებული წევრები [145], ბინარული სინტაგმა [101], მოცემული და ახალი [90], დიქტუმი და მოდუსი; ძველი და ახალი [139, 140, 184], მსჯელობის საგანი და განმარტება (Topic and comment).

ცნობილისა და ახლის შესახებ არსებობს ბევრი შენიშვნა. ჩვენ შევჩერდებით უ. ჩეიფის ერთ ნაშრომზე, სადაც იგი ამ ცნებებს განიხილავს ერგატიული კონსტრუქციის ენების თვალსაზრისითაც.

ჩეიფის მსჯელობა ასეთია: ენა არის ინფორმაციის გადაცემის საშუალება. ბუნებრივია, მეტყველების პროცესში ინფორმაციის რაღაც ნაწილი არ არის ცნობილი, ცნობილი ინფორმაცია არის ამოსავალი პუნქტი, მას უნდა დაუკავშირდეს ახალი, ცნობილი ინფორმაცია შეიძლება უკვე წარმოთქმული წინადადებებიდან გამომდინარეობდეს. შეიძლება ვთქვათ, რომ იგი უზრუნველყოფილია ლინგვისტური გზით. განსხვავება ძველსა (ცნობილსა) და ახალ ინფორმაციას შორის საფუძვლად ედება დაპირისპირებას „თემა — რემა“ „topic — comment“ და ზოგ სხვას.

ჩვეულებრივ, ახალი ინფორმაციის გამოსაყოფად გამოყენებულია ინტონაცია. მაგრამ რიგ ენაში არის სხვა ფორმალური მაჩვენებელიც, რომელიც მიუთითებს, რომ წინადადების წევრი შეიძლება ან არ შეიძლება იყოს ახალი ინფორმაციის მატარებელი (მაგ., განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლები ინგლისურში).

ახალი ინფორმაციის მატარებელი წევრის განსაზღვრისათვის სიღრმულ სტრუქტურაში ჩეიფი აყენებს ამგვარ ჰიპოთეზას: თუ არსებითი სახელი განსაზღვრულია და თუ წინადადებაში ერთადერთი არსებითი სახელი გვაქვს, მაშინ ზმნა იქნება ახალი ინფორმაციის მატარებელი, სახელი — ძველისა⁸. არსებითი სახელის ძირი გამოხატავს ახალს თუ მასთან ერთად წინადადებაში არის არსებითი სახელი — ბენეფიციანტი ან არსებითი სახელი — აგენტი. თუ წინადადებაში ბენეფიციანტიც გვაქვს და აგენტიც, მაშინ ბენეფიციანტი გადმოსცემს ახალ ინფორმაციას, აგენტი — ძველს; ადგილმდებარეობის გამომხატველი სახელი ყოველთვის შედის წყვილში არსებით სახელ-პაციენტთან, ამიტომ იგი ყოველთვის ახალ ინფორმაციას გამოხატავს.

ჩეიფის აზრით, ერგატიული კონსტრუქციის ენებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ზედაპირულ სტრუქტურაში გარდამავალი ზმნის სუბიექტი გამოხატულია სხვაგვარად (მაგ., ერგატიული ბრუნვით), მაშინ როდესაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის ობიექტი ერთგვარად ფორმდება. ინგლისური ენის მატარებელი, ბუნებრივია, დასვაძს კითხვას: რატომ ყველა სუბიექტი ერთგვარად არ ფორმდება? რა აქვს საერთო გარდამავალი ზმნის ობიექტსა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტს?

უდავოა, რომ არსებითი სახელი, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში წარმოდგენილია ერგატივით, არის აგენტი, ხოლო არსებითი სახელი, რომელიც არაერგატივითაა წარმოდგენილი — პაციენტი, თუმცა არსებობს გამონაკლისი ამ წესიდან. მეორე მხრივ, სუბიექტი და ობიექტი ინგლისურში ასახავს განსხვავებას ძველსა და ახალ ინფორმაციას შორის. სუბიექტი ძველს, ხოლო ობიექტი ახალ ინფორმაციას გადმოსცემს, თუ რაიმე მარკირებული შემთხვევა არა გვაქვს. იმის თქმა, რომ ერგატიული არსებითი სახელი გადმოსცემს გარდამავალი ზმნის სუბიექტს, ხოლო არაერგატიული — გარდაუვალის სუბიექტსა და გარდამავალის ობიექტს, ნიშნავს ორი სხვადასხვა სემანტიკური პარამეტრის აღრევას: აგენტსა და პაციენტს შორის, ერთი მხრივ, და ძველ და ახალ ინფორმაციას შორის, მეორე მხრივ. აღრევა გამოწვეულია იმითაც, რომ ზოგიერთი ენის აღწერისას სუბიექტური ბრუნვა გათანაბრებულია ერგატივთან, ხოლო ობიექტური —

⁸ ჩეიფი ენის ანალიზისას გამოყოფს სიღრმულ და ზედაპირულ სტრუქტურებს. სიღრმული სტრუქტურა მთლიანად სემანტიკურია. ზმნასთან დაკავშირებული სახელები სიღრმულ სტრუქტურაში ფუნქციონალურად ხასიათდება. ესენია: აგენტი, პაციენტი, ბენეფიციანტი, ექსპერიენცერი და სხვ. სულ გამოყოფილია 9 სახელი. ზედაპირულ სტრუქტურაში ისინი სხვადასხვაგვარად აისახებიან; ზედაპირული სტრუქტურის ცნებებია: სუბიექტი, ობიექტი, ერგატივი, ნომინატივი და სხვ.

არაერგატივთან. როგორ წარმოიშვა ეს აღრევა? არის თუ არა რაიმე საერთო აგენტ-პაციენტისა და ახალ და ძველ ინფორმაციას შორის? როგორც აღნიშნული იყო, ასეთი კავშირი არის. პაციენტი არის, ჩვეულებრივ, ასალი ინფორმაციის მატარებელი, თუ ის აგენტთან ერთად და წარმოდგენილი, ხოლო იგი გადმოგვცემს ძველ ინფორმაციას წინადადებაში, სადაც იგი ერთადერთი სახელია ან სადაც მეორე სახელი ადგილმდებარეობას გამოხატავს. ასეთი წინადადებები „გარდაუვალია“. რადგანაც ასეთი არსებითი სახელი — პაციენტი ძველი ინფორმაციის მატარებელია, იგი ინგლისური ენის ზედაპირულ სტრუქტურაში წარმოდგენილია როგორც სუბიექტი. ამგვარად, გამოდის, რომ როდესაც არსებითი სახელის სტატუსი, როგორც პაციენტისა, ეგზოტიკური ენების სტრუქტურაში აისახება არაერგატიული ბრუნვით, ეს ფორმა შეიძლება დაემთხვეს ინგლისურ ენაში გარდაუვალი ზმნის სუბიექტს. წინადადებაში, სადაც აგენტიც გვაქვს და პაციენტიც — „გარდამავალ“ წინადადებაში — პაციენტი გადმოგვცემს ახალს, ხოლო აგენტი — ძველ ინფორმაციას. ასეთი პაციენტი ინგლისური ენის ზედაპირულ სტრუქტურაში გადმოცემულია როგორც ობიექტი, ხოლო ეგზოტიკური ენების ზედაპირულ სტრუქტურაში კვლავ არაერგატივით გამოიყენება.

აგენტი გადმოგვცემს ძველ ინფორმაციას, იგი ინგლისური ენის ზედაპირულ სტრუქტურაში წარმოდგენილია როგორც სუბიექტი: არსებითი სახელი — აგენტი ეგზოტიკური ენების ზედაპირულ სტრუქტურაში აისახება ერგატივით, იგი შეიძლება დაემთხვეს ინგლისური ენის გარდამავალ ზმნასთან სუბიექტს. მაგრამ ინგლისური ენის გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ზოგჯერ სხვა ენებში ემთხვევა უფრო აგენტს, ვიდრე პაციენტს. ეს ხდება ისეთ შემთხვევაში, როცა ზმნა გამოხატავს მარტივ მოქმედებას და არა მოქმედება-პროცესს (გარდამავალი ზმნა) ან გამოხატავს მარტივ პროცესს, ან მდგომარეობას. მაგ., წინადადებაში *the dog barked* (ძალი ყეფდა): *the dog* აგენტი და უნდა იქნეს გამოხატული ეგზოტიკური ენების ერგატივით. არსებობს სხვადასხვა ტიპის ერგატიული ენები, სადაც მოცემულ მტკიცებებს შეიძლება ძალა არ ჰქონდეთ. მაგრამ ერთი ცხადია, ერგატივში აგენტის, არაერგატივში პაციენტის გაფორმება ხშირად დაპოკიდებულია ზმნის სემანტიკაზე: პროცესს გამოხატავს იგი, მოქმედებას თუ მდგომარეობას [139, გვ. 266].

ამგვარად, კორელაცია სემანტიკურ აგენტსა და ზედაპირულ ერგატივს შორის, ისევე როგორც სემანტიკურ პაციენტსა და ზედაპირულ არაერგატივს შორის, ზოგ ენაში არ არის სრული (თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ზედაპირული სტრუქტურის განაწილებისას

გვხვდება შემთხვევითი გადახრებიც). ეს არ ნიშნავს, რომ ზედაპირული სტრუქტურის ფორმებს არ შეუძლიათ წარმოადგინონ სემანტიკური მიმართება: აგენტი ან პაციენტი — სხვა გზით. ერგატივის გამოყენება აუცილებელი არ არის. საქმე ისაა, რომ ინგლისური ენის ზედაპირული სტრუქტურის ელემენტები — სუბიექტი და ობიექტი — საერთოდ არ ასახავენ ასეთ მიმართებებს და გამოხატავენ ძველი და ახალი ინფორმაციის განაწილებას. სუბიექტი და ობიექტი დაკავშირებულია პაციენტთან, აგენტთან და სხვა სემანტიკურ მიმართებებთან მხოლოდ ირიბად. იმდენად, რამდენადაც ამ მიმართებებს მაინც აქვთ გარკვეული როლი ძველი და ახალი ინფორმაციის განაწილებაში.

ბრუნვათა სისტემის კავშირს სიღრმულ სტრუქტურასთან და აქტუალური დანაწევრების საკითხთან ეხება ლასლო დევეს გამოკვლევა (76, გვ. 29—110). ჩვენ ამ ნაშრომიდან გამოვყოფთ ერგატიული კონსტრუქციის ენებში აქტუალური დანაწევრების თავისებურებებს.

ავტორის აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ერგატიული ენები განსაკუთრებით „მგრძნობიარენი“ არიან თემის მიმართ, ხოლო ნომინატიური ენები მეტ „მგრძნობიარობას“ იჩენენ რემის მიმართ, რადგანაც ერგატიული ენები თემას, ზმნის სემანტიკაზე დამოკიდებულებით, გამოხატავენ სხვადასხვა საშუალებით, ხოლო ნომინატიური კონსტრუქციის ენებში თავისებურებები გვაქვს რემის გამოხატვისას. მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებთან თემა შეიძლება იყოს აგენტი — მოქმედი პირი ერგატივში, ხოლო გრძნობა-აღქმის ზმნებთან თემა ექსპერიენტი — არამოქმედი პირი მიცემითში ან, იშვიათად, საგანი სახელობით ბრუნვაში. ზმნის ასპექტუალობა და ზოგი სხვა ფაქტორი მოქმედებს ზედაპირულ სტრუქტურაში ამ კატეგორიათა გამოვლენაზე.

იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ერგატიული კონსტრუქციაა დამახასიათებელი, მაგრამ მისი გამოვლენა ფორმალურად სხვადასხვაგვარია. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურ ენებში ყველგან ერთნაირი არ არის: გარკვეული სხვაობა იჩენს თავს. ეს სხვაობა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, იმასთან, თუ რა ადგილი უჭირავს ერგატივს ბრუნების სისტემაში და, მეორე მხრივ, იმასთან, თუ რა შემთხვევაში (რა ნაკვთებთან, დროებთან) მოითხოვს ერგატივს ზმნა.

ერგატიული კონსტრუქციის თავისებურება იბერიულ-კავკასიურ ენებში განაპირობებს აქტუალური დანაწევრების თავისებურებას. ბუნებრივია, უნივერსალური ვერ იქნება ძველი და ახალი ინფორმაციის განაწილების ის წესი, რომელსაც ჩვეი გვთავაზობს. მაგალი-

თად, აფხაზურში იმის გამო, რომ ბრუნება არა გვაქვს, სიტყვათა რიგი თავისებურია. ეს კი განაპირობებს ძველი და ახალი ინფორმაციის სუბიექტ-ობიექტთან მიმართების თავისებურებას. მ. ციკოლია აღნიშნავს: წინადადების აქტუალური დაყოფის თეორია, რომელიც ინდოევროპეისტიკაშია გაბატონებული, ვერ არკვევს სიტყვათა რიგის, როგორც ენათმეცნიერული ცოდნის, ვერც ერთ საკითხს, რადგან იგი არ ითვალისწინებს რა კონკრეტულ ენათა თავისებურებებს, პრობლემის კვლევას იწყებს ენობრივი ფაქტის ფუნქციიდან ამოსვლით და განზე ტოვებს შესიტყვების სტრუქტურასა და ამ უკანასკნელის მიმართებას მით გადმოსაცემ შინაარსთან [46, გვ. 7].

ჩვენი აზრით, მსჯელობა მეტად მკაცრია. აქტუალური დანაწევრების თეორია გულისხმობს კონკრეტულ ენათა თავისებურების გათვალისწინებას. განსაკუთრებით ბოლო წლების ნაშრომებში ენათა კონკრეტული მასალაა წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით აფხაზური ენის მონაცემების გათვალისწინება საინტერესო შედეგებს მოგცემს [54].

ქართულში აწმყოს წრეში ერგატიული კონსტრუქცია არა გვაქვს. მაშასადამე, აგენტი ანუ ძველი ინფორმაცია მაინცდამაინც ერგატივთან არ არის დაკავშირებული. საინტერესოა და საკვლევი, როგორ არის დაკავშირებული ძველი და ახალი ინფორმაციის გადმოცემა დრო-კილოთა ცვლასთან, ზმნის ობიექტურ და სუბიექტურ წყობასთან.

ამ საკითხთა შესახებ წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში გვექნება მსჯელობა. მეორე თავში განვიხილავთ აგრეთვე ქართულში რთული სინტაქსური ერთეულის — თანწყობილი და შერწყმული წინადადების საკითხს ტექსტის ლინგვისტიკასთან მიმართებით.

წინამდებარე თავებში წარმოდგენილი თეორიული მიმოხილვებიდან და მსჯელობიდან შეიძლება დაეასკვნათ: ტექსტის ლინგვისტიკა ფაქტიურად ასრულებს სინტაქსის პრობლემატიკის განვითარების ერთ ხაზს: უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზი — ტრანსფორმაციული გრამატიკა — წარმომშობი სემანტიკა — ტექსტის ლინგვისტიკა. როგორც აღნიშნული იყო, ტექსტის ლინგვისტიკა უბრუნდება პრალის საენათმეცნიერო წრის ფუნქციონალური სინტაქსის პრობლემებს, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე ახდენს ტექსტის ფუნქციონალურ ანალიზს, ითვალისწინებს რა ენათმეცნიერების განვითარების 50-წლიან გამოცდილებას. განვითარება აქაც, როგორც საერთოდ დიალექტიკაში, ხდება სპირალისებურად.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უშუალო შემადგენელთა მეთოდის ნაკლოვანებათა დაძლევის ცდა ენათმეცნიერებაში ორი გზით წარიმართა: ა) შემოტანილი იქნა ახალი სინტაქსური ცნება — ვალენტობა, ბ) დამუშავდა სინტაქსური ანალიზის (სინთეზის) ახალი მეთოდი — ტრანსფორმაციული მეთოდი.

სინტაქსური ვალენტობის ცნება პირველად ჩამოყალიბდა 1953 წელს. იგი გამოყო და დააფუძნა ფრანგმა ენათმეცნიერმა ლ. ტენიერმა შრომაში „ნარკვევები სტრუქტურული სინტაქსის შესახებ“ [182]. მაგრამ სინტაქსურ ნიშანთა სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო ვალენტობის ცნებას, ჩამოყალიბდა გაცილებით უფრო ადრე (დაწერილებით ამ საკითხზე იხ. [10]).

ლ. ტენიერი გახაზავს, რომ სინტაქსის თეორია უნდა დაემყაროს წმინდა სინტაქსურ მონაცემებს. კერძოდ, ავტორი ფიქრობს, რომ სინტაქსის თეორიაში უნდა გავარჩიოთ ორი ძირითადი ნაწილი:

1. კატეგორიული ანუ სტატიკური სინტაქსი, რომელიც შეისწავლის გრამატიკულ კატეგორიებს, მათი თანამიმდევრობების და ორგანიზაციის პრინციპებს ენაში⁹.

2. ფუნქციური ანუ დინამიკური სინტაქსი, რომელიც შეისწავლის „ცოცხალი“ ფრაზის სტრუქტურა-მექანიზმს, მისი კავშირების რეალურ სისტემას.

ლ. ტენიერის აზრით, ფრაზა წარმოდგენს მრავალიარუსიან იერარქიულ აღნაგობას (ორგანიზმს), რომლის ცენტრშიც დგას ზმნა, მმართველი ამ ორგანიზმისა. პერიფერიებზე განლაგებული არიან მრავალრიცხოვანი გრამატიკული ელემენტები, რომლებიც ექვემდებარებიან ერთმანეთს და საბოლოო ჯამში — გრამატიკულად უმნიშვნელოვანეს ელემენტს — ზმნას [183, გვ. 103].

ფრაზის შიგნით გამოიყოფა სტრუქტურული გაერთიანება. რომლის ცენტრიც შეიძლება იყოს ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნიზედა. მსგავს გაერთიანებებს ლ. ტენიერი შესაბამისად უწოდებს ვერბალურ, ზედსართაულსა და ზმნიზედურ კვანძებს [183, გვ. გვ. 15, 102, 181—191].

ფრაზა შედგება ერთი ან რამდენიმე კვანძისაგან. უმრავლესი ფრაზის მაორგანიზებელი ცენტრი არის ზმნა (ზმნური კვანძი). ტენიერის აზრით, ევროპულ ენათა უმრავლესობაში ზმნა თავისი გარე მოცვით დგას ფრაზის ცენტრში [183, გვ. გვ. 15, 61, 103].

⁹ კატეგორიული სინტაქსის საკითხებზე არ შევიჩრლებით, რადგან ამჟერად ფრაზის სტრუქტურა-მექანიზმი გვინტერესებს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ლ. ტენიერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ზმნას, მის კავშირს სხვა სიტყვებთან. სწორედ ამან განაპირობა, რომ სინტაქსური ვალენტობის ცნების ჩამოყალიბება დაუკავშირდა ზმნას.

ლ. ტენიერი ზმნას ადარებს პატარა პიესას. ნამდვილი სპექტაკლის მსგავსად, აღნიშნავს იგი, ზმნური კვანძი აუცილებლად გამოხატავს რაიმე პროცესს. იგი მოიცავს მოქმედ პირებს (აქტანტებს) და რაიმე ტიპობრივ გარემოცვას. ზმნას (პროცესს) ექვემდებარებიან მოქმედი პირები (არსებითი სახელები) და გარემოცვის დამახასიათებელი წევრები, გარემოება-ზმნიზედები [183, გვ. 103].

ლ. ტენიერი გამოყოფს სამ მოქმედს, რომელთაგან თითოეულს აქვს რიგითი ნომერი: პირველი მონაწილე, მეორე მონაწილე, მესამე მონაწილე (პირველი, მეორე, მესამე აქტანტი) ისინი სემანტიკურად შემდეგნაირად ხასიათდებიან: პირველი მონაწილე არის მოქმედი, ანუ ის, ვისაც მოქმედების ჩადენა მიეწერება. ეს არის ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილი წინადადების მთავარი წევრი — ქვემდებარე. მეორე მონაწილე არის ის, ვიზედაც გადადის მოქმედება, ვინც განიცდის მოქმედებას — ტრადიციული გრამატიკის პირდაპირი დამატება. მესამე მონაწილე არის ის, ვისთვისაც სრულდება მოქმედება, ანუ ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილი ირიბი დამატება. ლ. ტენიერი გახაზავს, რომ ტრადიციული სემანტიკური დაპირისპირება „ქვემდებარე-დამატება“ სტრუქტურული განხილვის დროს იხსნება და გადაიქცევა უბრალო განსხვავებად პირველ, მეორე და მესამე მოქმედს შორის [183, გვ. 105—107].

ამგვარად, ქვემდებარე, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტრადიციულ სინტაქსში, როგორც წინადადების მთავარ წევრს, გამოდის ამ შემთხვევაში დამატების გვერდით, როგორც ერთერთი მოქმედი. ეს გარემოება ქმნის ლ. ტენიერის სტრუქტურული სინტაქსის მნიშვნელოვან თავისებურებას, და არა ერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი [101, გვ. 127].

ვერბალური ფრაზის, ზმნური კვანძის მოქმედთა რიცხვი შეზღუდულია და ყოველთვის ექვემდებარება მკაცრ აღრიცხვას. ამგვარი რამის თქმა არ შეიძლება გარემოებებზე. ისინი შეიძლება სულ არ შეგვხვდნენ წინადადებაში, ან შეგვხვდეს მათი ნებისმიერად ცვლებადი რიცხვი, ამიტომ ვალენტობა განისაზღვრება მოქმედ სახელებზე და არა გარემოებებზე.

ამგვარად, სინტაქსური ვალენტობა ლ. ტენიერის მიერ გაიგება, როგორც ზმნის პოტენციური შესაძლებლობა დაუკავშირდეს სახელებს (ჩვეულებრივ, პირველ, მეორე და მესამე აქტანტს). ზმნის

ვალენტობა განისაზღვრება იმ მოქმედთა რიცხვით, რომელსაც მართავს ზმნა.

ვალენტობის ცნება ტენიერთან საფუძვლად ედება ზმნათა კლასიფიკაციას. გამოიყოფა ზმნები ნულოვანი ვალენტობით, ერთვალენტოვანი, ორვალენტოვანი და სამვალენტოვანი ზმნები.

ზმნებს ნულოვანი ვალენტობით არ ახლავთ მოქმედი. ესენი არიან ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილი „უპირო ზმნები“. ისინი გამოხატავენ პროცესს, რომელიც ხდება თავისთავად, ვინმეს მონაწილეობის გარეშე [183, გვ. 239—240].

ერთვალენტოვანი ზმნები გამოხატავენ მოქმედებას, პროცესს, რომელშიაც მხოლოდ ერთი პირი მონაწილეობს. ჩვეულებრივ ასეთ ზმნებს ევროპულ ენათა გრამატიკებში უწოდებენ გარდაუვალ ზმნებს [183, გვ. 240].

ორვალენტოვანი არიან ზმნები, რომელნიც მოქმედებაში, პროცესში აერთიანებენ ორ პირს ან საგანს. აქ მოქმედება გადადის ერთი პირიდან მეორეზე, ამიტომ მათ ტრადიციულ გრამატიკაში გარდამავალ ზმნებს უწოდებენ [183, გვ. 242].

სამვალენტოვანი ზმნა გამოხატავს პროცესს, რომელშიაც მონაწილეობს სამი სახელი: სამი პირი ან საგანი. ჩვეულებრივ, სამვალენტოვანი ზმნაში პირველი და მესამე პირი არის სუბიექტი, მეორე კი — საგანი.

ტრადიციულ სინტაქსში, აღნიშნავს ტენიერი, სამვალენტოვანი ზმნისათვის არ არსებობს სპეციალური სახელი. იგი, ისევე, როგორც ორვალენტოვანი ზმნები, გარდამავალ ზმნათა ქვეჯგუფში ერთიანდება [183, გვ. 127].

ლ. ტენიერი გახაზავს იმ გარემოებას, რომ მოქმედნი ყოველთვის არ ავსებენ ზმნის ყველა ვალენტობებს. ცალკეული ვალენტობები შეიძლება არ შევიდნენ ზმნაში, დარჩნენ თავისუფლად, მაგალითად, სამვალენტოვანი ზმნა *donne* „მიცემა“ შეიძლება ვიხმაროთ მესამე ან მეორე მონაწილის გარეშე. *Alfred donne aux pauvres* „აღფრედი აძლევს ღარიბებს“. *Alfred donne la main* „აღფრედი აძლევს ხელს“. ამგვარი მაგალითების საფუძველზე ტენიერს შემოაქვს „თავისუფალი ვალენტობის“ ცნება [183, გვ. 239—240].

ლ. ტენიერი ვრცლად ეხება აქტანტთა (მონაწილეთა) გამოხატვის საკითხს ენაში. კერძოდ, აღნიშნავს, რომ ყოველ აქტანტს აქვს რაღაც დამახასიათებელი ფორმალური ნიშანი, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა აქტანტებისაგან, ეს ნიშანი მეტ-ნაკლებად ან ამ აქტანტთან არის შეერთებული (წინდებული, თანდებული, პრეფიქსი, სუფიქსი), ან განსხვავებულია აქტანტთა ადგილი მეტყველების ნაკადში.

ენებში, რომელთაც აქვთ განვითარებული ბრუნვათა სისტემა,


აქტანტები ერთმანეთისაგან ბრუნვებით განსხვავდებიან. მაგალითად, ბევრ ევროპულ ენაში პირველი აქტანტი სახელობითი ბრუნვით გადმოიციემა, ხოლო ბასკურში მოქმედების გამომხატველ ზმნებთან სპეციალური ბრუნვა გვაქვს. ასევე ქართულში აქტიური მონაწილის გამოსახატავად იხმარება სპეციალური ბრუნვა — ერგატივი. ქართულის საილუსტრაციოდ ტენიერს მოჰყავს მაგალითი: „კაც'მან წიგნი დაწერა“ [183, გვ. 112]¹⁰. თვით ფრანგულში კი აქტანტები ერთმანეთისაგან ადგილმდებარეობით განსხვავდებიან.

თავის მხრივ აქტანტები გამოიხატებიან ზმნაში. მათ აქვთ ზმნაში პირის მარჯვენაობა. ზოგ ენაში ხდება ამ ნიშანთა შერწყმა ზმნასთან, ზოგან კი იგი ზმნის გარეთაა.

ლ. ტენიერი ახდენს ზმნათა კლასიფიკაციას, როგორც ვალენტობათა მიხედვით, ისე ზმნასთან დაკავშირებულ აქტანტთა ურთიერთ-მიმართების თვალსაზრისით. აქტანტთა ურთიერთმიმართების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი გვარები (დიათეზები).

აქტიური $A \rightarrow B$

პასიური $A \leftarrow B$

რეფლექსური 

საურთიერთო $\begin{cases} A \rightarrow B \\ A \leftarrow B \end{cases}$

შესაძლებელია ზმნები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ ფორმალურად, შინაგანი სტრუქტურით, მაგრამ განსხვავებული იყოს მათთან დაკავშირებულ აქტანტთა რიცხვი. ასეთი სემანტიკური ცვლილება, აღნიშნავს ტენიერი, ენაში, უმრავლეს შემთხვევაში, მორფოლოგიური საშუალებით გამოიხატება, იცვლება ზმნის აგებულება, მორფოლოგიური სტრუქტურა. ოპერაციას, რომელიც ზრდის აქტანტთა რიცხვს, ეწოდება კაუზატივი, ხოლო ოპერაციას, რომელიც ამცირებს აქტანტთა რიცხვს, ეწოდება შეკვეცის დიათეზა. ახალა აქტანტი, რომელიც კაუზატივის შედეგად წარმოიქმნება, არის მოქმედების უშუალოდ შემსრულებელი [183, გვ. 261—262].

¹⁰ როგორც აღვნიშნეთ, ტენიერს გარემოებები არ შეაქვს ზმნის ვალენტობაში, ამიტომ ჩვენ მათზე არ შევჩერდებით, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ნაშრომში ქართული ენის მასალა გამოყენებულია გარემოებათა დასახასიათებლად. კერძოდ, ტენიერი გამოყოფს პრეობოზიციური და პოსტობოზიციური წყობის ენებს. ქართული განვეუთვნება უკანასკნელ ტიპს. მოყვანილია მაგალითი „ის ამაყად მიიბიჯებ“ [183, გვ. 112].

კაუზატივის გამოხატვის შედეგად აქტანტების მომატებისა და ვალენტობის გაზრდის საილუსტრაციოდ ტენიერს მოჰყავს ქართულის მაგალითიც და აღნიშნავს, რომ ქართულში კაუზატივი გამოხატულია ორმაგად: აფიქსის (a —) და სუფიქსის (in — eb) საშუალებით:

v--a—cer

v—a—cer—in—eb

(როგორც მსჯელობიდან ჩანს, „ვაწერინებ“ ფორმა ტენიერს მიაჩნია ოთხვალენტიანად და თვლის მას „ვაწერ“ სამვალენტიანი ზმნის კაუზატივად [183, გვ. 270]).

„სტრუქტურული სინტაქსის ელემენტებში“ მოყვანილი მრავალრიცხოვანი განმარტებებისა და მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

ტენიერს ფრანგულში აქტანტებად გამოყოფილი აქვს ზმნის მიერ მართული სახელები. ეს სახელები ან წინდებულებთან ერთად გვხვდება (მესამე ან მეოთხე აქტანტი, პასივის მეორე აქტანტი) ან დამოუკიდებლად, მკაცრად განსაზღვრულ პოზიციებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ ვალენტობის ცნების შემოტანა სასარგებლო აღმოჩნდა ენათმეცნიერებაში სინტაქსური კვლევისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თვით ვალენტობის ცნება არ არის ტენიერთან განსაზღვრული მკაცრად და ცალსახად. 1. არა ჩანს ნათლად ვალენტობა ფორმალური ნიშნით განისაზღვრება მხოლოდ (აქტანტთა განლაგებისა და გაფორმების საფუძველზე), თუ გადამწყვეტია ზმნის სემანტიკური მხარე. 2. თუ ზმნის ვალენტობაში შევა მასთან დაკავშირებული წინდებულისანი სახელი (ან თანდებულისანი და ირიბ ბრუნვაში მდგომი სახელები სხვა ენებში), როგორიცაა, მაგალითად მესამე აქტანტი, ან პასივის აქტანტი ფრანგულში, მაშინ როგორ უნდა მოვექცეთ სხვა წინდებულისანი სახელებს, რა ნიშნის მიხედვით უნდა გამოვრიცხოთ ისინი ზმნის ვალენტობიდან? (ფრანგულში ზმნასთან დაკავშირებული ყველა წინდებულისანი სახელი ტენიერს არ შეაქვს მის ვალენტობაში). 3. თუ ირიბსა და წინდებულისანი (თანდებულისანი) ბრუნვებს ზმნის ვალენტობაში არ შევიტანთ, მაშინ რას მოგვცემს ახალს კვლევისათვის ამ ცნების შემოტანა? ხომ არ მივიღებთ უკვე არსებული ცნებების (სუბიექტი, ობიექტი, პრედიკატი, ზმნური შესიტყვება, გარდაიშავლობა) რეინტერპრეტაციას? 4. ნაყოფიერი აღმოჩნდება თუ არა ამ ცნების გამოყენება სტრუქტურულად განსხვავებულ სხვა ენათა კვლევისას?

ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხთა გაურკვეველობამ განაპირობა ის,

რომ, მართალია, ლ. ტენიერის თეორია სწრაფად გავრცელდა ენათმეცნიერებაში, მაგრამ, ამავე დროს, გაჩნდა სხვადასხვა თვალსაზრისი ვალენტობის განსაზღვრის საკითხზე.

ტენიერის თეორიასთან ვალენტობის გაგების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ასლოს დგას პ. ბრინკმანი [147]. თავის წიგნში „გერმანული ენა“ ბრინკმანი აღნიშნავს, რომ ზმნა წინადადებაში გამოდის არა მხოლოდ ქვემდებარესთან კავშირში (მიმართებაში „ქვემდებარე—შემასმენელი“), არამედ ავლენს სხვა კავშირებსაც, რომლებიც შემდეგ ბუნებრივად შედიან გაფართოებულ მიმართებაში „სუბიექტი—პრედიკატი“.

ზმნის უნარს, განსაზღვროს სხვა წევრების პოზიცია წინადადებაში, ტენიერის მსგავსად ბრინკმანი უწოდებს ვალენტობას (die Valenz), ხოლო მართულ წევრებს — მონაწილეებს (Mitspiler).

ბრინკმანთან, ტენიერისაგან განსხვავებით, უფრო თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი განსხვავება ტერმინებს შორის „ვალენტობა“ და „პოზიცია“. ტენიერი ტერმინით „ვალენტობა“ გამოხატავს, როგორც ზმნის უნარს გააერთიანოს თავისთან, მართოს გარკვეული წევრები, ისე გარკვეულ პოზიციებს ზმნასთან (იხ. ტენიერთან „თავისუფალი ვალენტობის“ ცნება). ბრინკმანისათვის „ვალენტობა“ არის მხოლოდ ზმნის უნარი, მისი სიტყვითგააერთიანებელი პოტენციალი, ხოლო იქ, სადაც საუბარია ამ პოტენციალის გამოვლინებაზე, იგი იყენებს ტერმინს „პოზიცია“. ვალენტობა ახასიათებს ზმნის სინტაქსურ შესაძლებლობას, პოზიცია — ამ შესაძლებლობათა რეალიზაციაა.

ბრინკმანი ვალენტობის ცნებას იყენებს სახელთა მიმართაც. მისი დაკვირვებით, ზმნისა და სახელის ვალენტობრივი თვისებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: მაშინ, როდესაც არსებში სახელი და ზედსართავი სახელი განაგებს მხოლოდ ერთ ვაკანტურ ადგილს, პოზიციას, სხვა არსებითი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმისათვის, ზმნას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ვაკანტური ადგილი.

„მონაწილეთა“ როლში გამოდიან მხოლოდ ისეთი პოზიციები, რომლებსაც ავსებენ არსებითი სახელები ნებისმიერ ბრუნვაში. ფორმები, რომელნიც ზმნას უკავშირდებიან წინდებულთა საშუალებით, ავტორს არ შეაქვს ზმნის ვალენტობაში.

ბრინკმანის აზრით, ენისათვის არსებითია სამი საკითხი: 1. რამდენი ვაკანტური პოზიცია არის დასაშვები ამ ენაში ზმნასთან? 2. რომელი ბრუნვები არის გამოყენებული ამ პოზიციათა შესავსებად? 3. როგორ ნაწილდებიან ეს ბრუნვები ზმნის გარემოცვაში?

თანამედროვე გერმანულ ენაში ოთხი ბრუნვიდან (სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი) სახელობითი არის ქვემდებარის ბრუნვა, ნათესაობითი განკუთვნილია განსაზღვრების პოზი-

ციისათვის, ხოლო ზმნისათვის რჩება მიცემითი და ბრალდებითი ბრუნვები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველი ამ ბრუნვათაგანი ზმნასთან შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ ერთხელ, შეიძლება დავადგინოთ, რომ ზმნა განაგებს სამ პოზიციას (ქვემდებარის ჩათვლით). ბრინკმანი გამოყოფს ზმნის 8 სინტაქსურ ტიპს. იწყებს ნულვალენტიანი ზმნებით და ამთავრებს სამვალენტიანით. თითოეულში ქვეჯგუფები გამოიყოფა.

ნაკლოვანებანი, რომელიც შეიმჩნევა ლ. ტენიერის სინტაქსურ კონცეფციაში არ არის დაძლეული არც ბრინკმანთან. მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ზმნის ვალენტობის განმსაზღვრელი წევრები გამოიყოფა წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით, იმის გათვალისწინებით თუ რამდენი ბრუნვაა გერმანულში. მაგრამ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ ენებში, რომლებშიაც ბრუნვათა რიცხვი გაცილებით მეტია. მაგალითად, უნგრულში, სადაც გამოყოფენ დაახლოებით 21 ბრუნვას, ან იმ ენებში, რომელთაც ბრუნვათა სისტემა საერთოდ არ გააჩნიათ (მაგალითად ინგლისურში)? აღნიშნულ ნაკლოვანებათა გადალახვა მოინდომეს იმ ენათმეცნიერებმა, რომელთაც მიზნად დაისახეს გამოეყენებინათ ვალენტობის ცნება წინადადების ძირითადი სტრუქტურული მოდელის გამოსავლინებლად. მათ რიცხვს მიეკუთვნება ი. ერბენი [155, გვ. 162—172].

ი. ერბენი, ტენიერის მსგავსად სინტაქსურ ვალენტობაში გულისხმობს ზმნის ვალენტობას. სწორედ ზმნაზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენი და როგორი დამატება გამოდის ზმნასთან პრეპოზიციასა და პოსტპოზიციასში. მაგრამ ტენიერისა და ბრინკმანისაგან განსხვავებით, ერბენი დამატებად თვლის როგორც ქვემდებარეს, ისე მოცემულ გარემოცვაში აზრობრივად აუცილებელ გარემოებებსაც და პრედიკატულ განსაზღვრებებსაც.

ერბენი დამატებებს წარმოადგენს გარკვეული სქემის სახით. თითოეულ მათგანს აქვს გარკვეული ნომერი ამ სქემაში (E_1, E_2, E_3, E_4). ეს ნომრები გვეხმარებიან მხოლოდ ვალენტობათა საერთო რიცხვის აღრიცხვაში და არაერთარ კავშირში არ არიან მათ იერარქიასთან ან თანმიმდევრობასთან.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია ზმნა-შემასმენლის ვალენტობა, რომელიც გამოითვლება მასთან აუცილებელ აზრობრივ კავშირში მყოფი დამატებების რაოდენობით, ერბენი გამოყოფს ოთხ ძირითად სტრუქტურულ მოდელს, რომელსაც წარმოგვიდგენს მარტივი წინადადების მოდელად თანამედროვე გერმანულ ენაში. თითოეულ ტიპს აქაც თავისი ქვესახეობები აქვს.

ერბენის თეორიაში ახალი ის არის, რომ ვალენტობის აღრიცხვისას იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ ზმნასთან აზრობრივად დაკავშირებული წევრთა აღრიცხვის მოთხოვნით. ამ გზით იგი მნიშვნელოვნად ზრდის „მონაწილეთა“ რაოდენობას, ზუსტი კრიტერიუმები კი მათ დასადგენად მაინც არა გვაქვს.

3. პელბიგი სტატიაში „ვალენტობის ცნება, როგორც ენის სტრუქტურული აღწერისა და უცხო ენათა სწავლების საშუალება“ [164] მიზნად ისახავს დააზუსტოს და მოახდინოს ვალენტობის ცნების განსაზღვრის ფორმალიზაცია. მისი მიზანია, ეს ცნება გამოიყენოს, როგორც ენის თეორიული აღწერისას. ისე პედაგოგიურ პროცესში, ენის სწავლებისას. ამა თუ იმ წევრის აზრობრივი აუცილებლობის განსაზღვრისათვის ავტორი იყენებს გამორტრეების პროცედურას, რომელსაც იგი სესხულობს უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზისა და ტრანსფორმაციული ანალიზის მეთოდებიდან. დუ რომელიმე წევრის გამორტრეების შედეგად ვიღებთ დასაშვებ, გრამატიკულად სწორ წინადადებას, ეს იმას ნიშნავს, რომ გამორტრეებული წევრი არ იყო სტრუქტურულად აუცილებელი. ასე, მაგალითად, ადგილის გარემოება აუცილებელი არ არის ზმნასთან besuchen „ნახვა“, მაგრამ აუცილებელია იგი ზმნასთან legen „დადება“.

პელბიგის აზრით, ლექსიკონებში ზმნასთან მითითებული უნდა იყოს როგორც მისი ვალენტობა, ასევე მონაწილეთა ხარისხობრივი დახასიათებაც შემდეგი სახით: legen₃ — S, O, loc. [165].

ვ. გუტუ-რომალო აღნიშნავს, რომ ზმნის სრულმა კლასიფიკაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა შესაძლო სინტაგმა. მთავარი წევრის როლში ამ სინტაგმაში გამოვა ზმნა. T არის ზმნა, T' არის არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ზედსართავი სახელი... სინტაგმა, რომელშიაც T' არის ზმნიზედა, არ იქნება რელევანტური კლასიფიკაციისათვის, რამდენადაც ზმნიზედური დეტერმინაცია საერთოა ყველა ზმნისათვის, ამიტომ იგი არასპეციფიკურია და იმთავითვე უნდა გამოვირიცხოთ. (შეგარად, ზმნის ვალენტობათა რიცხვი წარმოადგენს ფაქტობრივად სახელთა რიცხვს, რომელნიც უკავშირდებიან ზმნას ერთი და იმავე გამონათქვამის ფარგლებში.)

ვ. გუტუ-რომალო არ განიხილავს კონსტრუქციას ზმნა+ (წინდებული+ სახელი), რადგან არსებითი სახელის ბრუნვას, მისი აზრით, წინდებული მართავს და არა ზმნა. საერთოდ კი ავტორი საჭიროდ მიიჩნევს შესწავლილ იქნეს მიმართება ზმნასა და წინდებულებს შორის.

რუმინული ენის ზმნის ვალენტობათა რიცხვი გუტუ-რომალოსთან

იწყება ერთიდან, ყველაზე მეტი ვალენტობაა — 4. სულ გამოყოფილია 16 ქვეჯგუფი [71].

როგორც დავინახეთ, (ზმნა განაპირობებს მასთან დაკავშირებულ სახელთა რიცხვს. ამ სახელებს გარკვეული ფორმალური (მორფოლოგიური ან პოზიციური) თავისებურებანი ახასიათებთ, თუ ამოვალთ ზმნის გარემომცველი სახელების ფორმალური სტრუქტურიდან, შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით აღვწეროთ ზმნათა მნიშვნელობა. მაგალითად, ამ გზით შესაძლებელი გახდება ერთნაირი, ან ნაწილობრივ ერთგვარი მნიშვნელობის მქონე ზმნათა გაერთიანება ერთ ქვეჯგუფში [52].)

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ვალენტობის ცნება დაუპირისპირდა უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზს. როგორც ცნობილია, უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის დროს შემეცირდა ყურადღება შინაარსისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რა გამოხატვის პლანს. ამ თვალსაზრისით უშუალო შემადგენელთა მეთოდის კრიტიკას ვხვდებით რ. ს. პიტმენისა და ს. ჩეტმენის შრომებში.

ჩეტმენი აღნიშნავს, რომ უშუალო შემადგენელთა მეთოდი უგულვებელყოფს სიტყვის მნიშვნელობას, ამას კი მიეყვარათ ინტეგრატობის დარღვევისაყენ ანალიზის პროცესში და იერარქიის პრინციპის დაუცველობისაყენ, რამდენადაც ანალიზი დადის მხოლოდ შემადგენელთა ჩამოთვლამდე. ჩეტმენი საკითხის გადაწყვეტას ხედავს ახალი ცნების „პოტენციური გარემოს“ შემოღებაში [150].

პიტმენის აზრით, უშუალო შემადგენელთა გამოყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამონათქვამის სტრუქტურის დადგენას, საჭიროა მოხდეს მათ შორის დამოკიდებულებათა რეგისტრაცია, ასეთ დამოკიდებულებას ავტორი უწოდებს ვალენტობას [177].

შეიძლებოდა დაგვესახელებინა რიგი სხვა შრომაც, რომელიც იყენებს ვალენტობის ცნებას. გაფართოვდა ამ ცნების გამოყენების სფერო. დღეს საენათმეცნიერო ლიტერატურაში შევხვდებით გამოთქმებს „სინტაქსური ვალენტობა“, „სემანტიკური ვალენტობა“, „ლექსიკურ-გრამატიკული ვალენტობა“, „ლექსიკურ-სინტაქსური ვალენტობა“, „ღია და ჩაკეტილი ვალენტობა“, „სინტაგმატური ანუ კონფიგურაციული ვალენტობა“, „პარადიგმატიული ვალენტობა“ და ა. შ. ვალენტობას ადგენენ ენის სრულიად სხვადასხვა იარუსის: ფონეტიკურის, ფონოლოგიურის, ლექსიკურის, მორფოლოგიურის და სხვა დონის ელემენტებისათვის [78]. ყველა ამ ცნებისათვის ამოსავალია ვალენ-

ტობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპი. ენობრივი ერთეულის უნარი დაიკავშიროს სხვა ენობრივ ერთეულთა გარკვეული რიცხვი [128]¹¹.

ამჯერად, ყველა ზემოთ განხილული ცნებებიდან ჩვენ გვაინტერესებს ზმნის სინტაქსური ვალენტობის რაობა. ამიტომ ზემოთ გაანალიზებულ შრომებშიც ამ საკითხს ვაქცევდით ყურადღებას.

ვფიქრობთ, განხილული ნაშრომებიდანაც ნათლად ჩანს, რომ შეინიშნება სხვადასხვაობა ზმნის სინტაქსური ვალენტობის განსაზღვრის საკითხში. არა ჩანს ნათლად რა იგულისხმება ზმნის სინტაქსურ ვალენტობაში, არ არის მკაცრად განსაზღვრული ვალენტობის დადგენის კრიტერიუმი. აუცილებლად გვეჩვენება, ნათლად გაირკვეს საკითხი, რაზეა დამოკიდებული ზმნის სინტაქსური ვალენტობა? რამდენად არის იგი სინტაქსის შესწავლის ობიექტი?

წიგნგებრი აღნიშნავს, რომ ზმნის ვალენტობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტულ ზმნაზე, უფრო ზუსტად იმ სემანტიკურ პლასტზე (Verbschicht), რომელსაც ეკუთვნის ზმნა. სხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ აქ მკვლევარი იმყოფება სტრუქტურული სინტაქსისა და სემანტიკის მიჯნაზე [158].

ცნობილია, რომ ზმნის სემანტიკა, მისი ლექსიკური მნიშვნელობა, განსაზღვრავს არა მარტო მასთან დაკავშირებული სახელის ფორმას (მართვის გზით), არამედ შინაარსსაც

პორციგის აზრით, სიტყვებს შორის დიდი რაოდენობითაა ისეთი მნიშვნელობითი მიმართებები, რომლებშიც ერთი სიტყვა მეორესთან არის მიაზრებული. როგორც „სვლა“ გულისხმობს ფეხს, ასევე „წავლება — ხელს“, „ხედვა — თვალს“, „სმენა — ყურს“, „კოცნა — ტუჩებს“, „ლოკვა — ენას“. ასეთ მიმართებებს პორციგი უწოდებს არსითს მნიშვნელობით მიმართებებს.

თუ ამგვარი არსითი მნიშვნელობითი მიმართებები ირღვევა (მაგალითად, თუ ვამბობთ იცინის ძაღლი, ან ყეფს ადამიანი), საქმე გვაქვს მეტაფორულ გამოთქმებთან [179].

ა. ჩიქობავა ამა თუ იმ ენის სტილისტური შესწავლის ერთ-ერთ ამოცანად თვლის შესიტყვების, კერძოდ, მარტივი თუ რთული წინადადებების მონაწილე სიტყვათა ურთიერთობის გარკვევას მნიშვნელობის თვალსაზრისით [41, 42].

მსგავს მნიშვნელობით მიმართებათაგან განსხვავებით ზმნის სინტაქსური ვალენტობის დადგენისას არსებითია რამდენ პოზიციას გა-

¹¹ ცნობილია, რომ ტერმინი „ვალენტობა“ ენათმეცნიერებაში ჰიმიოდან შემოვიდა. ჰიმაში ვალენტობა (ლათ. Valentia „ძალა“) არის რიცხვი, რომელიც მიუთითებს წყალბადის (ან სხვა ერთვალენტური ელემენტის) რამდენი ატომის დაკავშირება შეუძლია მოცემულ ატომს ან რამდენ ასეთ ატომს დაიტევს იგი.

ნაგებს ზმნა, როგორია ზმნური შესიტყვების სტრუქტურა, და არა ის, თუ რა კონკრეტული მნიშვნელობები აქვთ აქტანტებს (თუმცა რიგ შემთხვევაში ვერც მნიშვნელობას ავუვლით გვერდს, აქ თავს იჩენს ლინგვისტურ დონეთა ურთიერთობის საკითხი). ზმნის ვალენტობისათვის არსებითია მისი პოტენციური შესაძლებლობები დაიკავშიროს სახელები ამა თუ იმ ფორმით და არა ის კონკრეტული ლექსემები, რომლებიც ავსებენ გარკვეულ ადგილებს ამ ზმნასთან. ამდენად ზმნის სინტაქსური ვალენტობის კვლევა არც სტილსტიკის ობიექტია და არც სემანტიკის.

მეორე მხრივ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აქტანტები ხშირ შემთხვევაში მორფოლოგიურად ფორმდება, დგას ამა თუ იმ ბრუნვაში, გვხვდება გარკვეულ წინდებულთან. ზოგ ენაში ზმნაშიც გვაქვს მაჩვენებლები, რომელნიც არაპირდაპირი გზით განსაზღვრვენ აქტანტთა სავარაუდო რიცხვს შესიტყვებაში (მაგალითად, პირის, გვარის, ქცევის, კაუზატივის, მორფოლოგიური კატეგორიები), მაგრამ ცხადია, ეს არ გვაძლევს საფუძველს მივიჩნიოთ ზმნის ვალენტობა ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიად (ყოველ შემთხვევაში, იგი მორფოლოგიური კატეგორია არ არის ზემოთ განხილული ტიპის ენებში), რადგან იგი ემყარება შესიტყვების წევრებს შორის კავშირს, შესიტყვების სტრუქტურას და არა ოდენ ზმნას.

თვით ტენიერი ვალენტობას სინტაქსურ ცნებად მიიჩნევს. სინტაქსი, აღნიშნავს ტენიერი, დამოუკიდებელია სემანტიკისაგან, მაგრამ სინტაქსურ სტრუქტურათა საფუძველს წარმოადგენს სემანტიკური კავშირები [183, გვ. 40—44]. ასევე სინტაქსი ავტონომურია, მორფოლოგიისაგან დამოუკიდებელი, იგი წინ უსწრებს მორფოლოგიას. მორფოლოგიური ნიშნები სინტაქსის აგებისას, რა თქმა უნდა გამოიყენება, მაგრამ სინტაქსურ სტრუქტურათა აღწერის საფუძველს წარმოადგენს მათი სინტაქსური ფუნქციები [183, გვ. 34—36].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნის სინტაქსური ვალენტობა, მართალია, მკიდროდ უკავშირდება კონკრეტული ზმნის სემანტიკას, ხოლო აქტანტები და ზოგ შემთხვევაში ნაწილობრივ ზმნაც მორფოლოგიურად ფორმდება, მაგრამ ზმნისა და აქტანტთა ურთიერთ მიმართება და განლაგება შესიტყვებაში, შესიტყვების სტრუქტურის შესწავლა საერთოდ სინტაქსის საგანია, ამდენად ზმნის ვალენტობაც სინტაქსის შესწავლის ობიექტი ჩანს.

ჩვენი საკვლევი ობიექტის, ზმნის სინტაქსური ვალენტობის სფეროს ამგვარი დაზუსტება არ ნიშნავს კონკრეტულ ენაში ზმნის სინტაქსური ვალენტობის რიცხვის დადგენის საკითხთან დაკავშირებულ სიძნელეთა მოხსნას.

ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ზმნის ვალენტობის დასადგენად მკაცრი ფორმალიზებული წესი შემუშავებული არ არის. გვაძლევს თუ არა ეს საფუძველს უარი ვთქვათ ზმნის სინტაქსური ვალენტობის შესწავლაზე, ხოლო თუ მივიღებთ, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას კონკრეტულ ენათა კვლევისას? ხომ არ მოხერხდება კონკრეტულ ენათა მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე დაზუსტდეს თვით ცნების არსი? ა. ხლოდოვიჩი სამართლიანად შენიშნავს, რომ ზმნის გარემოცვის აუცილებელ წევრთა დასადგენად საკირო ოპერაციათა რიცხვი და მათი თანმიმდევრობა დამოკიდებულია კონკრეტულ ენათა თავისებურებებზე, კერძოდ, სიტყვის ფორმალურ პოტენციალზე მოცემულ ენაში [128].

ჩვენს მიზანს შეადგენს გამოვიყენოთ სინტაქსური ვალენტობის ცნება ქართული ენის მასალის მიმართ¹². აქ პირველ ყოვლისა ისმის ზმნის პირიანობისა და ვალენტობის მიმართების საკითხი, ამ საკითხის შესახებ ჩვენი ნაშრომის მეორე თავში ვიმსჯელებთ. X

რელაციური გრამატიკის ძირითადი პრინციპები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ნ. ხომსკის ტრანსფორმაციულმა წარმომშობმა გრამატიკამ. თეორიამ, რომელიც უშუალო შემადგენელთა კრიტიკის საფუძველზე წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფართო აღიარება ჰპოვა, და ფაქტობრივად ტრადიციულ სინტაქსს დაუპირისპირდა.

იყო ტრანსფორმაციული გრამატიკის პრინციპებზე მრავალი ენის გრამატიკის აგების ცდა. სწორედ კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზმა გამოავლინა ამ მეთოდის ღირსებანი და ნაკლოვანებანი, რამაც გამოიწვია, ერთი მხრივ, თვით თეორიის შინაგანი განვითარება და მეორე მხრივ, ახალი მიმდინარეობების ჩამოყალიბება. ერთ-ერთ ასეთ მიმდინარეობაზე — „წარმომშობ სემანტიკაზე“ უკვე გვქონდა საუბარი. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ტრანსფორმაციული გრამატიკის კრიტიკის საფუძველზე აღმოცენებულ მეორე მიმდინარეობაზე — რეალიციურ გრამატიკაზე.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, 1970-იანი წლების დასაწყისში მთელი რიგი დაკვირვებებისა და აღმოჩენების საფუძველზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კომრიმ, კინენმა, მორგანმა, პერლმუტერმა, პოსტალმა და როსიმ ლინგვისტური სა-

¹² ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვალენტობის ცნება პირველად გამოყენებული აქვს ა. დავითიანს [72].

ზოგადობის შემეცნებამდე მიიტანეს ის ფაქტი, რომ გრამატიკული მიმართებები ცენტრალურ როლს თამაშობენ ბუნებრივ ენათა სინტაქსში. 1972 წელს პერლმუტერმა და პოსტალმა ლექციათა სერიაში პირველად წამოაყენეს და განავითარეს დასაბუთება ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის რელაციური გრამატიკის თეორიით შეცვლის მიზანშეწონილობის შესახებ [74, გვ. 67].

რელაციური გრამატიკა ტრანსფორმაციული გრამატიკის მომდევნო პერიოდს ასახავს. იგი ცდილობს გადალახოს ანტინომია, რომელიც წინატრანსფორმაციულ ლინგვისტიკასა და ტრანსფორმაციულ ლინგვისტიკას შორის არსებობდა და ფაქტიურად არის როგორც პირველი ისე მეორე ხაზის გაგრძელება [81, გვ. 12].

რელაციური გრამატიკა უბრუნდება ტრადიციულ პრობლემატიკას იმ თვალსაზრისით, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს ენათა ზედაპირულ სტრუქტურაზე, ფორმალურ მიმართებაზე ელემენტთა შორის, სიღრმული სტრუქტურის კონკრეტულენოვან გამოვლინებაზე. ამასთან, იგი ცდილობს გაარკვიოს თუ დაადგინოს ამ გამოვლინებათა ზოგადი, უნივერსალური პრინციპები. სახელდობრ: როგორი სინტაქსური წესები შეიძლება არსებობდნენ ბუნებრივ ენებში? და თუ მოცემულია უნივერსალური სიმრავლე შესაძლო სინტაქსური წესებისა, რომელ ასეთ წესთაგანს აირჩიებს (ან უნდა აირჩიოს) მოცემული ენა. სხვა სიტყვებით, არსებობს თუ არა რაიმე პირობა, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივ ენაში ამა თუ იმ სინტაქსური წესის არსებობას [74, გვ. 37].

რელაციური გრამატიკის ზოგადი კანონები ემყარება მრავალი ენის მასალაზე მოპოვებულ ფაქტებს, წარმოადგენს ამ ფაქტთა განზოგადების ცდას. მაგ.: ქვემდებარის განსასაზღვრად გამოყენებულია 30 ნიშანი. იგი აერთიანებს ყველა თავისებურებას, რომელიც ამა თუ იმ ენაში ახასიათებს ქვემდებარეს. ესაა პოზიცია, რიცხვი და პირში შეთანხმება, ტრანსფორმაციის უნარი, გამოტოვების შესაძლებლობაც და ა. შ. [82, გვ. 246—263]. ქვემდებარის ნიშანთა ამ სიმრავლიდან კონკრეტული ენის ქვემდებარეს მხოლოდ რამდენიმე ახასიათებს. საერთოდ, ცნებათა განსამარტავად საფუძველს წარმოადგენს არა ამ ცნების კონკრეტულ ენობრივ გამოვლენათა გადაკვეთა, არამედ — გაერთიანება.

პერლმუტერის და პოსტალის აზრით, ლინგვისტური თეორიის მთავარი ამოცანაა აღწეროს ნიშნები, რომლითაც ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ნიშნები, რომელიც ყველა ენას საერთო აქვს [107, გვ. 82].

ა. ჰარისის აზრით, რელაციური გრამატიკის ერთ-ერთი არსებითი

დებულება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ადამიანთა ენის აღსაწერად უნდა გამოვიყენოთ არა წესები. რომელიც ოპერირებენ სწორხაზოვნად მოწესრიგებულ ელემენტებზე, შემადგენელთა სტრუქტურის ხეებზე. არამედ წესები, რომელიც ითვალისწინებენ გრამატიკულ მიმართებას ელემენტთა შორის. გრამატიკული რელაციის გათვალისწინება უფრო ძლიერი ბაზისია როგორც ცალკეულ ელემენტთა შესასწავლად, ისე უნივერსალურ წესთა ტიპებისა და პრინციპების დასადგენად. ამ თეორიის ფუნდამენტური დებულებაა: ფრაზის სტრუქტურა არის ფრაზის ელემენტთა შორის დამყარებული გრამატიკულ მიმართებათა სტრუქტურა [162, გვ. 4—5].

რელაციურ გრამატიკაში პოსტულატების სახით არის გამოყოფილი მუდმივი უნივერსალური სიმრავლე: 1. ელემენტარული „წმინდა“ გრამატიკული მიმართებებისა (ცხადია, ეს მიმართებები გამოყოფილია კონკრეტულ ენათა სინტაქსური კონსტრუქციების ელემენტთა მიმართებების საფუძველზე). ასეთებია სუბიექტი (S), პირდაპირი ობიექტი (DO), ირიბი ობიექტი (IO). ასეთ მიმართებებს ბირთვული მიმართებები ეწოდება, ხოლო შესაბამის სახელებს — ბირთვული ტერმები. 2. სიმრავლე „არაწმინდა“ გრამატიკული მიმართებებისა, რომელშიც შედის ბენეფიქტიური, ინსტრუმენტული, ლოკატიური, კომიტატიური, სუპერესიული და სხვა მიმართება. მათ „წმინდა“ მიმართებათაგან განსხვავებით აქვთ დამოუკიდებელი სემანტიკური შინაარსი. სახელურ ჭკუფს, რომელიც ახდენს „არაწმინდა“ გრამატიკულ მიმართებათა რეალიზაციას, ეწოდება უბრალო დამატება (oblique object — OO)¹³ [74, გვ. 40].

პარისი რელაციის სამ ტიპს გამოყოფს. მესამე ტიპად გამოყოფილია თავისუფალი მიმართება — ჩომერი და ემერიტუს ტერმები, ამ უკანასკნელთ არა-ტერმებსაც უწოდებენ. ტრადიციულ უბრალო დამატებათაგან არა-ტერმები იმით განსხვავდებიან, რომ მათ აქვთ უნარი რელაციის ცვლის შედეგად იქცნენ ტერმებად. ასეთია მაგ., ქართულში „მიერ“ თანდებულიანი სახელი პასიურ კონსტრუქციაში, ან „თვის“ თანდებულიანი სახელი ინვერსიულ ზმნებთან მესამე სერიაში [162, გვ. 5].

კონსტრუქციაში წევრთა ურთიერთმიმართება არ განიხილება დამოუკიდებლად, მხოლოდ ერთ დონეზე. კონსტრუქციის ამა თუ იმ წევრის ანალიზისას გათვალისწინებულია მისი დერივაცია (მიმართე-

¹³ ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიური ტრადიციის მიხედვით ინგლისურის Indirect object-ს ჩვენ ვთარგმნით ირიბ დამატებად, Oblique object-ს — უბრალო დამატებად, რუსული ტერმინოლოგიისაგან განსხვავებით, სადაც პირველს შეესატყვისება непрямоe дополнение, ხოლო მეორეს — косвенное дополнение.

ბა სხვა სინტაქსურ სტრუქტურებთან). რადგან დერივაციის სხვადასხვა დონეზე იცვლება გრამატიკული მიმართება ზმნასა და სახელს შორის. მაგ.: აქტიური კონსტრუქციის სუბიექტი და პასიური კონსტრუქციის სუბიექტი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ ამ ცნების განსაზღვრისას არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი დონით და მხედველობაში უნდა მივიღოთ დონეთა შორის მიმართება. ტრანსფორმაციული გრამატიკის მსგავსად, რელაციურ გრამატიკაში მიღებულია წინადადების მრავალდონიანი სტრუქტურა [74, გვ. 40].

დონეებს (ანუ სტრატებს) შორის გარკვეული იერარქია მყარდება. გაირჩევა საწყისი ან ამოსავალი, შუამავალი და საბოლოო დონე. ამ დონეთა გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ელემენტის ქცევის ასახსნელად¹⁴.

სინტაქსური კონსტრუქციის შეცვლა ანუ ელემენტთა მიმართების შეცვლა კონსტრუქციაში ხდება გარკვეული წესების გამოყენებით. ესენია: პასივიზაცია, კაუზატივის წარმოება, ინვერსიისა და ვერსიის წესები და სხვა. სხვადასხვა ენაში ეს წესები სხვადასხვა სახეს იღებენ. თეორიის მიზანია აღირიცხოს ყველა (უძრავლესი) მათგანი და დაადგინოს ზოგადი, უნივერსალური წესი.

გრამატიკული წესები იყოფა ორ დიდ კლასად: 1. წესები, რომლებიც არ ცვლიან გრამატიკულ მიმართებებს და 2. გრამატიკული მიმართების შემცვლელი წესები. მიმართების შემცვლელ წესებში კიდევ ქვეტიპები გამოიყოფა [74, გვ. 41—42]. ერთ-ერთი წესია გადამფასებელი (revaluation) წესი, რომელიც მოიცავს აღმავალ და დამავალ წესებს. აღმავალი წესის გამოყენების მაგალითია პასივიზაცია. იგი პირდაპირ ობიექტს გადაიყვანს სუბიექტის პოზიციაში. დამავალი წესის გამოყენების შემთხვევა გვაქვს ინვერსიისას — სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად [162, გვ. 6].

რელაციურ გრამატიკაში მკაცრად არის ფორმულირებული უნივერსალური წესები და პრინციპები. ამ წესთა ფორმულირებისას არსებითია გრამატიკულ მიმართებათა იერარქიის გათვალისწინება. გრამატიკული მიმართების იერარქია სხვადასხვაგვარად აქვთ განმარტებული პერლმუტერსა და პოსტალს, კინენსა და კომრის, მაგრამ არსებითი ერთია — იერარქიის სათავეში დგას სუბიექტი, მისი ნომერია I. შემდეგ დონეებზე არიან პირდაპირი დამატება (II), ირიბი დამა-

¹⁴ ამოსავალი დონის განსაზღვრას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რელაციურ გრამატიკაში, თუმცა იგი არ არის ცალსახა, სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ავტორთან (იხ. მაგ., [93]). არსებითად კი ამოსავალი ცნებების (ტერმების) განსაზღვრა სემანტიკას ემყარება [162].

ტება (III), ხოლო უმდაბლესი დონე უჭირავთ ჩომერ და ემერიტუს-
წევრებს (IV) [108, გვ. 83; 83, გვ. 111—165].

რელაციის ცვლის შედეგად ხდება წინადადების წევრთა გადანაც-
ვლება ერთი დონიდან მეორეში, რაც მკაცრი წესების (კანონების)
სახით ყალიბდება. ასეთია მაგ., სახელური ჯგუფის ქვემდებარის პო-
ზიციაში გადაწევის ერთადერთობის კანონი [108, გვ. 83—110; 74,
გვ. 42—73].

რელაციურ გრამატიკაში წინადადების სტრუქტურის ცვლა,
უფრო ზუსტად, რელაციის ცვლა წინადადების ელემენტთა შორის
გრაფიკულად წარმოდგენილია რელაციური ბადეების სახით. იგი
ცვლის წინა პერიოდში გავრცელებულ უშუალო შემადგენელთა
ხეებს და არსებითად განსხვავდება მათგან იმ თვალსაზრისით, რომ
მასში დერივაციის ყველა დონეა გათვალისწინებული [107, გვ. 82].
კონკრეტულად ასეთი ბადეების ნიმუშს ქვემოთ განვიხილავთ ჰარისის
ნაშრომის ანალიზისას.

აღსანიშნავია, რომ რელაციური გრამატიკის თეორეტიკოსებს
საფუძვლიანად აქვთ დამუშავებული ტესტების მეთოდი. იმის გამო-
რამ თეორიის მიზანია რაც შეიძლება მეტი ენის მონაცემების გათვა-
ლისწინება, ბუნებრივია, ელემენტთა იდენტიფიკაცია ამ ენებში უნდა
მოხდეს ერთიანი მეთოდით. ამას ითვალისწინებს ერთნაირი ტესტე-
ბის მიყენება სხვადასხვა ენის მასალისადმი.

რელაციური გრამატიკის პრინციპების გამოყენებით შეისწავლება
როგორც კონკრეტული საკითხები სხვადასხვა ენებში [119, გვ. 166—
192], ასევე ხდება მონოგრაფიული აღწერა ამა თუ იმ ენისა. ერთ-
ერთი ნიმუში რელაციური გრამატიკის პრინციპებით ენის მონოგრა-
ფიული აღწერისა არის ალის ჰარისის „ქართული სინტაქსი“ [162].

ჰარისის აზრით, რელაციური გრამატიკის საშუალებით კარგად
აღიწერება ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა უნივერსალური
თვისებები. მაგ., პასივიზაციისა და კაუზაციის უნივერსალური ტეს-
ტები ქართულის მიმართაც გამოიყენება; რელაციური გრამატიკა ნა-
თელს ჰენს ზოგ რთულ პრობლემას ქართულში — იძლევა ზმნას-
თან განსხვავებულ ბრუნვათა ხმარების გასაღებს. სახელდობრ, ინ-
ვერსია და არაკუზატივი, განმარტებული ამ თეორიის ფარგლებში,
აჩვენებს, რომ ბრუნვათა გაფორმება არც ისე რთულია, როგორც
ერთი შეხედვით ჩანს.

ჰარისის შრომის დაწერილებითი ანალიზი ჩვენს მიზანს არ წარ-
მოადგენს. განვიხილავთ რამდენიმე დებულებას, რომლის გადაწყვე-
ტაც ორიგინალურია ან სადავოდ გვეჩვენება.

მნიშვნელოვან ადგილს იკვრს ნაშრომში ინვერსიის საკითხი
[162, გვ. 117—145].


თავდაპირველად ავტორი ზმნასთან სახელის შეწყობის მიხედვით განიხილავს წინადადების სამ მოდელს:

A — ერგატივი, ნომინატივი, დატივი.

B — ნომინატივი, დატივი, დატივი.


C — დატივი, ნომინატივი, „თვის“ თანდებულიანი სახელი.

მესამე მოდელი ინვერსიულ ზმნათა მოდელია მესამე სერიაში. ავტორი აღნიშნავს, რომ ინვერსიის ტრადიციული აღწერა საკმაოდ რთულია, რადგან არ ხერხდება მესამე სერიაში სუბიექტისა და ობიექტის ცალსახა იდენტიფიკაცია. ზოგი ქართველოლოგი ინტუიტურად დატივში დასმულ სახელს მიიჩნევს სუბიექტად, ზოგს სახელობითი მიაჩნია სუბიექტად პირში და რიცხვში შეთანხმების საფუძველზე. ავტორის აზრით, არგუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დატივი სუბიექტია, იმდენივეა, რამდენიც მისი ობიექტურობის დამამტკიცებელი არგუმენტები. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოდელი C (დატივი, ნომინატივი, „თვის“ თანდებულიანი სახელი), რომელიც ასახავს მესამე სერიაში ზმნასთან შეწყობილ სახელთა ფორმებს, შეიძლება ცალკე მოდელად არ გამოიყოს, რადგან შესაძლებელია მისი დაყვანა B მოდელზე ორი წესის — ინვერსიის და არააკუზატიურობის წესის გამოყენებით. განვიხილოთ ეს წესები: მესამე სერიაში საბოლოო გრამატიკული რელაცია გარკვეულ მიმართებაშია ამოსავალ გრამატიკულ რელაციასთან. ინვერსიის წესის საფუძველზე სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად, ამოსავალი ირიბი ობიექტი კი იქცევა ჩომერად. ამგვარად, კონსტრუქციაში აღარ რჩება სუბიექტი. ასეთი კონსტრუქციის მიმართ შეიძლება სწორედ არააკუზატიურობის წესის გამოყენება. ეს წესი პირდაპირ ობიექტს აქცევს სუბიექტად (პოსტალის და პერლმუტერის non-accusative-ის წესის თანახმად) იმ დონეზე, როდესაც მის (ობიექტის) მეზობლობაში აღარ იმყოფება სუბიექტი. სქემატურად მიმართებათა ცვლა ასე წარმოდგება [162, გვ. 105]:



ამ სქემაზე საყრდენი დონე წარმოადგენს ამოსავალ გრამატიკულ რელაციას, შემდეგი გამოხატავს გრამატიკულ რელაციას, რომელიც ინვერსიის წესის გამოყენებას შეესაბამება, ხოლო მესამე არააკუზატიურობის წესს ასახავს (ეხება პირველი და მესამე კლასის ზმნებს¹⁵).

მესამე სერიის ინვერსიული ფორმების მსგავსად ანალიზებს ავტორი ე. წ. „აფექტურ“ ზმნებს ქართულში, რომელთაც ინვერსია ახასიათებთ ყველა სერიაში (მეოთხე კლასის ზმნები). ავტორის აზრით, ასეთ ზმნებში ექსპერიენცერი არის ამოსავალი სუბიექტი და საბოლოო ირიბი ობიექტი, ხოლო სტიმული — ამოსავალი პირდაპირი ობიექტი და საბოლოო სუბიექტი. სქემატურად გარდაქმნა ასე გამოიხატება [162, გვ. 128]:



ინვერსიის წესი გადაიყვანს ამოსავალ სუბიექტს ირიბ ობიექტში, ხოლო შემდეგ არააკუზატიურობის წესი პირდაპირ ობიექტს აქცევს სუბიექტად. რადგან ამ ტიპის ზმნებს არა აქვთ ამოსავალი ირიბი ობიექტი, ჩომერის ტიპის წარმოქმნილი წევრი იმთავითვე გამორიცხულია. ყველა სხვა ნიშნით ასეთი ზმნები მესამე სერიის ინვერსიულ ზმნათა მსგავსია.

საბოლოოდ ავტორი ასკვნის, რომ მოდელი C ინვერსიის და არააკუზატიურობის წესის გამოყენებით შეიძლება დაიყვანოს მოდელ B-ზე. ამგვარად. ზმნასთან შეწყობილ ბრუნვათა ამოსავალი სტრუქ-

¹⁵ ავტორი იძლევა ზმნათა კლასიფიკაციას შესაბამის სინტაქსურ კონსტრუქციათა გათვალისწინებით: პირველი კლასის ზმნათა უმრავლესობა არის ტრანზიტული; ყველა ზმნა ხასიათდება ამოსავალი სუბიექტით. მესამე კლასი განსხვავდება პირველისაგან იმით, რომ ფაქულტატურად შეიწყობს ან არ შეიწყობს პირდაპირ ობიექტს. მეორე კლასი მოიცავს ზმნურ ფორმებს, რომელიც შეესაბამება სეპირის „ინაქტიურ ინტრანზიტებს“. მათ არა აქვთ სუბიექტი, აქვთ ამოსავალი პირდაპირი ობიექტი („დარჩება“, „მოხდება“), რომელიც იქცევა ფინალურ სუბიექტად არააკუზატიურობის წესის თანახმად. აქვე შემოდის ყველა სახის პასივი. მეოთხე კლასი ძირითადად ინვერსიულ ზმნებს მოიცავს.

ტურა ქართულში მხოლოდ ორი მოდელით (A და B) წარმოდგება. რა მიმართებაა A და B მოდელებს შორის? [162, გვ. 146—150].

A მოდელში ტრადიციის თანახმად ერგატივი არის ამოსავალი სუბიექტი. იგი არ არის ჩომერი, ამას ყველა ტესტი ადასტურებს. იგივე შეიძლება ითქვას ობიექტების შესახებ. იცვლება მათი (პირდაპირი ობიექტის) ბრუნვები, მაგრამ ფუნქციები იგივე რჩება. არა გვაქვს ინვერსიის მსგავსი მოვლენა, რადგან არ იცვლება რელაცია. მ. შ. არც საფუძველია იმისათვის, რომ ერთ-ერთი მათგანი მივიჩნიოთ ამოსავალ ფორმად და მეორე რელაციის ცვლის საფუძველზე მისგან ვაწარმოოთ. ამიტომ, დაასკვნის ავტორი, ეს ორი მოდელი ქართულ გრამატიკაში უნდა დარჩეს.

განსაკუთრებით საინტერესოა A მოდელი, რადგან იგი ერგატივს მოიცავს. ერგატივის საკითხი კი, ავტორის სიტყვებით, ქართული სინტაქსის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა დღეისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით ბრუნვათა საშუალებით გამოხატულ ერგატიულ სისტემაში ბრუნვა, რომელიც აღნიშნავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, იდენტურია არა გარდამავალი ზმნის სუბიექტის, არამედ გარდამავალი ზმნის ობიექტისა. ამ განმარტების მიხედვით ერგატიული სისტემა გულისხმობს ზმნათა დაყოფას ტრანზიტულად და ინტრანზიტულად. ტერმინი ტრანზიტულ-ინტრანზიტული გაიგება აქ ზოგადი ლინგვისტიკის თვალსაზრისით. ე. ი. ტრანზიტული ზმნა აუცილებლად შეიწყობს პირდაპირ დამატებას. ქართულ ზმნათა უმრავლესობა თავსდება ამ მოდელში:

	S	DO
ტრანზიტული:	ერგატივი	ნომინატივი
	S	
ინტრანზიტული:	ნომინატივი	— [162, გვ. 231].

სიძნელეს ქმნის ზმნათა ერთი ჯგუფი. ისინი თავისებურებას იჩენენ: 1. პირდაპირი ობიექტის შეწყობის თვალსაზრისით და მომავლის და აორისტის დროთა წარმოების თვალსაზრისით. ამ ზმნებს პირდ. ობიექტი ფაკულტეტურად შეეწყობათ (თამაშობს), ან საერთოდ არ შეეწყობათ (ყიყინებს). მეორე სერიაში კი სუბიექტს ერგატივში მოითხოვენ. ტრადიციულად ითვლება, რომ ამ ზმნებს არა აქვთ საკუთარი წარმოების მეორე სერიის ფორმები და სესხულობენ მათ გარდამავალ ზმნათაგან. აქედან იხსნება ისიც, რომ ისინი ერგატივს შეიწყობენ. მაგრამ ასეთი ახსნა ავტორს არ აკმაყოფილებს, რადგან არაა ნათელი, რატომ სესხულობს გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ზმნის ფორმას მეორე სერიაში, რატომ შეიწყობს იგი A მოდელს? როგორც

ზოგადი ენათმეცნიერებისათვის ისე ქართული გრამატიკისათვის ეს საკითხი აუხსნელი რჩება.

ა. პარისი აღნიშნული საკითხის ახსნის საინტერესო ცდას გვთავაზობს. იგი ცდილობს აჩვენოს, რომ ცნებები „აქტივი — ინაქტივი“ შეესაბამება კლასთა მორფო-სინტაქსურ დაყოფას. პირველი და მესამე კლასის ზმნები აქტიურ ზმნებს წარმოადგენენ; მეორე და მეოთხე — ინაქტიურს. ამგვარ დაყოფასთან გარკვეულ მიმართებაშია ბრუნვათა გამოყენების წესიც ქართულში.

სეპირი ბრუნვათა შეწყობის თვალსაზრისით გამოყოფდა ენათა ხუთ ტიპს. ეს ტიპები ითვალისწინებდა ზმნათა გარდამავლობა-გარდაუვალობასაც და აქტიურობა-ინაქტიურობასაც [162, გვ. 235].

ობიექტი	სუბიექტი	სუბიექტი	ბრუნვათა
გარდამავალი	გარდაუვალი	გარდამავალი	სისტემების ტიპები

	ინაქტიური	აქტიური		
A		A	B	ერგატიული
A	A	B	B	აქტიური/ინაქტიური
A		B	B	აკუზატიური

პოსტალი და პერლმუტერი ვარაუდობენ, რომ ინაქტიური ზმნების სუბიექტი არის არა სუბიექტი, არამედ ამოსავალი პირდაპირი ობიექტი. ისინი ამოსავალ ტერმთა ამგვარ ინვენტარს უშეგებენ:

სუბიექტი	და	პირდაპირი ობიექტი	(ტრანზიტული)
სუბიექტი			(ინტრანზიტული)
		პირდაპირი ობიექტი	(ინტრანზიტული)

ამოსავალ ტერმთა ინვენტარი განსაზღვრულია ზმნათა სემანტიკით. ამოსავალი სუბიექტი შეესატყვისება აგენსს, შემმეცნებელს (cognizier), ექსპერიენცერს; პირდაპირი ობიექტი არის პაციენსი და სტიმული. ზმნები, რომელთაც აქვთ ამოსავალი არატრანზიტული სუბიექტი შეესაბამება სეპირის „აქტიურ ინტრანზიტულს“, ხოლო ზმნები, რომელთაც აქვთ ამოსავალი ინტრანზიტული პირდაპირი ობიექტი შეესაბამება „ინაქტიურ ინტრანზიტულს“. ამგვარად, ენა, რომელშიც ინტრანზიტული ზმნის სუბიექტი და ტრანზიტული ზმნის პირდაპირი ობიექტი ერთნაირი ბრუნვით ფორმდება, ხოლო ტრანზიტული ზმნის სუბიექტი მათგან განსხვავებული ბრუნვით, იწოდება ერგატიულ ენად. ენა, რომელშიც ფინალური სუბიექტი და ფინალური ობიექტი სხვადასხვაგვარად ფორმდება, იწოდება აკუზატიურად, ხოლო ენას, რომელშიც ამოსავალი სუბიექტი ტრანზიტული თუ ინ-

ტრანზიტული და ამოსავალი პირდაპირი ობიექტი სხვადასხვაგვარად ფორმდება, სეპირის ტერმინოლოგიით, აქვს აქტიურობა / ინაქტიურობის ბრუნვითი გამოხატვა [162, გვ. 236].

აქტიურ/ინაქტიურ და ერგატიულ სისტემებს შორის მცირე განსხვავებაა, სახელდობრ, აქტიური ინტრანზიტული ზმნის სუბიექტი (თამაშობს, მუშაობს... ტიპის) ისევე ფორმდება, როგორც ტრანზიტული ზმნის სუბიექტი. ეს იძლევა გასაღებს იმის ასახსნელად, რომ ამ ზმნებთან ქართულში ერგატივი ისმარება. ამგვარად, ავტორი ასკვნის, რომ მეორე სერიაში ბრუნვათა გამოხატვა არის აქტიური/ინაქტიური ტიპისა¹⁶. იგი ერგატიულ სისტემას არ ასახავს.

საბოლოოდ ჰარისი წესების სახით აყალიბებს ზმნასთან ბრუნვათა შეწყობის შესაძლებლობებს ქართულში. ეს წესებიც ემყარება ტერმინთა საწყის და საბოლოო მიმართებათა გათვალისწინებას.

ბოლოსიტყვაობაში ჰარისი მოკლედ გადმოგვცემს განხილულ საკითხებს და ძირითად შედეგებს. აღნიშნავს, რომ ზოგი ლინგვისტი ექვს გამოთქვამს ქართულში ცნებების „სუბიექტის“, „ობიექტის“ — პირდაპირისა და ირიბის რელევანტურობის გამო¹⁷. ამის საფუძველს ქმნის ის, რომ სუბიექტი სამი ბრუნვითაა წარმოდგენილი და ორი რიგის ნიშნებით აღინიშნება ზმნაში. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ რელაციური გრამატიკის ბევრი წესი ამ სინტაქსურ ცნებებს ემყარება. ამ წესთა ჩამოყალიბება ოდენ ბრუნვათა გაფორმების საფუძველზე ან სიტყვათა რიგზე დამყარებით გართულდებოდა, ამიტომ ავტორის აზრით, ქართულ რელაციურ გრამატიკაში ამ ცნებათა შენარჩუნება მიზანშეწონილი ჩანს.

როგორც ნაშრომის მიმოხილვიდან ჩანს, ავტორს განხილული აქვს ქართული მორფოლოგიისა და სინტაქსის ფუნდამენტური საკითხები. ყველა დებულების ანალიზი წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელია, შევჩერდებით რამდენიმე საკითხზე. (ვრცელი რეცენზია იხ. [166]).

ქართული სამეცნიერო ლიტერატურისათვის არ არის უცხო ზმნურ ფორმათა და შესაბამისად ზმნით განპირობებულ სტრუქტურათა აღწერა მიმართებათა საფუძველზე. შემთხვევითი არ არის, რომ კაუზატივი, ვერსია, გვარი წარმოქმნის კატეგორიებად იწოდება, ხოლო შესაბამისი სტრუქტურები, როგორც სინტაქსური ისე მორფო-

¹⁶ ქართულში რომ აქტიური/ინაქტიური ტიპის დაპირისპირებას უნდა ჰქონდეს ადგილი, ამის შესახებ საბჭოთა ენათმეცნიერებაში გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება [85, 86].

¹⁷ ავტორს მოჰყავს შანიძის, ჩხენკელის, ფოჯტის, ჩიქობავას, არონსონის, შარის, ბარბაქაძის, პეჩის, ზომერფელტის თვალსაზრისი სუბიექტის რაობის შესახებ ქართულში.

ლოგიური — წარმოქმნილ ფორმებად. გარკვეული მიმართება დამყარებულია ამოსავალ და წარმოქმნილ ფორმათა შორისაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, ამის ნათელი დადასტურებაა MO, MS და RO, RS-ის ცნებათა შემოტანა. გვაქვს სიღრმული სტრუქტურის ცნების და ტრანსფორმაციის წესთა გამოყენების ცდაც. მართალია, ქართული საენათმეცნიერო ტრადიციისათვის წამყვანი ზედაპირული სტრუქტურის კვლევაა, მაგრამ არც სიღრმული სტრუქტურა, სემანტიკური მხარეა იგნორირებული. ამგვარად, ვიმეორებთ, გრამატიკულ რელაციათა გათვალისწინების საფუძველზე ამა თუ იმ ელემენტის (სტრუქტურის) დახასიათების ტრადიცია ქართულში არსებობს, მაგრამ პარისის გრამატიკის საფუძველზე ბევრ რელაციას სხვაგვარი ინტერპრეტაცია ეძლევა, ბევრი რამ საკამათოა მასალის ანალიზში.

ა. პარისი მიზნად ისახავს მოგვცეს ენის სინქრონიული აღწერა. ისტორიის გათვალისწინება როგორც რელაციური გრამატიკის თეორიაში ისე პარისის ნაშრომში უგულვებელყოფილია. ეს კი გარკვეულ სიძნელეს აწყდება ფაქტთა ანალიზისას და იძლევა მოვლენათა სხვაგვარი აღწერის საფუძველს. სახელდობრ, ამგვარი შემთხვევა გვაქვს, როდესაც საკითხი ეხება ე. წ. მედიოაქტიურ ზმნებს, პარისის კლასიფიკაციით ზმნათა მესამე კლასს. ამ ზმნებს არა აქვთ პირდაპირი დამატება (ან აქვთ ფაქულტატურად) და მეორე სერიაში მოითხოვენ მოთხრობით ბრუნვას (ერგატივს). პირდაპირი დამატების შეწყობა ზმნასთან განაპირობებს მის გარდამავლობას, ხოლო გარდამავლობაზე დაფუძნებული ერგატიული კონსტრუქციის განსაზღვრა. ერგატივის შეწყობა გარდაუვალ ზმნასთან პარისის აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ ქართულში გვაქვს არა ერგატიული სისტემა, არამედ დაპირისპირება აქტივი/ინაქტივი; ქართული აქტიური ტიპის ენაა და არა ერგატიული ტიპისა. ამ მსჯელობაში იგნორირებულია საშუალო გვარის ზმნების მეორე სერიის ფორმათა დიპრონული ინტერპრეტაცია, ზმნური ფორმისა — მორფოლოგიური სტრუქტურისა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციის შეუსაბამობის ფაქტი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება საბუთები იმისათვის, რომ მედიოაქტიური ზმნების მეორე სერიის ფორმათა უმრავლესობაში ობიექტი ივარაუდოს და ეს ზმნები ისტორიულად ტრანზიტულად ჩითვალოს¹⁸. ხოლო თუ ამ ტიპის ზმნებს ტრანზიტულად მივიჩნევთ, მაშინ ერგატივის განსაზღვრასთან დაკავშირებული სიძნელეები მოიხსნება. გარდა ამისა, მესამე კლასი მცირერიცხოვანია პირველ კლას-

¹⁸ ამ საკითხებზე მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, თვალსაზრისებში განსხვავებულია [25, 27, 30, 31, 32, 33, 34].

თან შედარებით. რატომ უნდა დაემყაროს ამ კლასს ენის სტრუქტურული ტიპის განსაზღვრა?

2. საკამათოა ინვერსიის ავტორისეული ახსნა. მესამე სერიაში ინვერსიული კონსტრუქციის ამოსავალი ფორმა, ზედაპირული სტრუქტურა, დადასტურებულია თანამედროვე ქართულში, ესაა პირველი სერიის კონსტრუქციები. თუ მიმართება დამყარდებოდა რეალურად არსებულ სტრუქტურათა შორის, მაშინ ნათელი იქნებოდა სტრუქტურული ცვლილების თანამიმდევრობა. მაგრამ ნაშრომის მიხედვით პირველსა და მესამე სერიის ფორმათა შორის არის შუამავალი საფეხური, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში რეალიზებული არ არის (იხ. სქემა აქვე, გვ. 79). ინვერსია აქცევს სუბიექტს ირიბ დამატებად. იგი აღმოჩნდება მეზობლობაში პირდაპირ დამატებასთან, რომელსაც არააკუზატიურობის წესი აქცევს სუბიექტად. ამ გადასვლის შესაძლებლობა თეორიულად დასაშვებია, პრაქტიკულად, მეტყველის ინტუიციისათვის სრულიად მიუღებელი და გაუგებარი. ამასთანავე ინვერსიის ავტორისეული ახსნა, სახელობითის მიჩნევა სუბიექტად კვლავ ეწინააღმდეგება ქართულ ენაზე მეტყველის ინტუიციას, რომელსაც რეალური სუბიექტი, მიცემითში დასმული სახელი მიაჩნია სუბიექტად. მეტყველის ინტუიციის გათვალისწინება და ახსნა კი თეორიის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს.

საკითხი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ავტორი მესამე სერიის ინვერსიულ ზმნათა ანალოგიურად ხსნის ე. წ. „აფექტურ ზმნათა“ ინვერსიას. ამ შემთხვევაში ამოსავალ დონეზე სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის (ე. ი. ზმნის გარდამავლობის დაშვება და მერე არარეალური დონის შემოტანა (პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი სუბიექტის გარეშე) აღწერას ართულებს, ხოლო მიცემითის მიჩნევა ირიბ ობიექტად და სახელობითისა სუბიექტად კვლავ მეტყველის ინტუიციას ეწინააღმდეგება.

ვფიქრობთ, როგორც ამ შემთხვევაში, ისე სინთეზური პასივის მიმართ არააკუზატიურობის წესის გამოყენება უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, თუ ავტორი გამოიყენებოდა სიღრმული დონის ცნებას ან უფრო ვრცლად განმარტავდა ამოსავალ ტერმთა სემანტიკას. ამის ცდა 236 გვერდზე არის, მაგრამ მეტად ფრაგმენტულად და ბუნდოვნად. ამდენად გაუგებარი რჩება ბაზისური ფორმების დადგენის კრიტერიუმები.

2. კაუზატივის წარმოების შემთხვევაში წარმოქმნილად ივარაუდება ირიბი ობიექტი. წესი ასე ყალიბდება: „კაუზატიური კონსტრუქციაში, რომელიც ორი ფრაზის გაერთიანების საფუძველზე მიიღება, მაკაუზირებელი სუბიექტი რჩება სუბიექტად, მეორე სუბიექტ-

ტი, მოქმედების რეალურად შემსრულებელი, იქცევა ირიბ ობიექტად“. ქართული წინადადება საშუალებას იძლევა ახალ, წარმოქმნილ წევრად სუბიექტიც ვივარაუდოთ და ირიბი ობიექტიც. შდრ.: „მასწავლებელი თარგმნის აკაკის ლექსს“→„მასწავლებელი ათარგმნინებს გელას აკაკის ლექსს“. „გელა თარგმნის აკაკის ლექსს“→„მასწავლებელი ათარგმნინებს გელას აკაკის ლექსს“.

ამგვარად, კაუზატივის უნივერსალური განსაზღვრა ვერ ასახავს წინადადების ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს ქართულში.

პარისი იყენებს ცნებას „სინთეზური პასივი“, თუმცა მასში ქართული ტრადიციისაგან განსხვავებით სრულიად სხვა შინაარსია ჩადებული [162, გვ. 191—203]. ავტორის აზრით, ზმნებს, რომლებიც ამოსავალ სტრუქტურაში აუცილებლად შეიწყობენ პირდაპირ ობიექტს, შესაძლებლობა აქვთ გრამატიკული რელაციის ცვლის შედეგად აქციონ იგი სუბიექტად. ამოსავალი სუბიექტი ამ შემთხვევაში არააუცილებელ წევრად იქცევა. ქართველოლოგები ტრადიციულად ამ კონსტრუქციას პასივს უწოდებენ, მაგრამ იგი ძლიერ განსხვავდება ნამდვილი სინთეზური პასივისაგან, თუმცა გარკვეული მსგავსებაც გააჩნია ამ სტრუქტურასთანო.

ნაშრომში განხილულია რამდენიმე სინტაქსურ-სემანტიკური მახასიათებელი (სათანადო საილუსტრაციო მასალის მოხმობით), რომლის მიხედვითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პირდაპირი კონსტრუქცია, სინთეზური პასივი და ანალიზური პასივი. ანალიზური და სინთეზური პასივის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად ავტორი იმას ასახელებს, რომ ანალიზური პასივი თავისუფლად იგუებს „მიერ“ — თანდებულიან სახელს (ამოსავალ სუბიექტს), მაშინ, როდესაც სინთეზურში იგი არასწორ ფორმას გვაძლევს. არასწორადაა მიჩნეული „რეზო დაიხრჩო ვანოს მიერ“, „ძმა გაიზარდა ვანოს მიერ“, „ოთახი თბება პატრონის მიერ“, „ჭურჭელი გამრა ბავშვის მიერ“. ამგვარად, ავტორი ასკვნის, სინთეზურ პასივში პირდაპირი ობიექტი იქცევა სუბიექტად, რადგან კონსტრუქციაში ამოსავალი სუბიექტი არა გვაქვს, ეს კი არის არა პასივიზაციის, არამედ არააკუზატიურობის წესი. ე. ი. ამ კონსტრუქციის ანალიზი უშვებს არააკუზატიურობის ჰიპოთეზის გამოყენებას (პერლმუტერის და პოსტალის ჰიპოთეზა).

ამასთან დაკავშირებითაც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტესტი არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ანალიზურ პასივში „მიერ“ თანდებულისაგან განსხვავებული აუცილებელ წევრად მივიჩნიოთ, ხოლო სინთეზურში მისი არსებობა გამოვრიცხოთ. ორივე შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ სტილისტურად უხერხული ან დასაშვები ფრაზა. ამიტომ არა

ჩანს საფუძველი იმისათვის, რომ ეს ორი კონსტრუქცია — ანალიზური და სინთეზური პასივი დაუფიქრისპიროთ ერთმანეთს. ერთს ვუწოდოთ ნამდვილი პასივი, ხოლო მეორე სხვაგვარ (არააკუზატიურობის წესით) წარმოებად მივიჩნით. სინთეზური პასივისათვისაც ამოსავალ ფორმად მოქმედებითი გვარის ფორმები ივარაუდება, მის კონვერსიას წარმოადგენს და სინტაქსური კონსტრუქცია ისევე იწარმოება, როგორც ანალიზური პასივში. გარდა ამისა, „არააკუზატიურობის წესის“ გამოყენება იმ ენის მიმართ, რომელსაც აკუზატივი როგორც ბრუნვა საერთოდ არა აქვს, უხერხულია და გაუგებრობას იწვევს.

როგორც ჩვენი ნაშრომის შესავალშია აღნიშნული, ამა თუ იმ თეორიის შეფასებისას ჩვენთვის ამოსავალია კონკრეტული ენის, სახელდობრ ქართული ენის მონაცემების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში რელაციური გრამატიკის პრინციპებზე აგებული ქართული ენის სინტაქსის არსებობის გამო ჩვენ ქართული ენის ანალიზი არ ჩაგვიტარებია. ჩვენი თვალსაზრისი ამ მეთოდის შესახებ შეიძლება პარისის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით გამოვთქვათ.

ახალი თეორიული დებულების გამოყენებისას კონკრეტული ენის მასალაზე მხედველობაშია მისაღები როგორც ენის განვითარება, დიაქრონიული კრილი, ისე მეტყველის ინტუიცია. მხოლოდ ტესტებზე დამყარებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია არასწორი დასკვნების მიღება. ამ თვალსაზრისით რელაციური გრამატიკის რიგ დებულებას გარკვეული დაზუსტება დასჭირდება.

რელაციური გრამატიკა დიდადაა დავალებული როგორც ტრანსფორმაციული გრამატიკისაგან ისე ფილმორის თეორიისაგან და, რაც არსებითია, ტრადიციული ენათმეცნიერებისაგან. მის უდამო ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მან აღადგინა ელემენტთა შორის მიმართება წინადადებაში და ამ გზით შეაქსო ის ნაკლოვანებანი რაც ტრანსფორმაციულ გრამატიკას ჰქონდა, როდესაც უქანასკნელი წინადადების ზედაპირული სტრუქტურის დერივაციას აწარმოებდა სიღრმული სტრუქტურებიდან.

რელაციურ გრამატიკაში აღარ არსებობს დაპირისპირება სიღრმულ და ზედაპირულ სტრუქტურათა შორის, თუმცა დერივაციის ამოსავალი დონის ცნება ძალიან ახლოსაა სიღრმულ სტრუქტურასთან. ამიტომ სასურველი იყო თეორიაში დერივაციის ამოსავალი ფორმის უფრო ნათლად ფორმულირება.

რელაციური გრამატიკა, ტრანსფორმაციული გრამატიკისაგან განსხვავებით, ემყარება კონკრეტულ ენათა მონაცემებს, რაც უდაოდ დადებითი მოვლენაა, მაგრამ მისი სწრაფვა უნივერსალური წესების

ფორმულირებისაკენ ნაკლებ მისაღებია. უნივერსალურად ფორმულირებული წესი (მაგ.: პასივიზაცია, კაუზაცია) იმდენად ზოგადია, რომ კონკრეტული ენების ანალიზისას ძალიან ცოტას გვაძლევს ცალსახა, ენის საერთო სტრუქტურიდან გამომდინარე ადეკვატური დასკვნების მისაღებად. რელაციური გრამატიკის მიერ დადგენილ უნივერსალიათა უმრავლესობა მაინც კვაზიუნივერსალიებია და კონკრეტული ენების მასალას მასში გარკვეული კორექტივი შეაქვს.

სიღრმული სტრუქტურისა და ბირთვული
წინადადების საკითხი ქართულში

ჩვენი ნაშრომის პირველ თავში დაწვრილებით დავახასიათეთ ნ. ხომსკის ლინგვისტური თეორია, მისი ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე (დაახლოებით 50—70-იან წლებში) ეს იყო ყველაზე პოპულარული თეორია, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ენათმეცნიერებაში რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხის გადასაჭრელად. იყო ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდა სხვადასხვა ენის მასალაზე, რაც ნათლად გამოავლენდა ამ მეთოდის დადებით და უარყოფით მხარეებს.

ქართულ ენაზე ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების პირველ ცდას წარმოადგენდა ჩვენი ნაშრომი „ბირთვული წინადადება ქართულში“ (ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდა) [8]. როგორც სათაურიდანაც ჩანს, ნაშრომში განსაკუთრებით მახვილდებოდა ყურადღება ქართულში ბირთვული წინადადების გამოყოფის საკითხზე, რადგან ნ. ხომსკის პირველი პერიოდის შრომებში სწორედ ბირთვული წინადადების საკითხი წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად პრობლემას. შემდეგი პერიოდის შრომებში აქცენტმა სიღრმულ დონეზე გადაინაცვლა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ბირთვული წინადადების საკითხი მაინც ერთ-ერთ საყურადღებო საკითხად დარჩა, რადგან ბირთვული წინადადება არის ზედაპირული სტრუქტურის უმარტივესი ერთეული და უფრო თვალსაჩინოა მისი ფორმალური მიმართება სხვა, უფრო რთული სტრუქტურის ერთეულებთან. ჩვენ ამჯერად ვრცლად არ ვიმსჯელებთ ბირთვული წინადადების შესახებ ქართულში. დავემყარებით იმ თვალსაზრისს, რომელიც 1967 წელს გვქონდა გამოთქმული [8] და შემდეგ განვიხილავთ სიღრმულ სტრუქტურებთან ბირთვული წინადადებისა და სხვა ზედაპირული სტრუქტურების მიმართების საკითხს. ამ გზით ქართული ენის მასალაზე ვაჩვენებთ, ამარტივებს თუ არა სიღრმული დონის ცნების შემოტანა

წარმომშობ გრამატიკას და კმატებს თუ არა მას ამხსნელობით ძალას.

ვიდრე განვიხილავდეთ ქართულში ბირთვული წინადადების გამოყოფის საკითხს, ბუნებრივია განვმარტოთ, როგორ გვესმის ჩვენ წინადადება.

ქართული ენის მასალაზე ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდისას ჩვენ ვემყარებოდით არნ. ჩიქობავას მიერ მოცემულ მარტივი წინადადების განსაზღვრას. არნ. ჩიქობავას აზრით, წინადადება უნდა განისაზღვროს კონკრეტული ენისათვის, მისი სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინებით. ქართულში წინადადება არის ერთ-ერთი სახის შესიტყვება, აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციისა და მართვის საფუძველზე. მაშასადამე, წინადადებად არ შეიძლება ჩაითვალოს არა თუ უფორმო სიტყვები და ნაწილაკები კი! არა! გუშინ!..., არამედ ფორმაცვალბადი სიტყვებიც, როგორცაა წამოძახილი: ხანძარი! გაზეთი!... ყოველი მათგანი მეტია, ვიდრე ცალკე სიტყვა და უდრის მთელ ფრაზას [44, გვ. 234].

ქართულ ენაში სინტაქსური თავისებურებანი მორფოლოგიურ თავისებურებათა პირდაპირი შედეგია. გამომხატველობით საშუალებათა სიმდიდრით ქართული ზმნა ბევრად წინა დგას სახელზე, ამიტომ, ბუნებრივია, ქართულ ენაში წინადადების განსაზღვრისას მთავარი ყურადღება იმთავითვე ზმნას მიექცა¹.

ჩვენც ამჟამად გვინტერესებს მხოლოდ ზმნის შემცველი შესიტყვებანი, რომელთაც ყველა სხვა სინტაქსური კონსტრუქციებისა და გამონათქვამებისაგან განსხვავებით წინადადებას ვუწოდებთ.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაზუსტოთ ტერმინები კონსტრუქცია და გამონათქვამი. კონსტრუქცია მოიცავს როგორც ვერბალურ ისე არავერბალურ შესიტყვებას (ვერბალური შესიტყვება წინადადებაა, არავერბალური შესიტყვების მაგალითია „ლამაზი წიგნი“).

გამონათქვამი მოიცავს როგორც ვერბალურ და არავერბალურ შესიტყვებას, ისე ცალკეულ სიტყვებსაც. (მაგ., ცეცხლი! რომელიც ტექსტის მიხედვით მეტია ვიდრე ცალკე სიტყვა).

ქართული ენის მორფო-სინტაქსურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბირთვული წინადადება შეიძლება წარმოვადგინოთ სამი განზოგადებული სტრუქტურული ფორმულით: $N_{\text{სა}} V_1^{11}$; $N_{\text{სა}} N_{\text{გგ}} V_1^{23}$; $N_{\text{სა}} N_{\text{გგ}} N_{\text{გგ}} V_1^{33}$.²; მაშასადამე, ლექსიკონში უნდა გამოიყოს სამი

¹ ამჟამად ფართოდ გავრცელდა ვერბაცენტრულობის თეორია. ზმნა ყველა ენაში წინადადების ცენტრალაა მიჩნეული [134].

² ზმნასთან არაბული ციფრით აღნიშნულია პირიანობა, რომელით — სერია.

ჯგუფი ზმნური ფუძეებისა. არც ერთი ამ ზმნურ ფუძეთაგან არ არის ნაწარმოები ე. წ. წარმოქმნის კატეგორიათა საშუალებით. ამგვარ კლასიფიკაციას ზმნათა სემანტიკა განაპირობებს. ამ ფუძეთაგან სათანადო მორფო-სინტაქსური ტრანსფორმაციული წესების გამოყენებით მივიღებთ ბირთვულ წინადადებებს.

კონკრეტულად თუ რა სახეს იღებს ქართული ენის წარმომშობი გრამატიკა, როგორ ხორციელდება წინადადების წარმოქმნა და შემდეგ მათი გარდაქმნა ტრანსფორმაციულ დონეზე, როგორც აღვნიშნეთ, ამის შესახებ აქ აღარ ვიმსჯელებთ [8]. ეს არის საკმაოდ რთული მექანიზმი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ენის აღწერის სისრულის, არაწინააღმდეგობრიობის და ადეკვატურობის მოთხოვნებს. მაგრამ ქართული ენის შესწავლა აღნიშნული თვალსაზრისით მაინც იძლევა საშუალებას დავასკვნათ: როდესაც ენის გრამატიკას წარმოვადგენთ როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც უნდა წარმოქმნათ ამ ენის გრამატიკულად სწორი წინადადებანი, საჭირო ხდება გამოწვლილვით შევისწავლოთ ყოველი სიტყვა-ფორმა, მოვახდინოთ ერთნაირი სტრუქტურის მქონე სიტყვების კლასიფიკაცია მათი ქცევის მიხედვით მათზე სხვადასხვაგვარი ტრანსფორმაციული წესის გამოყენების საშუალებით. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ღრმად შევიკრათ ენის აგებულებაში და გავითვალისწინოთ ყველა მორფემის ინდივიდუალური თვისებები.

ამგვარი გრამატიკის საშუალებით ავტომატურად ვიღებთ გრამატიკულად სწორ წინადადებას მის სტრუქტურულ დახასიათებასთან ერთად, რაც აადვილებს წინადადების გაგებას და შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ გარკვეულ დონეზე ომონიმური წინადადებანი.

მაგრამ ენათმეცნიერების ამოცანა მარტო ასეთი გრამატიკის აგებით ვერ ამოიწურება. ასახსნელი რჩება, რატომ იქცევა თითქმის ერთნაირი სტრუქტურის მქონე ფორმები სხვადასხვაგვარად მათზე ერთნაირი ოპერაციების გამოყენების შემთხვევაში.

რატომ ვვაქვს ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის ვადმოსაცემად სხვადასხვა მორფემა?

ამ და მრავალ სხვა კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო ხდება¹ ენის ისტორიის გათვალისწინება, რაც ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის განხილული მოდელის სფეროში არ შედის.

იგი ავლენს ამა თუ იმ თავისებურებას, მაგრამ ვერ ხსნის მისი არსებობის მიზეზს. წინადადების წარმოსაქმნელი მექანიზმი საკმაოდ რთულია. ზედაპირულ სტრუქტურათა მიმართების შესწავლით ვერ ვიღებთ ადეკვატურ პასუხს გრამატიკულად სწორი წინადადების მი-

საღებად საჭირო ერთეულთა შესახებ. სემანტიკურად სწორი წინადადების ინტერპრეტაციისათვის კი აუცილებელი ხდება დამატებითი ინფორმაციის შემოტანა; კონტექსტში წინადადების ჩართვის პროცედურების გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი დარჩება ენის გამოყენების მექანიზმი. მაგალითად რატომ ჩნდება აქტიური კონსტრუქციების გვერდით თითქმის იმავე შინაარსის მქონე პასიური კონსტრუქციები? რა მიზანს ემსახურება სიტყვათა რიგის შეცვლა წინადადებაში ან ინვერსია?

გრამატიკის მექანიზმის გამარტივებას და ამხსნელობითი ძალის გაძლიერებას ისახავს მიზნად წარმომქმნელი გრამატიკის მეორე ვარიანტი, რომელიც აქცენტს სიღრმულ სტრუქტურაზე აკეთებს. იგი ზედაპირულ სტრუქტურათა მრავალფეროვნების მიღმა ებიებს ისეთ დონეს რომელიც საერთო იქნება სხვადასხვა ენებისათვის, რადგან მკვლევართა უმრავლესობის აზრით, განსხვავებები ენებს შორის შეეხება ენათა ე. წ. „ზედაპირულ სტრუქტურებს“ და არა „სიღრმისეულ სტრუქტურებს“, რომლებიც ზოგადობით და უნივერსალურობით ხასიათდებიან [5, გვ. 33].

განვიხილოთ წარმომშობი გრამატიკის მეორე ვარიანტი, ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით.

ქართული ენის მარტივი წინადადების სიღრმისეული სტრუქტურის დადგენის და ამ სიღრმისეული სტრუქტურის ზედაპირულ სტრუქტურებად გარდაქმნის ცდა მოცემულია რ. ასათიანის ნაშრომში „მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი“ [1]. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, „გენერატიული თეორიის ტერმინებში წარმოდგენილი ნებისმიერი მოდელის ნაკლოვანი მხარეები აიძულებს ბევრ ენათმეცნიერს უარი თქვას ამ კონკრეტულ წარმოდგენაზე და გენერატიული გრამატიკის საკუთარი მოდელი წარმოადგინოს: სწორედ ამაში ელინდება ამ თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლოვანება — არ არის მკაცრად განსაზღვრული გენერატიული გრამატიკის მოდელის ჩამოყალიბების ძირითადი პროცედურები (ეს ერთგვარად განაპირობა გენერატიულმა სემანტიკამ, რომელიც აუცილებლობით წარმოიშვა გენერატიული თეორიის დახვეწასთან ერთად და რომელმაც მნიშვნელობას მიანიჭა გარკვეული როლი, მნიშვნელობის სფეროში კი უფრო მეტად ტენდენციებთან გვაქვს საქმე და არა წესებთან, ამდენად, გენერატიული გრამატიკის წესების მკაცრი, ცალსახა განსაზღვრათულდება (ესეც გარკვეული თვალსაზრისით მეთოდის ნაკლოვანებაზე მიგვივლითებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ ყოველი მკვლევარი თავისებურად წარმოადგენს სიღრმისეულ სტრუქტურას და სწორედ მას მიიჩნევს ენობრივი პროცესების ადეკვატურ ასახვად. ასეთი განსხვავებული სიღრმისეული სტრუქტურები საკმაოდ

გამრავლდა, და არა ჩანს რაიმე კრიტერიუმი, რომელიც უპირატესობას მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს მიანიჭებდა“ [1, გვ. 10]. არა ერთი ნაშრომი ეძღვნება „სიღრმული სტრუქტურის“ მკაცრ გამანადგურებელ კრიტიკას [40, 117, 127].

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთგვარად დავაზუსტოთ „სიღრმული სტრუქტურის“ ცნება (როგორ გვესმის იგი ჩვენ კონკრეტულ ნაშრომებზე დამყარებით) და შემდეგ ვნახოთ, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს დონე ქართული ენის მასალის გათვალისწინებით.

წარმომშობი გრამატიკის ერთ-ერთ ბოლო ვარიანტში აღნიშნულია, რომ კატეგორიალური კომპონენტი წარმოქმნის მარტივ ბაზისურ სტრუქტურებს და აერთიანებს მათ რთულ ბაზისურ სტრუქტურებში. რთულ ბაზისურ სტრუქტურებში ლექსიკური ერთეულების შეტანის შედეგად ვიღებთ წინადადების სიღრმულ სტრუქტურას. უფრო ადრე აღნიშნულია: გრამატიკის კატეგორიალური კომპონენტი შედგება კატეგორიალური ლექსიკონის და განშტოების ბაზისურ წესთა სისტემისაგან. ეს წესები კონტექსტით შეზღუდულნი არ არიან და ასრულებენ ორ სრულიად განსხვავებულ ფუნქციას. 1. ისინი განსაზღვრავენ გრამატიკულ მიმართებათა სისტემას, რასაც შემდეგ ემყარება სემანტიკური ინტერპრეტაცია და 2. გვაძლევენ სიღრმული სტრუქტურის ელემენტთა თანმიმდევრობას, რაც წარმოადგენს საფუძველს ტრანსფორმაციულ წესთა ფუნქციონირებისათვის. პირველი ამ წესთაგანი მეტად ზოგადია და შესაძლოა უნივერსალურიც [133, გვ. 131]. ამრიგად, ვაგხაზავთ, ამ მსჯელობის მიხედვით უნივერსალურადაა მიჩნეული კატეგორიალური კომპონენტის მიერ წარმოქმნილი სტრუქტურები, რომლებიც პრეტერმინალურ ჯაჭვს ქმნიან.

ლექსიკური ერთეული რთული ოდენობაა. იგი მოიცავს 1. ძირითადად გრამატიკულ ფორმატივებს, ანუ იმ გრამატიკულ ნიშნებს, რომელიც სინტაქსური კომპონენტის ფუნქციონირებისათვისაა საჭირო. მან უნდა უზრუნველყოს გრამატიკულად სწორი წინადადების წარმოქმნა (იხ. აქვე, გვ. 30) და 2. ლექსიკურ ფორმატივებს, რომლებიც კონკრეტული ენის ლექსემები არიან. ამგვარად, პრეტერმინალურ ჯაჭვში გრამატიკულ ფორმატივთა შეტანით ვიღებთ ტერმინალურ ჯაჭვს, ხოლო შემდეგ ტერმინალურ ჯაჭვში კონკრეტული ლექსემების ჩასმით — სიღრმულ სტრუქტურას.

აქ, ბუნებრივია, შეიძლება ეკვი გამოიწვიოს ლექსიკური ერთეულის რაობის საკითხმა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლექსიკური ერთეული კონკრეტულენობრივია, მაგრამ შესაძლოა ლექსიკური ერთეული ისე

წარმოვადგინოთ, რომ კონკრეტულ ენობრივი იყოს მხოლოდ მისი ფონეტიკური რეალიზაცია, სინტაქსური და სემანტიკური კომპონენტები კი უნივერსალური ლექსიკონიდან იქნეს აღებული. მაგ., დიფერენციალური ნიშნები: სულიერი, ადამიანთა კლასი, მამრობითი სქესი, ახალგაზრდა, უცოლო, არასრულასაკოვანი — ცალსახედ გვევარაუდებინებს ქართულისათვის ლექსემას — „ბიჭი“, რუსულისათვის — „малышк“-ს, ხოლო ინგლისურისათვის „the boy“-ს. მაგრამ ლექსიკურ ერთეულთა ჩაწერა ამ გზით უტოპიურ მიზნად გვესახება. არ მოხერხდება ამგვარი ჩაწერა იმიტომაც, რომ სემანტიკური ერთეულის ხვედრითი წონა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია და უნივერსალური დიფერენციალური ნიშნებით მათ ვერ წარმოვადგენთ (გაგვიპირდება წარმოადგენა). შდრ.: ქართ. დეიდა, მამიდა, ბიცოლა, ძალუა და რუს. тетя (რუსულ-ქართული ლექსიკონი); ქართ. შვილი და რუს. дочь, сын, ребенок, детē. რჩება ერთი შესაძლებლობა ბაზისურ სტრუქტურებში შევიტანოთ გრამატიკული ფორმატივები (შესაძლოა უნივერსალური ლექსიკონიდან) და კონკრეტულ ენობრივი ლექსემები, რაც სიღრმული სტრუქტურის უნივერსალურობას აზრს უკარგავს.

ყოველ შემთხვევაში, როდესაც სიღრმული სტრუქტურის ცნებას ვიყენებთ უნდა დავაზუსტოთ როგორ გვესმის ეს ცნება. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ უნივერსალურ ტერმინალურ სტრუქტურებზე და სიღრმულ სტრუქტურებზე კონკრეტული ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით. ანუ: „X ენის სიღრმული სტრუქტურა“ და არა „უნივერსალური სიღრმული სტრუქტურა“. ამ შემთხვევაში კონკრეტული ენისათვის დაპირისპირება სიღრმული და ზედაპირული სტრუქტურებისა გამართლებულია, რადგან სიღრმული სტრუქტურა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს გრამატიკულად გაფორმებულ სწორ წინადადებას ენაში. სიღრმული სტრუქტურა არის ერთგვარი ინვენტარი წინადადების წარმოსაქმნელად, რომელიც აუცილებელი ტრანსფორმაციებით იქცევა ზედაპირულ სტრუქტურად. წარმომშობი გრამატიკის პირველი მოდელისაგან სიღრმულ სტრუქტურაზე დამყარებული მოდელი არსებითად განსხვავდება იმით, რომ პირველ მოდელში გარდაქმნები ხდება ზედაპირულ სტრუქტურებში, უკვე გაფორმებული წინადადება გარდაიქმნება სხვა სტრუქტურის წინადადებად. მაგ.: ბავშვი წერილს წერს რუსული წერილი იწერება ($N_{sabj} \rightarrow \emptyset, N_{sabj} \rightarrow N_{obj}, V_{adj} \rightarrow V_{ass}$). მეორე მოდელში გვაქვს ბაზისური სტრუქტურული ფორმოლა: $S \rightarrow N_{sabj} + V + N_{obj}$, ლექსიკური ტრანსფორმაცია გვაძლევს სიღრმულ სტრუქტურას: N_{sabj} (ბავშვი) V (წერა) N_{obj} (წერილი), საიდანაც ერთ შემთხვევაში აუცილებელი ტრანსფორმაციით იწარმოება ზედაპირული ბირთვული წინადადება „ბავშვი წერილს წერს“, ხოლო არააუცი-

ლებელი პასიური ტრანსფორმაციისა და შემდეგ აუცილებელი ტრანსფორმაციით შეიძლება ვაწარმოოთ პასიური კონსტრუქცია „წერილი იწერება“. N_{subj} (ბავშვი) V_{trans} (წერა) N_{obj} (წერილი) $Tr_{პასიური}$ ($N_{subj} \rightarrow \emptyset, V_{trans} \rightarrow V_{intrans}, N_{obj} \rightarrow N_{subj}$) $Tr_{აუღ}$ წერილი იწერება. რა თქმა უნდა, ეს არის მეტად გამარტივებული ჩაწერა, რადგან ყოველი ახალი ფორმის წარმოქმნა მკაცრად ფორმალური და ცალსახა უნდა იყოს, მაგრამ ერთი ნათელია, ზედაპირული სტრუქტურები, რომელთაც ერთი და იგივე სიღრმული სტრუქტურა აქვთ, ერთმანეთისაგან კი არ იწარმოებიან, არამედ წარმოიქმნებიან ერთმანეთის პარალელურად სიღრმული სტრუქტურებისაგან. თითქმის ყველა ენაში შეიძლება დამყარდეს ასეთი მიმართება სიღრმულსა და ზედაპირულ სტრუქტურათა შორის. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება იყოს სიღრმული სტრუქტურის ცნება უნივერსალურად გამოყენებადი.

ქართული ენის წარმომშობი გრამატიკა ამ სისტემითაც რომ ავადგოთ. მორფოლოგიური დონის გამოყოფა მაინც დაგვიკირდება, რადგან თუნდაც პასიური ტრანსფორმაციის დროს ცვლილებას განიცდის არა მარტო წინადადების სინტაქსური მოდელი, არამედ იცვლება ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა. არის ერთი შესაძლებლობა: ყველა წარმოქმნილი ფორმა შეივტანოთ ლექსიკონში, როგორც ეს გვაქვს კიდევ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგრამ ამ შემთხვევაში დრო-კილოთა მრავალრიცხოვანი ფორმების მიღების სირთულე მაინც რჩება. ყველა ფორმის ბაზისურ ლექსიკონში შეტანა კი უსაზღვროდ გაზრდის მას.

ერთ-ერთი ცდა სიღრმულ სტრუქტურაზე დამყარებით ქართული ენის გრამატიკის აგებისა, როგორც აღვნიშნეთ, აქვს რ. ასათიანს. უნდა შევნიშნოთ, რომ რ. ასათიანის მიერ განმარტებული სიღრმული სტრუქტურა უდრის ჩვენი გაგებით ბაზისურ პრეტერმინალურ სტრუქტურას, ამოსავალი სტრუქტურა კი — ქართული ენის სიღრმულ სტრუქტურას. რ. ასათიანის ნაშრომში ტრანსფორმაციების განხორციელება, მართალია, საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი, მაგრამ ყველა კონკრეტული სიტყვაფორმის წარმოქმნა მაინც ენის მცოდნის დონეზე ივარაუდება (ისევე როგორც ჩვენს მოდელში). ავტომატურად, მხოლოდ გრამატიკაში აღწერილი პროცედურებით, ქართული ენის ყველა მარტივ წინადადებას ვერ წარმოვქმნით. ამდენად, ძნელი სათქმელია აკმაყოფილებს თუ არა ეს მოდელი ადეკვატურობის, სიმარტივისა და სისრულის მოთხოვნებს.

მაინც რომელ მოდელს უნდა მიეცეს უპირატესობა. ბირთვულ წინადადებათა (ზედაპირულ სტრუქტურათა) გარდაქმნაზე დამყარებულს თუ სიღრმულ სტრუქტურაზე დამყარებულს?

ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ მეორე მოდელს მეტი ამხსნელობითი ძალა აქვს. ენის გამოყენების თვალსაზრისით ძნელი წარმოსადგენია, რომ მეტყველი აწარმოებდეს უკვე არსებული წინადადების (ბირთვული წინადადების) გარდაქმნას მეტყველების პროცესში. ერთიანი სიღრმული სტრუქტურიდან სხვადასხვა სემანტიკურად იდენტური სტრუქტურების წარმოქმნა უფრო მარტივია და ადეკვატურიც. იგი იძლევა ფორმალურად განსხვავებულ წინადადებებში საერთო სემანტიკის გამოყოფის საშუალებას, ხსნის წარმოქმნილ ფორმებში ახალი მნიშვნელობის შემოტანის მიზეზებს, მიუთითებს მასზე (მაგ., აქტიურისაგან განსხვავებით პასიურ კონსტრუქციებში ხდება რემის აქტუალიზაცია); ბაზისურ და სიღრმულ სტრუქტურაშივე იძლევა ყველა ინფორმაციას, რაც საჭიროა ზედაპირული სტრუქტურის ინტერპრეტაციისათვის. ნათლად აჩვენებს ომონიმურ ფორმებში განსხვავებულ სიღრმულ დონეებს და ა. შ. (როგორც ცნობილია, წარმომშობი გრამატიკის მეორე მოდელში ცალკე გამოყოფილი სემანტიკური კომპონენტი. მის სტრუქტურაზე და დანიშნულებაზე ამჟამად არ ვიმსჯელებთ იხ. [12]).

ჩვენი აზრით, არც წარმომშობი გრამატიკის პირველ მოდელს დაუკარგავს ღირებულება. სინქრონიულ დონეზე კონკრეტულ ენათა აღწერა უფრო ადვილია ზედაპირულ სტრუქტურებზე დამყარებით. მაგ., ქართული ენის გრამატიკა და ხშირ შემთხვევაში პრაქტიკული სასწავლო გრამატიკები სწორედ ამ პრინციპზეა აგებული და, ამდენად, პირველი მოდელიც გასათვალისწინებელია.

ქართული ენის სიღრმული სტრუქტურის წარმოსადგენად საჭიროა კონკრეტულად ქართული ენის მონაცემების გათვალისწინება. სახელდობრ, აქ პირველ რიგში არსებითია ზმნის ძირის სემანტიკის, მთლიანად ზმნური ფორმისა და ზმნური შესიტყვების თავისებურების გათვალისწინება, ამ საკითხთა შესახებ შემდეგ თავში გვექნება საუბარი ზმნის პირიანობასა და ვალენტობასთან დაკავშირებით.

ზმნის პირიანობა, ვალენტობა, ადგილიანობა

ზმნა არის მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა.

ნებისმიერი მდგომარეობა ან მოქმედება გულისხმობს მასთან დაკავშირებულ სახელს ან სახელთა გარკვეულ სიმრავლეს.

ზმნის სემანტიკური ვალენტობა განისაზღვრება ზმნით აღნიშნულ მდგომარეობასთან ან მოქმედებასთან დაკავშირებულ სახელთა მინიმალური რაოდენობით.

ესა თუ ის ენა სხვადასხვაგვარად იქცევა ზმნის (ზმნის ძირის) სე-

მანტიკასთან დაკავშირებული სახელების მორფოლოგიურად გამოხატვის თვალსაზრისით. ენათა ერთი რიგი მხოლოდ ერთ სახელზე აკეთებს აქცენტს და ძირთან მიერთებული მორფემის საშუალებით გამოხატავს მას. ზოგ ენაში კი რამდენიმე სახელის ამსახველი მორფემაა ზმნასთან მიერთებული.

ეს მორფემა შეიძლება იყოს სახელის (ან სახელთა) კლასის მიმანიშნებელი, შესაბამისად ენაში გვექნება კლასოვანი უღვლილება ზმნისა, ან სახელის (სახელთა) პირის მიმანიშნებელი, შესაბამისად ენაში გვექნება პიროვანი უღვლილება [5].

ქართულ ზმნას რთული მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს, მასში სპეციალურ აფიქსთა საშუალებით აისახება ზმნის სემანტიკასთან დაკავშირებული რამდენიმე სახელი. ამასთან, „1. ქართულ ზმნას შეუძლია აჩვენოს ვინ არის მოქმედი და ვიზე (რაზე) ვრცელდება ეს მოქმედება, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს სუბიექტი და ობიექტი მოქმედებისა, პირი და რიცხვი როგორც სუბიექტისა, ისე ობიექტისა 2. კუთვნილების თვალსაზრისით რა ურთიერთობაა სუბიექტსა და ობიექტს (ობიექტებს) შორის. ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს ქცევები და ვერსიები. 3. სუბიექტი თვითონ ასრულებს მოქმედებას თუ მოქმედება სხვა პირის მეშვეობით სრულდება. ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს გზა. 4. მოქმედება წარმოიდგინება მოქმედის თვალსაზრისით (სუბიექტიდან ამოსვლით), თუ მოქმედების ობიექტის თვალსაზრისით (სუბიექტისაგან განყენებით), ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს გვარები — მოქმედებითი და ვნებითი“ [45, გვ. 050].

შევჩერდეთ პირველ პუნქტზე.

ქართული ზმნის პიროვანი უღვლილების საფუძველს ქმნის ორი სემანტიკური ოდენობა:

1. კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირთა გარჩევა.

2. კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირთა (სახელთა) შეფასება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.

1. 1. კომუნიკაციის აქტში ჩვეულებრივ ორი პირი მონაწილეობს. პირველი — ვინც მეტყველებს (პირველი პირი — მას შეესაბამება ნაცვალსახელი „მე“) და მეორე — ვისაც მიმართავენ მეტყველების დროს (მეორე პირი, შეესაბამება ნაცვალსახელი „შენ“). მესამე პირი ან საგანი, ვის შესახებაცაა საუბარი. ის კომუნიკაციის აქტში უშუალოდ არ მონაწილეობს, მაგრამ ამ აქტის აუცილებელი წევრია (იწოდება მესამე პირად, შეესაბამება ნაცვალსახელი „ის“). ქართულ ზმნას საშუალება აქვს განარჩიოს ეს სამი პირი ერთმანეთისაგან. ე. ი. ზმნა განარჩევს „პირის რომელობას“ [37, გვ. 167].

2. 1. კომუნიკაციის აქტში შემავალი პირები ზმნით აღნიშნული

მოქმედების თვალსაზრისით შეიძლება სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდნენ. ერთნი მოქმედებას განახორციელებენ, მეორენი მოქმედებას ექვემდებარებიან. ერთმანეთს უპირისპირდება მოქმედი პირი (ტრადიციული სუბიექტი) და არამოქმედი პირები (ტრადიციული ობიექტები). ე. ი. ენაში განიჩევა „რაგვარობა პირისა“ [37, გვ. 167]. ამგვარად, ყველა პირი (I, II, III) შეიძლება განსხვავებული იყოს რაგვარობის მიხედვით.

ზმნის რომელობა და რაგვარობა ქართულში ერთმანეთს ერწყმის და ერთი მორფოლოგიური ნიშნით გადმოიცემა. ამგვარად გვაქვს აფიქსთა ორი რიგი: სუბიექტური რიგი და ობიექტური რიგი, ხოლო თითოეული მათგანი სამი პირითაა წარმოდგენილი. შესაბამისად გვაქვს სუბიექტური პირის ნიშნები და ობიექტური პირის ნიშნები (პირის ნიშნებზე არ შევჩერდებით).

აფიქსთა ეს ორი რიგი ედება საფუძვლად პიროვან უღვლილებას ქართულში.

ქართულში ზმნა შეიძლება იკუბდეს და აღნიშნავდეს მხოლოდ ერთ სუბიექტურ პირს. ეს იქნება ერთპირიანი ზმნა. ამგვარ ზმნას ექნება სამი პირის ფორმა მხოლოდითში, ამდენივე — მრავლობითში.

ქართული ზმნა შეიძლება აღნიშნავდეს სუბიექტის პირსაც და ობიექტის პირსაც. იყოს ორპირიანი. ორპირიანი ზმნის უღვლილება სუბიექტურ-ობიექტურია. სამივე პირი შეიძლება იყოს სუბიექტურიც და ობიექტურიც, როგორც მხოლოდითში, ისე მრავლობითში. ამის შედეგად უღვლილების ფორმათა რაოდენობა იზრდება. ორპირიანი ზმნის უღვლილება ქმნის 18 განსხვავებულ ფორმას [45, გვ. 053].

ზმნას სუბიექტი ერთი აქვს, ობიექტი შეიძლება ჰქონდეს ორი. ერთი პიროვნებისა, მეორე ნივთისა. ასეთ შემთხვევაში ზმნა იცვლება სუბიექტისა და ერთ-ერთი ობიექტის მიხედვით. ზმნასთან სამი სახელის შეწყობა სამივე პირის მიხედვით ცვლას არ ნიშნავს [45, გვ. 056].

პიროვნებისა და ნივთის ობიექტის ფარდია ტერმინი ირიბი და პირდაპირი ობიექტი. „პირდაპირი და ირიბი დამატება რუსულისა (და ევროპული ენების) прямое და косвенное дополнение-ს თარგმანია. პირდაპირ დამატებად ხსენებულ ენებში ითვლება აკუსატივში (ბრალდებით ბრუნვაში) დასმული დამატება. ქართულში ეს ბრუნვა არა გვაქვს, პირდაპირი დამატებაც, ცხადია, არ გვექნება“ [45, გვ. 055]. მაგრამ გვაქვს ფორმალური ნიშანი, რომელიც პიროვნებისა და ნივთის ობიექტს განარჩევს. ეს სახელები სხვადასხვაგვარად იმართვიან ზმნის მიერ. პიროვნების ობიექტი ბრუნვაუცვლელია და ყოველთვის მიცემითში დგას, ნივთის ობიექტი კი ბრუნვაუცვლელია და სერიების მიხედვით წარმოდგენილია სახელობითი და მიცემითი ბრუნვებით.

ამგვარად, ზმნას შეიძლება სუბიექტთან ერთად შეეწყოს ოდენ:

1. ბრუნვაეცვალეზადი ობიექტი.
2. ბრუნვაუცვლეელი ობიექტი.
3. ბრუნვაეცვალეზადი და ბრუნვაუცვლეელი ობიექტი ერთად.

რა მდგომარეობა გვაქვს უღვლილების თვალსაზრისით?

პირველსა და მეორე შემთხვევაში ზმნას აქვს უნარი განარჩიოს ბრუნვაეცვალეზადი და ბრუნვაუცვლეელი ობიექტი მხოლოდ მესამე პირში. ბრუნვაუცვლეელი ობიექტის მესამე პირის ნიშნებია 3/ს; ბრუნვაეცვალეზადი ობიექტი — მის უნიშნობით უპირისპირდება. (თუშეცა ტექსტებში ამ თვალსაზრისით დიდი აღრევა გვაქვს). პირველსა და მეორე პირში ორივე ობიექტს ერთნაირი ნიშნები აქვთ.

როდესაც ზმნასთან ორივე ობიექტი გვაქვს, მაშინ ზმნაში ჩვეულებრივ ნივთის ობიექტი გამოუხატავი რჩება და ზმნა იცვლება პირონების ობიექტის პირების მიხედვით. ამგვარად, მართალია, ზმნას სამი სახელი უკავშირდება, მაგრამ პირის ნიშნით მხოლოდ ორია გამოხატული და შესაბამისად ზმნის ფორმათა რაოდენობა კვლავ 18 რჩება.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს გვაქვს იშვიათი შემთხვევა პირთა კომბინაციისა სამპირიან ზმნაში. „უცვალეზელ პირად იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ირიბობიექტური პირი, ხოლო ცვალეზადად — პირდაპირი. მაგ.: „დამაკრა“ ისეც შეგვიძლია გავიგოთ, რომ ჩემზე იქნა „დაკრული“ და ისეც, რომ მე ვიქენ „დაკრული“. თუ რომელი გაგებთათაგანი აქვს ზმნას ამ შემთხვევაში, ამას არკვევს სახელებთან შეწყობა ზმნისა. ერთია „ფიცარი დამაკრეს“ და სხვაა „ფიცარს დამაკრეს“: პირველი პირი იმაში ირიბი ობიექტია, ამაში კი — პირდაპირი, სამაგიეროდ „ფიცარი“ იმაში პირდაპირი ობიექტია, ამაში კი — ირიბი. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მოუბარი (პირველი პირი) ერთ შემთხვევაში ირიბი ობიექტია, მეორეში კი — პირდაპირი, ფორმალურ გავლენას ვერ ახდენს ზმნის ფორმაზე. იქაც დამაკრეს არის და აქაც. ვერ ვიპოვით განსხვავებას რა ზმნაც უნდა მოვიყვანოთ და რომელი მწკრივიც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მი- და მო- ზმნისწინთა შენაცვლებას (მიმყიდა — მომყიდა, მიმცა — მომცა). მაშასადამე, ფორმაეცვალეზა მწკრივში სამპირიანი ზმნისა, რომელსაც უცვალეზელ პირად მესამე პირდაპირი აქვს, არ განსხვავდება ორპირიანი გარდამავალი ზმნის ფორმაეცვალეზისაგან იმავე მწკრივში...“ [37, გვ. 231—232].

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართული ზმნა მასში პირის ნიშანთა, წარმოჩენისა და შესაბამისად პირთა უღვლილების თვალსაზრისით არის ერთიანი ორპირიანი.

ზმნასთან დაკავშირებული ორზე მეტი სახელი ახალ ფორმას ვერ ქმნის პირის რომელობისა და რაგვარობის თვალსაზრისით.

მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზმნას საზოგადოდ აქვს უნარი დაიკავშიროს (შეიწყოს) ორზე მეტი სახელი. ზმნის ამ უნარს ვალენტობა ეწოდება.

ქართული ზმნა არა მარტო იკავშირებს რამდენიმე სახელს, არამედ ამავე დროს მოითხოვს მისგან (მათგან) გარკვეულ ფორმას, მართავს მას; ამიტომ ქართულში ვალენტობა სინტაქსურ მოვლენად (ცნებად) გვევლინება, პირი კი, როგორც ცნობილია, მორფოლოგიური კატეგორიაა.

დავასკვნით:

ის გარემოება, რომ ზმნის მიერ მართულ სახელთა რაოდენობა ხშირად არ ემთხვევა ზმნაში პირის ნიშანთა საშუალებით აღნიშნულ სახელთა რაოდენობას და ის ფაქტი, რომ ვალენტობა სინტაქსური ცნებაა და პირი კი ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა, საფუძველს გვაძლევს გვარჩიოთ ერთმანეთისაგან ზმნის პირიანობა და სინტაქსური ვალენტობა. (ქვემოთ კიდევ ერთხელ განვმარტავთ ამ ცნებებს.

მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები:

(ზმნაში პირის ნიშნის უქონლობის შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

ა) ფონეტიკური გარემო, რასაც შეეძლო გამოეწვია პირის ნიშნის დაკარგვა.

ბ) ანგარიში უნდა გაეწიოს ნულოვან მორფემას, რომელიც სხვა პირის ფორმებთან მიმართებით დგინდება).

1. ზმნის პირიანობა უდრის ვალენტობას,

	ვალენტობა	პირი
მ-ხატავ-ს	2	2
მ-კლავ-ს	2	2

2. ზმნის ვალენტობა აღემატება პირიანობას:

მ-თხოვ-ს	3	2
მ-წერ-ს	3	2

3. ზმნის პირიანობა აღემატება ვალენტობას

მ-ძინავ-ს	1	2
წვიმ-ს	0	1
თბილ-ა	0	1
თოვ-ს	0	1

ხშირად ვალენტობასა და პირიანობას შორის თანადობის დარღვევას იწვევს ის გარემოება, რომ ვალენტობა ასახავს შესიტყვების რეალურ სტრუქტურას, ზმნას კი შემორჩენილი აქვს ძველი ფორმა, როდესაც შესიტყვებაში დასტურდებოდა სათანადო სახელი. როგორც ა. ჩიქობავა აღნიშნავს, „ზმნას ორი პირი იმიტომ შეიძლება ჰქონდეს, რომ მასთან ორი სახელია დაკავშირებული შინაარსობლივ. გ-ზრდი-ს შენ ის... ზმნის აგებულებაში სათანადოდ უკუფენილია წინადადების შედგენილობა.

ასეთი შეფარდება ყოველთვის არ არის დაცული. შეიძლება წინადადებაში შინაარსით ორი სახელი უკავშირდებოდეს ზმნას (თან ისეთ ბრუნვაში იყოს დასმული, რომ პირის ნიშანი შეეფერებოდეს), მაგრამ ზმნაში მხოლოდ ერთი პირი გვექონდეს, ზმნა ერთპირიანი იყოს (ბავშვი ბურთს თამაშობს-ს: ზმნაში ერთი პირიღა ჩანს, სუბიექტისა).

შეიძლება ზმნაში ორი პირის ნიშანი გვექონდეს და წინადადებაში სათანადო სახელი არ გავგაჩნდეს: გ-ძინავს-ს შენ: გ- დაკავშირებულია შენ ნაცვალსახელთან, ს- ბოლოსართის შესაბამისი სახელი არა ჩანს (და არც შეიძლება ამჟამად დაირთოს ზმნამ: „გძინავს შენ ის“ უზრობაა. ძველად კი ეს მეორე სახელიც დაისმოდა: გ-ძინავს-ს შენ ძილი. ასევე „შეხედა მან მას“ გარდამავალი ზმნაა, ობიექტი სახელობითში შეეფერება, მაგრამ არა აქვს, ჰქონდა კი: „შეხედნა მან მას თვალნი“, ჰქონდა და დაკარგა).

ამგვარად, წინადადებაში სათანადო სახელი დაგვეკარგა, ზმნაში ამ სიტყვის წარმომადგენელი კვლავ ზის. ზმნის ფორმა ჩამორჩა წინადადების შინაარსს [45, გვ. 057]. შესაბამისად, დაირღვა ტოლობა ზმნის ვალენტობასა და პირიანობას შორის.

ზემოთ ჩვენ შეგნებულად განვიხილეთ მხოლოდ ისეთი ზმნური ფორმები, რომლებშიც სახელის წარმომადგენელი მორფემის სახით მხოლოდ პირის ნიშანი იყო გამოვლენილი.

ეუწოდოთ ზმნის ამ ფორმებს ამოსავალი (ან ბირთვული ფორმები).

ქართული ზმნის მორფოლოგიის სირთულეს არ ჰქმნის მხოლოდ სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება. ქართულ ზმნას უნარი აქვს მორფოლოგიურად ორზე მეტი სახელი წარმოაჩინოს, მაგრამ ამისათვის იყენებს არა პირის ნიშნებს, არამედ სხვა რიგის აფიქსებს. მათ უწოდებენ მიმართების მცვლელ აფიქსებს, ან წარმოქმნის კატეგორიათა აფიქსებს, რადგან მათ შემოაქვთ ახალი სახელი ზმნურ შესიტყვებაში (უფრო ზუსტად: ასახავენ ზმნური შესიტყვების ახალ წევრს) და ამასთანავე ცვლიან იმ მიმართებას, რომელიც ამოსავალ (ბირთვულ) ფორმასთან დაკავშირებულ სახელთა შორის არსებობს.

ეს აფიქსებია: ხმოვანი თავსართები — ა, ე, ი, უ, და სუფიქსები დ, ინ, ევ, ევინ².

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ფორმალურად ხასიათდება ობიექტთა ორი რიგი ბრუნვაეცვალბადი და ბრუნვაუცვლელი. ბრუნვაუცვლელი ანუ პიროვნების ობიექტი, როგორც სემანტიკური კატეგორია შეიძლება დიფერენცირებულ იქნას, როგორც ადრესატი (ბავშვი წერილს სწერს დედას), დესიგნატი (დედა კაბას უკერავს შვილს), ეგზეკუტორი (დედა წერილს აწერინებს ბავშვს), ლოკატიური (დედა ქუდს ახურავს ბავშვს). ქართულში ყველა ამ ობიექტს შესაძლებლობა აქვს ფორმალურად აისახოს ზმნაში. შესაბამისად ვიღებთ ე. წ. წარმოქმნის კატეგორიებს, რომელთაც სათანადო ფორმალური მარკერიცა აქვთ და სემანტიკაც.

ერთი რიგის აფიქსები (შესაბამისად სემანტიკა) იწვევს ზმნურ შესიტყვებაში სახელთა მატებას, მეორე რიგის აფიქსები კი პირიქით, შესიტყვებაში სახელთა კლებას იწვევენ.

მ. მაჭავარიანის აზრით, „ობიექტების წარმოქმნა-მოსპობა და ამასთან დაკავშირებული ზრდა-კლება ზმნის ვალენტობისა ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას.

1. ი-, უ-, ე-, მაქცევრები წარმოქმნიან მხოლოდ ირიბ ობიექტებს: ვხატავ მე მას: მ-ი-ხატავს ის მე მას (წარმოიქმნება ირიბი ობიექტი). ვწერ მე მას: ვ-უ-წერ მე მას მას (წარმოიქმნება ირიბი ობიექტი). ვ-ი-ზრდები მე: ვ-ე-ზრდები მე მას (წარმოიქმნება ირიბი ობიექტი).

2. ა- მაქცევარი წარმოქმნის როგორც ირიბს, ისე პირდაპირ ობიექტს. ზის ის: ა-ზის ის მას (წარმოიქმნება ირიბი ობიექტი). დულს ის: ა-დულებს ის მას (წარმოიქმნება პირდაპირი ობიექტი).

3. ობიექტის მოსპობა შეუძლია მხოლოდ ი- და ე- მაქცევრებს. ი- მაქცევარი სპობს როგორც ირიბს, ისე პირდაპირ ობიექტს. ვზრდი მე მას: ვ-ი-ზრდები მე (მოისპო პირდაპირი ობიექტი). ვ-უ-ზრდი მე მას მას: ვიზრდი მე მას (მოისპო ირიბი ობიექტი). ე- მაქცევარი სპობს მხოლოდ პირდაპირ ობიექტს. ვ-უ-ზრდი მე მას მას: ვ-ე-ზრდები მე მას. ვ-ა-კრავ მე მას მას: ვ-ე-კვრები მე მას (მოისპო პირდაპირი ობიექტი).

ამგვარად, პირდაპირი ობიექტის წარმოქმნის უნარი აქვს მხოლოდ ა- მაქცევარს და მხოლოდ გარკვეულ სინტაგმატურ პირობებში: კერძოდ, როდესაც გარდაუვალ ზმნას დაერთვის ა- მაქცევარი მის გაკაუზატივებასთან ერთად. ამ შემთხვევაში იგულისხმება კაუზა-

² ხმოვანთავსართების შესახებ საეტიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ლიტერატურის მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია იხ. [49].

ციის პირველი საფეხური, როდესაც კაუზაციას განიცდის გარდაუვალი და არა გარდამავალი ზმნა“. [26, გვ. 42].

ა-ს ფუნქციას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ სპეციალურ ლიტერატურაში. მას მართლაც სხვადასხვაგვარი სემანტიკა უკავშირდება. ბ. ჯორბენაძის აზრით, ა- არის წარმოქმნილი ირიბ ობიექტზე მიმანიშნებელი [49].

ფორმაში, სადაც გვაქვს ა პრეფიქსი აუცილებლად უნდა ვივარაუდოთ ამოსავალ ფორმასთან შედარებით ერთით მეტი სახელი. ამგვარად, ზმნურ ფორმაში გამოხატული იქნება ერთით მეტი სინტაქსურად მართული სახელი. რთულდება ზმნური ფორმა და შესაბამისად იზრდება მისი სინტაქსური ვალენტობა. პირიანობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ ამოსავალი ფორმა ერთპირიანი იქნება. მაგალითად:

	პირი	ვალენტობა
დგა-ს	1	1
შ-ა-დგა-ს	2	2
შდრ:		
მ-ხატავ-ს	2	2
მ-ა-ხატავ-ს	2	3

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ენის განვითარება იწვევს შეუსაბამობას ფორმასა და შინაარსს შორის. შესაძლებელია ფორმაში გვექონდეს ა- პრეფიქსი, მაგრამ არა გვექონდეს სათანადო სახელი — ბრუნვაუცვლელი ობიექტი. ამ შემთხვევაში ირღვევა თანადობა სინტაქსურ ვალენტობასა და ზმნის ფორმას შორის.

მაგ.: „აშენებს“ ფორმით სამ სახელს ვარაუდობს შესიტყვებაში, მაგრამ დღეს მას მხოლოდ ორი სახელი შეეწყობა. ბრუნვაუცვლელი ობიექტი შესიტყვებაში აღარ დასტურდება (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

ამრიგად, ჩნდება აუცილებლობა რიგ შემთხვევაში ზმნის მორფოლოგიური შედგენილობით ნავარაუდევ ვალენტობა განვასხვავოთ სინქრონულ დონეზე ფრაზაში რეალურად გამოვლინებად ვალენტობისაგან. ეუწოდოთ ზმნური ფორმის პოტენციალურ უნარს განსაზღვროს მასთან დაკავშირებულ სახელთა რაოდენობა, ზმნის ადგილიანობა (ანუ მორფოლოგიურად გაპირობებული ვალენტობა)⁴.

⁴ სპეციალურ ლიტერატურაში „ადგილიანობის“ სხვაგვარი განმარტებაც გვხვდება [1, გვ. 17].

ზმნის მიერ ნავარაუდევ ადგილთაგან რეალურად ფრაზაში შეიძლება მხოლოდ რამდენიმე შეივსოს. ზოგი მათგანი კონტექსტით ივარაუდება, ზოგი კი შეიძლება საერთოდ იყოს დაკარგული ზმნური ფორმის შინაარსის ცვლის შედეგად [17, გვ. 321; 45, გვ. 057].

კონკრეტული მაგალითები (პირველი სვეტის ციფრები აღნიშნავენ ზმნის ადგილიანობას, მეორე — პირს, მესამე — ვალენტობას):

	I	II	III
მ-ა-შენებ-ს	3	2	2
მ-ა-ცახცახებ-ს	3	2	2
მ-ა-თხოვებ-ს	3	2	3

ზმნის „ადგილიანობის“ ცნების შემოტანის აუცილებლობაზე მითითებს სხვა წარმოქმნის კატეგორიების აფიქსების განხილვაც.

უ/ი — საობიექტო ქცევა: იგი ამყარებს მიმართებას ბრუნვაუცვლელ და ბრუნვაუცვალეზად ობიექტებს შორის. ე. ი. ფორმაში უ/ი-ს არსებობა გვაწვდის ინფორმაციას ამოსავალ ფორმასთან შედარებით ერთი სახელით მეტს, გარდამავალ ზმნაში სუბიექტთან ერთად ორი ობიექტის აუცილებლობას. ამიტომ ამ ფორმებთან ვალენტობა და ადგილიანობა პირიანობაზე მეტი იქნება.

უ-შენებ-ს	3	2	3
უ-კეთებ-ს	3	2	3

მაგრამ ვალენტობა და ადგილიანობა არ უდრის ერთმანეთს ფორმებთან:

უ-პატრონებ-ს	3	2	2	
უ-კრავ-ს	4	2	1/2/3/4	(ომონიმური: კარგად უკრავს; კარგად უკრავს გიტარას, ის მას მას(ზე) ხელს უკრავს) ⁵

პატრონობს/უპატრონებს — ორივე ორვალენტია, ამიტომ შედიან ისინი ერთ პარადიგმაში.

ქართულში ფორმალურად ზმნამ შეიძლება ასახოს და მართოს სამ სახელზე მეტიც. ასეთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც სამადგილიანი ზმნისაგან ვაწარმოებთ სასხვისო ქცევის ფორმებს.

⁵ ამოსავალი ფორმა სამადგილიანია და სამვალენტია: /3/კრავს ის მას მას. უპრეფიქსი ერთით მეტ სახელს წარმოაჩენს.

მ-ა-კმევე-ს	3	2	3
მ-ი-კმევე-ს	4	2	4

მორფოლოგიურად ერთ-, ორ-, სამ-, და ოთხადგილიანი ზმნა ყოველთვის განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ოთხადგილიანი ზმნის წარმოქმნის საშუალებას ყველაზე ხშირად გვაძლევს შუალობითი კონტაქტის წარმოება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნას შეუძლია აჩვენოს, სუბიექტი თვითონ ასრულებს მოქმედებას თუ მოქმედება სხვა პირის მეშვეობით სრულდება. ამდენად, შუალობითი კონტაქტი ქართულში მორფოლოგიური კატეგორიაა, მისი მაწარმოებლებია აფიქსები: ინ, ევ, ევინ.

შუალობით კონტაქტიანი ზმნური ფორმები ამოსავალთან შედარებით ყოველთვის ერთი პირით მეტს წარმოაჩენენ, მათში შემოდის ახალი სახელი. ამგვარად, თუ ზმნა სამადგილიანია და სამვალენტიანი, ვიღებთ ოთხადგილიან და ოთხვალენტიან ფორმას.

მ-ა-წერ-ს	3	2	3
მ-ა-წერ-ინ-ებ-ს	4	2	4
მ-ტეხ-ს	2	2	2
მ-ა-ტეხ-ს	3	2	3
მ-ა-ტეხ-ინ-ებ-ს	4	2	4
მ-ჰამ-ს	2	2	2
მ-ა-ჰამ-ს	3	2	3
მ-ა-კმევეინ-ებ-ს	4	2	4

აქაც გვაქვს უტოლობა ზმნის ადგილიანობასა და ვალენტობას შორის:

მ-ა-წყენ-ს	3	2	2
მ-ა-წყენ-ინ-ებ-ს	4	2	2
მ-თხოვ-ს	3	2	3
მ-ა-თხოვ-ინ-ებ-ს	4	2	3

ვალენტობისა და ადგილის კლება. ზმნის ამოსავალ ფორმას შეიძლება ერთი ადგილი დააკლდეს ვნებითი გვარის წარმოების შემთხვევაში. მაგ.: „წერს“ ორპირიანი, ორადგილიანი და ორვალენტიანი ზმნაა. მას შეეწყობა სუბიექტი და ბრუნვაცვალებადი ობიექტი. როგორც ცნობილია, ვნებითი გვარის წარმოებისას აქცენტი კეთდება ობიექტზე. მოქმედება ფასდება ობიექტიდან ამოსვლით. საწყისი სუბიექტი ზმნის ფორმაში აღარ გამოიხატება და გვევლინება ვალენტობის შემქმნელი პოტენციალური სახელის როლში (ამ სახელის

შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ვნებითი გვარის წარმოებისას სათანადოდ იცვლება ზმნის მთელი სტრუქტურა, რომელსაც თან სდევს ი- პრეფიქსის გამოვლენა. მას აკისრია რეფლექსურობის ასახვა და ამოსავალთან შედარებით ერთით ნაკლებ სახელს ვარაუდობს [27, გვ. 104—123].

წერ-ს	2	2	2
ი-წერებ-ა	1	1	1
ხატავ-ს	2	2	2
ი-ხატებ-ა	1	1	1

აქაც გვაქვს შეუსაბამობის შემთხვევები ზმნის ადგილს, პირსა და ვალენტობას შორის.

ი-წერებ-ა	1	1	1 წერილი
	1	1	2 კაცი წერილს

მეორე ხმოვანი პრეფიქსი, რომელიც გვხვდება ვნებითი გვარის ფორმებში ე- მიუთითებს ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში და შესიტყვებაში ამოსავალ ფორმასთან შედარებით ერთით ნაკლები სახელის არსებობაზე. იგი ყოველთვის წინასწარმეტყველებს ბრუნე-უცვლელ ობიექტს.

უ-ხატავ-ს	3	2	3
ე-ხატებ-ა	2	2	2

ტოლობა ზმნის პირიანობას, ვალენტობასა და ადგილიანობას შორის აქაც ირღვევა:

ე-კითხებ-ა	2	2	3
ე-ცემ-ა	2	1	1
ე-მუქრებ-ა	2	2	3

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს დ-იან ვნებითებში.

ადგილიანობის კლებას იწვევს ი- პრეფიქსი სპსუბიექტო ქცევის ფორმებში. ამ შემთხვევაში პირის კლების მსზეზია ის, რომ სამადგილიანი ზმნის სუბიექტი და ირიბი ობიექტი სემანტიკურად ერთი და იგივე ოდენობაა. ი- პრეფიქსი კუთვნილების შინაარსითაც გვევლინება და რეფლექსურობასაც გამოხატავს. ეს ფორმები ამოსავლად სამადგილიან ზმნას გულისხმობენ. თანადობა აქაც ხშირად ირღვევა:

მ-ა-ცმევ-ს	3	2	3
ი-ცმევ-ს	2	2	2
მ-ა-მეფებ-ს	3	2	2
ი-მეფებ-ს	2	1	2/1

არაიშვიათია შემთხვევა, როდესაც ზმნურ ფორმაში ორი მორფოლოგიური კატეგორიაა გამოხატული. თუ აქედან ერთი პირის მატებას იწვევს, მეორე კლებას, ხდება ნეიტრალიზაცია და ზმნის ვალენტობა რიცხობრივად ამოსავალი ფორმის ვალენტობას უტოლდება. თუმცა მისი წარმოქმნის ისტორიაც და ზმნური ფორმაც ამოსავალი ფორმისაგან განსხვავებულია:

ხატავ-ს	2	2	2
უ-ხატავ-ს	3	2	3
ე-ხატებ-ა	2	2	2

ვალენტობის რიცხვით „ხატავს“ უდრის „ეხატებას“, მაგრამ წარმოქმნა ამ თანმიმდევრობით ხდება: ხატავს→უხატავს→ეხატება.

ვალენტობა და ირიბი და თანდებულისი ბრუნვები. ზემოთ განხილული, ზმნასთან დაკავშირებული ყველა სახელი სინტაქსურად და მორფოლოგიურად ცვლად ოდენობებს წარმოადგენენ. თითოეული მათგანი ადვილად იცვლის ფორმას და ფუნქციას: ან ერთი ფორმიდან მეორეში გადადის ან საერთოდ წყვეტს კავშირს ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურასთან და ოდენ მართულ სახელად ან თანდებულის ბრუნვად იქცევა. ამიტომ თუ ფრაზის სტრუქტურიდან ამოვალთ, ვნახავთ, რომ ზოგიერთ ირიბ ბრუნვას და თანდებულის ფორმას აქვს პოტენციური უნარი იქცეს ზმნასთან მორფოლოგიურად დაკავშირებულ სახელად. ასეთია, მაგალითად, მოქმედებითი ბრუნვა ინსტრუმენტალისის მნიშვნელობით:

„კაცი პურს ჭრის დანით“→„კაცი დანას პურს აჭრევინებს“.

2. ნათესაობითი ბრუნვა, კუთვნილებითი მნიშვნელობით:

„დედა კერავს ბავშვის კაბას“→„დედა ბავშვს კაბას უკერავს“.

შდრ.: „ხელოსანი აშენებს ხის სახლს“→„*ხელოსანი ხეს სახლს უშენებს“.

3. „თვის“ თანდებულისი ნათესაობითი:

„დედა კაბას კერავს ბავშვისათვის“
 „დედას კაბა შეუკერავს ბავშვისათვის“

{ „დედა ბავშვს კაბას უკერავს“

4. „მიერ“, „გან“ თანდებულისი სახელები აგენისის მნიშვნელობით:

„წერილი იწერება კაცის მიერ“→„კაცი წერილს წერს“.

ასეთ სახელურ ფორმებს (სათანადო სემანტიკით) ვალენტობის შემქმნელ პოტენციურ ფორმებს ვუწოდებთ.

ზმნური გარემოცვის მუდმივი, უცვლელი წევრი. ზმნასთან მორფოლოგიურად და სინტაქსურად დაკავშირებულ ფორმალურად და ფუნქციურად ცვლად სახელებს უპირისპირდება ზმნური გარემოცვის მუდმივი წევრი, რომელიც არ არის დამოკიდებული ზმნის ფორმალუბაზე:

მაგალითად:

მზარეული ქვაბში მარცხს ჩაყრის.
 მზარეულმა მარილი ჩაყარა.
 მზარეული კერძს მარილს ჩაყარის.
 მზარეული მარილს ჩაიყრის.
 მზარეული მარილს ჩაისყრევენებს დამხმარეს.
 მარილი ჩაისყრება მზარეულის მიერ.

ფორმა „ქვაბში“ ამ ზმნის სემანტიკასთან არის დაკავშირებული; მაგრამ არც უღვლილების, არც წარმოქმნის კატეგორიები მასში ცვლილებას არ იწვევენ. ის არის ნებისმიერი ზმნური ფორმის მუდმივი წევრი. ზმნურ ფორმასთან მისი კავშირის ფაქულტატური გამოხატულება არის პრევერბი, რომლის დართვაც ზმნაზე არ იწვევს არც ზმნის ადგილიანობის, არც ზმნაში წარმოდგენილ სახელთა ურთიერთმიმართების შეცვლას. ასეთ სახელებს შეიძლება ვუწოდოთ სუსტად მართული სახელები, ანუ ვალენტობის წარმომქმნელი ფაქულტატური სახელები (ტრადიციული „უბრალო დამატება“), ხოლო სათანადო მორფემებს ზმნაში — ფაქულტატური ადგილის წარმომქმნელი მორფემები.

შეიძლება განვაზოგადოთ: ყველა პრევერბიანი ფორმა, რომელიც გეზისა და ორიენტაციის კატეგორიას გამოხატავს, მოითხოვს ერთ ფაქულტატურ ადგილს ზმნასთან. ამ ადგილის შევსება ხდება თანდებულებიანი ბრუნვით, რომელიც ითვლება ფაქულტატური ვალენტობის შემქმნელ წევრად.

მაგალითად:

ამოყრის	2+/1/	2	2+/დან/
დაყრის	2+/1/	2	2+/ზე/
ჩაყრის	2+/1/	2	2+/ში/
ჩაყრის	3+/1/	2	3+/ში/

იგივე ითქმის ზოგ ირიბ ბრუნვაზე, რომელიც ზმნის სემანტიკითაა განსაზღვრული შესიტყვებაში:

დაყოფს	ის	მას	ნაწილებად
დაიყოფს	ის	მას	
დაუყოფს	ის	მას	მას
დააყოფინებს	ის	მას	მას
დაიყოფა	ის		

შეეჯამოთ ზმნური ფორმისა და შესიტყვების ადეკვატურად აღწერისათვის საჭირო განმარტებანი:

სინტაქსური ვალენტობა განისაზღვრება ენის განვითარების ამა თუ იმ დონეზე (ეტაპზე) ზმნის მიერ მართულ და ზმნურ შესიტყვებაში რეალურად დადასტურებულ სახელთა რაოდენობით (ზმნა ვარაუდობს როგორც ძირს, ისე მასზე დართულ მორფემებს).

ზმნის ადგილიანობა განისაზღვრება ზმნური ფორმის მიერ პოტენციურად ნავარაუდევ სახელთა რაოდენობით (ზმნაში დაპროგრამირებულ სახელთა რაოდენობით).

ზმნის პირიანობა განისაზღვრება ზმნაში პირის ნიშანთა საშუალებით გამოხატულ და უღვლილებაში მოწაწილე პირთა რაოდენობით.

ზმნის ფაკულტატური ვალენტობა განისაზღვრება ზმნის ძირის სემანტიკით მართულ, შესიტყვების მუდმივი წევრის საშუალებით.

ზმნის ფაკულტატური ადგილიანობა განისაზღვრება ზმნაში პრევერბით წარმოდგენილი სახელის საშუალებით.

ამგვარად, სამი ცნება სინტაქსური ვალენტობა, ადგილიანობა და პირიანობა მოიცავს იმას, რაც ადრე, ტრადიციულად, პირის კატეგორიის საშუალებით აღიწერებოდა. აღსაწერი ფაქტის ამგვარი დანაწევრება, ვფიქრობთ, ნათელს გახდის, რომ პირის კატეგორიაში სხვადასხვაგვარი მოვლენები ერთიანდებოდნენ და მათი გამიჯვნა მიზანშეწონილია.

როგორ მიმართებაშია ურთიერთთან ზმნური ფორმის წარმოქმნა და ვალენტობის კლება ან მატება? გამოდგება თუ არა მისი გათვალისწინება ვალენტობის დასადგენ ზუსტ კრიტერიუმად?

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს: „...დღევანდელ ქართულში პირთა რაოდენობის დასადგენად და მესამე პირის (სახელთა) გამოსაჩენად შეპირისპირების საშუალება გვაქვს: „ვაშენებ“ და „ვეუშენებ“ ყველაფრით ერთნაირი ფორმებია, მაგრამ ერთია განსხვავება „ვეუშენებ“ მეტია ვიდრე „ვაშენებ“. „ვეუშენებ მე მას სახლს“, მაგრამ „ვაშენებ მე სახლს“. მოემატა ირიბი პირის გავება, რომლის არსებობა ფორმაში უეჭველია (ეს პირი ცვალებადია) თუ „ვაშენებ“ ოპირიანია, ცხადია, რომ „ვეუშენებ“ საპირიანი იქნება [37, გვ. 195]. მცირე კორექტივით ჩვენ ვემყარებით ამ აზრს, ფორმათა შეპირისპირება, მარ-

თლაც ერთ-ერთი ძლიერი სადიაგნოსტიკო საშუალება არის ვალენტობის დასადგენად, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმები:

შრება — აშრება — აშრობს — აშრობინებს.

ამ ფორმებს მზარდი ვალენტობა ახასიათებს. ყველა წარმოქმნილი ფორმა ერთი სახელით მეტს შეიწყობს მისთვის ამოსავალ ფორმასთან შედარებით. ეს არის ზოგადი კანონი, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს, როდესაც წარმოქმნის პროცესში ამოსავალ და მისგან წარმოქმნილ ფორმათა ურთიერთობას ვარკვევთ (თუ ვადგენთ).

ტრადიციულად მიღებული იყო ამგვარი მიმართება: თბება→ათბობს. ამოსავალი ზმნა ერთპირიანია, წარმოქმნილი — ორპირიანი. ამოსავალი ზმნა გარდაუვალაა, წარმოქმნილი გარდამავალი. ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე ა- გარდამავლობის ნიშნად იყო მიჩნეული.

ახალი ინტერპრეტაციით ა- ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია, ზმნა გარდამავალია (შეეწყობა მოთხრობითი ბრუნვა), ე. ი. მას აუცილებლად უნდა ახლდეს პირდაპირი ობიექტი. მაშასადამე, ფორმალური ნიშნების მიხედვით (მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნების კომბინაციით) ეს ფორმა სამ სახელს ვარაუდობს ისტორიულად, სამადგილიანია. შეეწყობა კი ორი სახელი, ე. ი. დღეს იგი ორვალენტიანია. აქედან გამომდინარე, ისტორიულად არ შეიძლება ამგვარი მიმართების დამყარება თბება→ათბობს, საჭიროა აღდგეს შუამავალი რგოლი, გარდაუვალი ორპირიანი (ორვალენტიანი). ბევრ შემთხვევაში ასეთი ჭაჭვი მართლაც აღდგება:

შრება→აშრება→აშრობს→აშრობინებს.
თბება→ათბება→ათბობს→ათბობინებს.
ჰკნება→აჰკნება→აჰკნობს→აჰკნობინებს.
ღნება→აღნება→აღნობს→აღნობინებს.
ძღება→აძღება→აძღებს→აძღებინებს.

აღსანიშნავია, რომ ამ მაგალითებში არ შეიძლება ისრის შებრუნება. შრება, თბება, ჰკნება... ამოსავალ ფორმებს წარმოადგენს და არა მოქმედებითი გვარის კონვერსიულ ვნებითს. აქედან კიდევ ერთი არგუმენტი იმისათვის, რომ: 1. შრება, თბება, ღნება... ღინამიკური გარდაუვალი ზმნებია და არა ვნებითის ფორმები. 2. ა- არ არის გარდამავლობის ნიშანი. 3. გარდამავლობა მთლიანი ყალიბით განისაზღვრება და არა კონკრეტულად ა- ნიშნით.

წარმოქმნის თვალსაზრისით ამოსავალ ფორმებადაა მიჩნეული ე. წ. საშუალო გვარის ფორმები:

მეფობს→ამეფებს→¹გა¹მეფდება.

მხეცობს→ამხეცებს→¹გა¹მხეცდება.

ფიქრობს→აფიქრებს→¹და¹ფიქრდება.

თუ „ამეფებს“ სამადგილიანია, „მეფობს“ ორადგილიანი უნდა იყოს, რაც განამტკიცებს იმ აზრს, რომ აქ ივარაუდება ან დაკარგული ან შინაგანი ობიექტი. სწორედ ამიტომ მეორე სერიაში პარადიგმა ისეთი ფორმით ივსება, რომლებშიც ასევე დაკარგულია ან ივარაუდება შინაგანი ობიექტი, მაგრამ რომლის ფორმალური ნიშანი ზმნაში შერჩენილია ან იმთავითვე იყო ი- პრეფიქსის სახით. „იმეფა“, „იფიქრა“, „იმხეცა“... უფრო რთულია „ამეფებს“ ფორმის კონვერსიული „მეფდება“ ფორმის ინტერპრეტაცია. „ამეფებს“ უნდა გვაძლევდეს „ამეფდებას“ და არა „მეფდება“-ს, შესაბამისად უნდა გვქონოდა „აფიქრდება“, „ამხეცდება“, ... რიგ შემთხვევაში ეს მართლაც დასტურდება.

სინქრონიულ დონეზე თანადობა არ არის დარღვეული თუ ვალენტობის მიხედვით ვიმსჯელებთ:

მეფობს (1)→ამეფებს (2)→ მეფდება (1).

ხოლო თუ მორფოლოგიურ სტრუქტურას აღვადგენთ, უნდა გვქონოდა:

მეფობს (2)→ამეფებს (3)→¹კ¹ამეფდება (2)→მეფდება (1).

ან:

მეფდება ორადგილიანად და ორვალენტიანად უნდა მივიჩნიოთ და შინაგან ირიბ ობიექტად უნდა ვივარაუდოთ „მეფე“. „მეფდება“ — „მეფე ხდება“.

ასევე ორადგილიანია „მეფობს“ $S=O^{10}$.

აუცილებელი არ არის ამოსავალი ფორმა ერთადგილიანი იყოს:

იწერება (1)←წერს (2)→აწერს (3)→ეწერება (2).

იხატება (1)←ხატავს (2)→ახატავს (3)→ეხატება (2).

იკმევა (1)←კმავს (2)→აკმევეს (3)→ეკმევა (2).

ინგრევა (1)←ენგრევა (2)←ანგრევეს // უნგრევეს (3).

ვალენტობის მიხედვით აშკარად „ანგრევეს“ ძირითადად ორვალენტიანია, „უნგრევეს“ — სამვალენტიანი, ამიტომ მათ შორის ასეთი მიმართება მყარდება ანგრევეს→უნგრევეს. ეს, როგორც აღვნიშნეთ, იმითაა გამოწვეული, რომ სინტაქსური ვალენტობა შესიტყვების

სტრუქტურას ასახავს, ადგილიანობა ზმნის მორფოლოგიას ითვალის-
წინებს. ზმნის ფორმა ჩამორჩება შინაარსს. ამის მაგალითები უხვადაა
როგორც ძველ ისე ახალ ქართულში.

ფორმალური კრიტერიუმიდან ამოსვლით ძალზე იზრდება ოთხ-
ადგილიან ზმნათა რიცხვი ქართულში. ესაა ა- პრეფიქსიან გარდამა-
ვალ ზმნათა კაუზატივის ფორმები.

როგორ დგას უ- პრეფიქსიანთა საკითხი?

დასაშვებია ორგვარი მიმართება:

ხატავს → { → ახატავს
 → უხატავს

ან: ხატავს → ახატავს → უხატავს: „ახატავს სურათს კედელს//ზე“;
„ის მას სურათს უხატავს კედელს//ზე“. მეორე შემთხვევაში უ- პრე-
ფიქსიანი გარდამავლებიც ოთხადგილიანად უნდა იქნეს ინტერპრეტი-
რებული, როგორც ტრადიციულად „აჰმევს — „უჰმევს“ ფორმისა-
თვის ივარაუდება. მაგრამ მაშინ რა იქნება „უხატავს“ „უჰმევს“
ფორმათა ვნებითები? „უხატება“, „უჰმევია“ ხომ ორადგილიანი და
ორვალენტური არიან და „ახატავს“, „აჰმევს“ ფორმებს ენაცვლე-
ბიან?

როგორც ცნობილია, არსებობს სამადგილიანი ვნებითები: „ეკი-
თხება ის მას მას ← უკითხავს (ის მას სხვისთვის რაიმეს კითხავს),
მაგრამ ყველა ოთხადგილიან ზმნასთან შესაბამისი სამვალენტური
ფორმა არ დასტურდება.

როგორც აღვნიშნეთ, ვალენტობა სინქრონული დონის ცნებაა,
ადგილიანობის დადგენისას დიაქრონია იჩენს თავს. ისინი ფორმათა
სხვადასხვაგვარ მიმართებას ვარაუდობენ. რომელი მათგანი უნდა
იყოს ამოსავალი სინქრონული გრამატიკის აგების დროს? თანამედ-
როვე დონეზე, ვალენტობის თვალსაზრისით, „აშენებს“ — „უშენებს“
შეიძლება ერთმანეთის მიმართ ამოსავალ და წარმოქმნილ ფორმებად
მივიჩინოთ, მითუმეტეს, რომ „აშენებს“ ზმნას თავისი დადასტურე-
ბული ამოსავალი ფორმა არ გააჩნია. ადგილიანობის მიხედვით დახა-
სიათებისას კი ისინი პარალელურ ფორმებად გაიგება. ეს კი მეტყვე-
ლის ინტუიციას ეწინააღმდეგება, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ,
ა. შანიძის აზრით, „უშენებს“ მეტია, ვიდრე „აშენებს“.

შეიძლება დავასკვნათ, აღწერითი გრამატიკისათვის მაინც ვალენ-
ტობა უნდა იყოს წამყვანი და არა ადგილიანობა. თუმცა აუცილებე-
ლია უკანასკნელის მიხედვითაც მოხდეს ფორმათა ანალიზი და ინ-
ტერპრეტაცია.

ზმნის პირთა რაოდენობის განსაზღვრა ქართულში სიძნელეს არ

წარმოადგენს. ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს ცალსახად განვსაზღვროთ რამდენ პირიანია ზმნა. იგივე არ შეიძლება ითქვას ვალენტობაზე. აქტანტების ფორმას (სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტების გამორიცხვით) უმთავრესად ზმნის სემანტიკა განსაზღვრავს. ზმნის მიერ მართული ესა თუ ის ფორმა ერთი კონკრეტული სემანტიკის ზმნასთან შეიძლება ფაქულტატიურ აქტანტს წარმოადგენდეს და წინადადებაში უბრალო დამატების როლში გვევლინებოდეს, სხვა სემანტიკის ზმნებთან კი იგი გარემოების როლში გვევლინებოდეს. ამგვარ შემთხვევაში განსხვავებას გარემოებასა და ფაქულტატიურ აქტანტებს შორის მეტყველი ინტუიციით გრძნობს, მაგრამ ფორმალური კრიტერიუმები მათ გასამიჯნავად ჯერჯერობით ენათმეცნიერებაში არ ჩანს⁶.

სასკოლო გრამატიკებში უბრალო დამატებისა და გარემოებათა გასამიჯნავად ერთ-ერთი საშუალებაა კითხვის დასმა. მაგრამ ცალსახა ინტერპრეტაციას ეს მეთოდი ვერ უზრუნველყოფს. მაგალითად, წინადადებაში „კაცი ზის მაგიდასთან“ წინადადების წევრს „მაგიდასთან“ შეიძლება დავუსვათ კითხვა „სად ზის კაცი?“ და შესაბამისად წინადადების მოცემული წევრი მიიღებს ადგილის გარემოების კვალიფიკაციას, ხოლო თუ დავსვამთ კითხვას „რასთან ზის კაცი?“ შეიძლება წინადადების მოცემული წევრი უბრალო დამატებად ჩავთვალოთ [19, 21].

ზოგ ენაში (მაგ., რუსულში) ვალენტობის განსაზღვრის კრიტერიუმად იყენებენ ძლიერი და სუსტი მართვის ცნებას. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ძლიერი და სუსტი მართვის ცნება არ გამოიყენება, მაგრამ ეს ცნება თვით რუსულშიც ვერ უზრუნველყოფს ცალსახა შედეგს. რიგ შემთხვევაში ძნელი დასადგენია, ესა თუ ის სახელური ფორმა ძლიერად იმართვის მოცემული ზმნისაგან თუ არა; აქაც კონკრეტული ზმნის სემანტიკაა განმსაზღვრელი [53].

ზმნის ვალენტობის დასადგენად ფორმალური კრიტერიუმის ძიებისას ბუნებრივია დაისვას კითხვა: 1. რა ურთიერთობაა ზმნის აუცილებელ აქტანტს და კონკრეტულ წინადადებაში მისი გამოვლენის სიხშირეს შორის? შესაძლებელია თუ არა და თუ კი, მაშინ რა კანონზომიერებას ექვემდებარება აუცილებელი აქტანტის გამოტოვება ქართული ენის წინადადებაში (შესიტყვებაში)? შევნიშნავთ, რომ ზოგ ენაში სწორედ ეს პროცედურა გამოიყენება ზმნის ვალენტობის დასადგენად. 2. როგორია სიხშირული მიმართება, ერთი მხრივ, ზმნის

⁶ ანალოგიური პრობლემა დგას რუსულში: რიგ შემთხვევაში „დამატებათა“ და „გარემოებათა“ გამოიყენა ძნელდება. ა. სილნიცი ამ საკითხს გრამატიკის „დაწყველილ საკითხს“ უწოდებს [115].

მიერ მართულ და, ამავე დროს, ზმნაში ფორმალურად ასახულ აქტანტებსა და, მეორე მხრივ, მხოლოდ მართულ აქტანტთა შორის (რომელნიც ზმნაში პირს არ აჩენენ). 3. მოქმედებს თუ არა პირთა მატება ან კლება ზმნაში (ისეთი მორფოლოგიური კატეგორიების გამოხატვის საშუალებით, როგორცაა ქცევა, კონტაქტი და გვარი) წინადადებაში ამ ზმნის მიერ მართულ სახელთა გამოვლენაზე?

ამ საკითხთა კვლევისას შევისწავლეთ კონკრეტულ ზმნათა დისტრიბუცია თანამედროვე ქართულში. საანალიზოდ ავიღეთ უხშირეს ზმნათა გარემოცვები, რათა გამოგვევლინებინა გარემოცვის მუდმივი ან ხშირად ხმარებული წევრი. ამასთან ამოვედით ერთპირიან, ორპირიან და სამპირიან ზმნებად ტრადიციული დაყოფიდან და შესაბამისად შევისწავლეთ მათი გარემოცვები [11]⁷.

მრავალრიცხოვანი მაგალითების განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნაში ასახულ აქტანტთა სინშირული იერარქია შემდეგ სურათს გვაძლევს: ერთპირიან ზმნასთან ყველაზე ხშირია სუბიექტი, ორპირიანთან, გარდამავალი იქნება იგი თუ გარდაუვალი, ობიექტის სინშირე ხქარბობს სუბიექტის სინშირეს, ხოლო სამპირიან ზმნასთან პირდაპირი ობიექტის სინშირე სქარბობს სუბიექტისა და ირიბი ობიექტების სინშირეებს. უკანასკნელი ორის სინშირე თითქმის ერთმანეთს უტოლდება. ეს კანონზომიერება არ ირღვევა იმისდა მიუხედავად, ზმნის წარმოქმნილ ფორმასთან გვაქვს საქმე თუ ამოსავალთან (წარმოქმნის კატეგორიათა თვალსაზრისით ნეიტრალურ ფორმასთან). მეორე მხრივ, თუ ერთმანეთს შევედარებთ აქტანტთა იერარქიას ამოსავალ და წარმოქმნილ ფორმებთან, ცხადად შეიმჩნევა გარკვეული ტენდენცია. სინშირული შეფარდება აქტანტთა შორის იცვლება. ჩვენ შევისწავლეთ აქტანტთა სინშირული იერარქია ვნებითი გვარისა და კაუზატივის ფორმებთან. ქვემოთ დავახასიათებთ ამ ზმნათა სინტაქსურ გარემოცვებს.

ვნებითი გვარი: ვაჟა-ფშაველას მიერ ნახმარ უხშირეს ზმნათა სიაში ვნებითი გვარის ფორმებს შედარებით მცირე რაოდენობით ვხვდებით. უფრო ხშირია ე. წ. უნიშნო ვნებითების ფორმები: მოკვდება — 363, დარჩება — 297, ადგება — 218, დადგება — 145, გაქრება — 103, ხდება — 90, მორჩება — 80, წამოღება — 77, გადმოღება — 72, დაჯდება — 88, ჩაუარდება — 61, გაძლება — 58... ნიშნიან ვნებითთაგან უხშირესია: გამოჩნდება — 163, იქცევა — 116, თავდება —

⁷ მასალად გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტში დაცული ვაჟა-ფშაველას სიმფონიური ლექსიკონის ფონდი და, ნაწილობრივ, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი).

94, გაჩნდება — 98, გაჩუმდება — 90, იპოვება — 50, იტანჯება — 21. იმალება — 34.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში იშვიათად გვხვდება კონსტრუქციები, სადაც ივარაუდება კონვერსია და ამოსავალი ფორმის სუბიექტი „მიერ“ თანდებულთაა წარმოდგენილი; ასეთი სახის სულ რამდენიმე წინადადებაა:

„ბუნებას ეს თავხედობა ჩემ მიერ როგორ დაეთმოს?“. I, 380.

„...როცა დაშინებულნი და შეძრწუნებულნი იქნებიან ჩვენ მიერ“.
III, 502, 40.

„მის მიერ საწყლებს ბნელი ღლე გადაექცევათ მზიანად“. II, 290.

„ასეთი მწერლობა იმას არღვევს, ჰფუშავს განა ახლა, იმთავითვე, როდესაც ჩვენში რუსულად გაზეთი გამოიცა ქართველის მიერ“; V, 265, 10. ზოგჯერ „მიერ“ თანდებულს ენაცვლება „გან“ თანდებული. „გალაღებული მტერი დამარცხდეს უნდა ორლუანს, ღვთისაგან ითქვა?“.

დასახელებულ მაგალითებში წარმოდგენილია როგორც კონვერსირებული ფორმის სუბიექტი (ამოსავალი ობიექტი), ისევე ამოსავალი კონსტრუქციის სუბიექტი, რომელიც თანდებულთან ბრუნვაში გადადის და ზმნაში უკვე აღარ აისახება. მაგრამ ასეთი შემთხვევები როგორც ვაჟასთან, ისე საერთოდ ქართულში იშვიათია. უმრავლეს შემთხვევაში ვნებითთან მხოლოდ სუბიექტია წარმოდგენილი. ვნებითი გვარის ზმნათა დისტრიბუციის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათთან სუბიექტის ხმარების სიხშირე აღემატება ძირეულ ზმნასთან (ივარაუდება პირთა რაოდენობის მიხედვით იგივეობრივი ზმნები) სუბიექტის ხმარების სიხშირეს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: „გათავდება“ ზმნა ვაჟასთან გვხვდება 75-ჯერ, ხოლო ფორმა „გათავდა“ 59-ჯერ. აქედან მხოლოდ რამდენიმე წინადადებაში არ არის სუბიექტი დასახელებული. 15 შემთხვევაში მყარი შესიტყვება გვაქვს „მორჩა და გათავდა“ (მაგალითად: „ამითი როდი გათავდა ამ ცეცხლის ზღვასთან ომია“; „ცოლ-ქმრის საუბარი მშვიდობიანად გათავდა“; „ერთ წამში გათავდა ცოტიას სიცოცხლე“; „აი როგორ გათავდა ბაგრატ ზახარისის სიცოცხლე“; „ბრძოლა გათავდა“; „საქმე ერთის თვალის დახამ ხამებანზედ გათავდა“; „სამი წლის შემდეგ ბრძოლა გათავდა“; „როცა გათავდა სიმღერა“; „ამით გათავდა მეჭლისი“; „ფული გათავდა“; „როცა წირვა გათავდა“;...) „თავდება“ ზმნა დადასტურებულია 8-ჯერ; აქედან სუბიექტი 7 შემთხვევაში წარმოდგენილია („მიწურულია, თავდება უამი ზაფხულისა ორისა“; „ამით თავდება ჩივილი ძმისა“; „ვად იჯრისა თავდება“; „თავდება წყალია“; „საქმე არ თავდება“...), იგივე ითქმის ამ ზმნის სხვა ფორმებზეც, სადაც თითო-ორჯერ გამოიყენა

სის გარდა, სუბიექტი ყველგან დადასტურებულია, I და II პირშიც კი (მაგ.: „ვეკვდები, მიშველე ძმაო, გავთავდი კაცი“; „ვეკვდები, გავთავდი კაცი“). ამ ზმნასთან ირიბ ბრუნვათაგან გამოიყოფა მოქმედებითი, იგი ამ ზმნის გარემოცვაში 13-ჯერ შეგვხვდა.

ამავე ძირის ორპირიანი ფორმა „ათავენს“ 8-ჯერ შეგვხვდა, აქედან სუბიექტი მხოლოდ ერთჯერ დადასტურდა („ამ ანდაზით ათავენს ჩაღბო ბერიკაცთან ბაასს“), ხოლო ობიექტი წარმოდგენილია რვაჯერვე. მოქმედებითი ბრუნვა კი — 3-ჯერ. პრევერბიანი ფორმა „გაათავენს“ დადასტურებულია 69-ჯერ, მასთან სუბიექტი წარმოდგენილია 18-ჯერ; ობიექტი — 53-ჯერ. ამ შემთხვევაშიც დიდი ადგილი უჭირავს მყარ შესიტყვებას „მორჩი და გაათავე“; „თქვი და გაათავე“.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირდაპირ ბრუნვებს, რომელთა რაოდენობა წარმოქმნის კატეგორიათა ცვალებადობის მიხედვით იცვლება, „გათავენა“ ზმნასთან ერთ-ერთი ხშირი ბრუნვა აღმოჩნდა მოქმედებითი. „თავლება-გათავლება“, „ათავენს — გაათავენს“ — „რით?“

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ორპირიან ვნებითი გვარის ფორმებში, რომლებიც შესაბამის სამპირიან ზმნათა კონვერსიას წარმოადგენენ, სუბიექტის სინშირე აღემატება ობიექტის სინშირეს. ორპირიანი გარდაუვალი ამოსავალი ფორმის ზმნასთან სუბიექტისა და ობიექტის სინშირული მიმართება შემდეგნაირია: სუბიექტი — 39%, ობიექტი — 88%, ხოლო ორპირიან ვნებითში მიმართება იცვლება: სუბიექტი — 65%, ობიექტი — 40%.

ვნებითი გვარის ფორმებთან სუბიექტის გამოვლენის სინშირის ზრდა შეიძლება შემდეგი გარემოებით აიხსნას: როგორც ორპირიან და სამპირიან ზმნებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, წინადადებაში ძირითადი ცვლადი და ახალი ინფორმაციის მატარებელი არის პირდაპირი ობიექტი. ეს აუცილებელი ინფორმაცია შენახულია მაშინაც, როდესაც ვნებითად კონვერსია ხდება. მხოლოდ იგი სახეს იცვლის და გრამატიკული ობიექტიდან იქცევა გრამატიკულ სუბიექტად. ამოსავალი კონსტრუქციის გრამატიკული სუბიექტი კი, რომელსაც ამოსავალ წინადადებაშივე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, გადადის ირიბ ბრუნვაში და უმრავლეს შემთხვევაში მთლიანად ტოვებს წინადადებას, როგორც ქარბი.

კაუზატიური ფორმები: ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში კაუზატიური ფორმები საერთოდ იშვიათად გვხვდება. დადასტურებულია სულ 400-მდე ერთეული. ერთი და იმავე ფორმის გამეორება კიდევ უფრო იშვიათია და ხშირ შემთხვევაში არ აღემატება 10-ს. ამიტომ ჩვენ შევისწავლეთ სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტების იერარქია ყველა კაუზატიურ ფორმასთან.

როგორც ცნობილია, კაუზატიური ფორმა ჩვეულებრივ სამპირიანია. სამპირიანი ზმნა ასეთ სურათს გვიჩვენებდა: სუბიექტი და ირიბი ობიექტი ერთ დონეზე დგანან. პირდაპირი ობიექტის სიხშირე მნიშვნელოვნად აღემატება მათ სიხშირეს. კაუზატიური ფორმების გარემოცვის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სუბიექტისა და ირიბი ობიექტის სიხშირეები მნიშვნელოვნად დაშორდა ერთმანეთს, ირიბი ობიექტის სიხშირე გაიზარდა, მაგ., ვაქასთან დადასტურებულია 386 კაუზატიური ფორმა. აქედან სუბიექტი ზმნათა გარემოცვაში დადასტურებულია 64-ჯერ, ირიბი ობიექტი — 141-ჯერ, ხოლო პირდაპირი ობიექტი — 268-ჯერ („უფალმა ბრძანა, რას იზმენ, თუნდ ალოცეინონ მოლასა“, „ლოდებს ხმას ვერ ამოვალეზინებ“, „ამოაყოფინა უბედურს ულრანს ტყეში თავები“, „რაზე აშლეინებ და ანგრეინებ მა წისქვილს ქვეყანას“, „ჩემს ამავს რად აფუქებინებ იმ ტიალს“, „შვილებს კი ავაცქვეტინებ ყურებსა“, „მთებს ქედს ახრევიინებდა...“).

საეარაუდოა, რომ აქტანტთა სიხშირული მიმართების ამგვარი ცვლა შემდეგი გარემოებითაა გამოწვეული: კაუზაცია იწვევს ახალი აქტანტის, ჩვეულებრივ ირიბი ობიექტის, გაჩენას ზმნურ შესიტყვებაში. ეს ახალი წევრი კი თითქმის ყოველთვის დასახელებულია წინადადებაში.

ჩვენ მიერ შესწავლილი ყველა ძირითადი (წარმოქმნის კატეგორიათა თვალსაზრისით ნეიტრალური) და წარმოქმნილი ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნების გარემოცვა სუბიექტის. პირდაპირი და ირიბი ობიექტების გამოვლენის თვალსაზრისით შეიძლება ცხრილის სახით წარმოვადგინოთ, სადაც თითოეულ ზმნასთან აქტანტის გამოვლენის სიხშირე პროცენტულად არის დაანგარიშებული, ხოლო შემდეგ გამოთვლილია მათი საშუალო არითმეტიკული.

ძირითადი ფორმები	ზმნათა ჯგუფები	S	O ირ.	O პირ.
	ერთპირიანი	64%		
	ორპირიანი (გარდამ.)	40%		74%
	ორპირიანი (გარდაუვ.)	39%	88%	
	სამპირიანი	20%	30%	70%
წარმოქმნილი ფორმები	ერთპირიანი (ენებითი)	91%		
	ორპირიანი (ენებითი)	65%	40%	
	სამპირიანი (კაუზატივი)	30%	60%	80%

ზმნასთან წარმოდგენილ აქტანტთა სიხშირული იერარქიის ასახვას ნელადა შეიძლება შემდეგი ვარაუდის გამოთქმა: 1. სუბიექტი ზმნაში ყოველთვის გარკვეული ნიშნითაა წარმოდგენილი. ეს განაპირობებს მისი შედარებით ნაკლები სიხშირით გამოვლენას ზმნის გარემოცვაში. ერთპირიან ზმნებთან მისი მაღალი სიხშირე აიხსნება იმით, რომ იგი ერთადერთი აქტანტია წინადადებისა, მის გამოვლენას ხელს არაფერი არ უშლის, წინადადების სიგრძე თავისთავად ზმნის სტრუქტურის გამო შეზღუდულია. ვნებითი გვარის ზმნებთან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სწორედ სუბიექტია აქტიური, მნიშვნელოვანი წევრი წინადადებისა, იგი კონვერსიის შედეგადაა სუბიექტის პოზიციაში წარმოდგენილი.

ორპირიან ზმნებში, როგორც პირდაპირი ისე ირიბი მიმართების დროს, პირის ნიშანი პირველსა და მეორე პირში გვაქვს მხოლოდ. მესამე პირში პირდაპირ ობიექტს ნიშანი არა აქვს, „უნიშნობაა მისი ნიშანი“, ხოლო ირიბი ობიექტის ნიშნის (ჰ/ს/0) ხმარება ძალზე შეზღუდულია და აღრეული (ამას განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას ტექსტები გვიჩვენებენ). სავარაუდოა, რომ მას უკვე აღარა აქვს მკიდრო კავშირი წინადადებაში სათანადო წევრთან და ხშირად სხვა ფუნქციით იხმარება. შეიძლება ეს იყოს მიზეზი, რომ ორპირიან ზმნებში ირიბი ობიექტისა და პირდაპირი ობიექტის გამოვლენის სიხშირე ერთმანეთს უტოლდება და ბევრად აღემატება სუბიექტის სიხშირეს. გამონაკლისს წარმოადგენს ორპირიანი ვნებითი, ამ ფაქტის სავარაუდო ახსნა ზემოთ იყო წარმოდგენილი.

სამპირიან ზმნაში, სადაც პირდაპირი ობიექტი ყველაზე ხშირად მესამე პირის ფორმითაა მოცემული, იგივე მიზეზი შეიძლება დავასახელოთ წინადადებაში მისი გამოვლენის მაღალი სიხშირის ასახვას ნელადა. ეს გარემოება განამტკიცებს თვალსაზრისს, რომ წინადადებაში აქტანტის გამოვლენის სიხშირესა და ზმნაში მის ასახვას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა. რამდენადაც ძლიერადაა სახელი წარმოდგენილი ზმნაში, იმდენად ნაკლები სიხშირით გამოვლინდება იგი წინადადებაში.

პირდაპირი ობიექტის შემთხვევაში შესაძლებელია კითხვა შებრუნებითაც დავსვათ: პირდაპირი ობიექტი ზმნაში შეიძლება სპეციალური ნიშნით არ აისახა იმის გამო, რომ იგი წინადადებაში ყოველთვის იყო წარმოდგენილი, როგორც ყველაზე ცვლადი ინფორმაციის მატარებელი და ზმნაში სპეციალური ნიშნით მისი წარმოდგენა გარკვეულ ენობრივ სიჭარბეს გამოიწვევდა. შესაძლოა ამ გარემოებამვე განაპირობა მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნის ხმარების შესუსტება? ამ საკითხებზე პასუხის გაცემა წინამდებარე ნაშრომის ფარგ-

ლებს სცილდება. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ქართულ ზმნაში აქტანტის ასახვასა და წინადადებაში მის გამოვლენას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ლებულება „რაც უფრო ძლიერია ზმნაში სახელის ასახვა, იმდენად ნაკლებია წინადადებაში მისი გამოვლენა“ ყოველთვის სამართლიანი არ არის, სახელდობრ, ენებითი გვარის ზმნებთან.

ზმნასთან ოდენ მართული სახელების — ირიბ და თანდებულიან ბრუნვათა ხმარება შემდეგ სურათს გვიჩვენებს: ზოგჯერ ირიბი და თანდებულიანი ბრუნვის ხმარების სიხშირე ამა თუ იმ ზმნასთან აღემატება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის ხმარების სიხშირეს. მაგალითად, „ტკბება“ ზმნასთან სუბიექტის გამოვლენის სიხშირე 44%-ს უდრის, ხოლო მოქმედებითი ბრუნვა 90%-ითაა წარმოდგენილი „ტკბება“ — „რით“; ზმნასთან „ეშინია“ სუბიექტის შეხვედრის სიხშირე არის 20%, ხოლო ნათესაობითი ბრუნვის სიხშირე 40%-ს უდრის. ზოგ შემთხვევაში უბრალო დამატების სიხშირე 100%-მდე აღწევს. მაგალითად, ზმნის „იხატება“-ს გარემოცვაში (მნიშვნელობა: „გამოიხატება“) „ში“ თანდებულიანი ფორმა 100%-ითაა დადასტურებული; ხოლო ამავე „იხატება“ ფორმასთან (მნიშვნელობა: „დაიხატება“) მოცემული ფორმა არც ერთჯერ არ გვხვდება. ცხადია, ასეთი განსხვავება გარემოცვაში ზმნური ფორმის სემანტიკით არის განპირობებული. ჩვენ მიერ განხილულ სხვა შემთხვევებში კი ირიბი და თანდებულიანი ბრუნვების ხშირი ხმარება ოდენ ზმნის ძირის სემანტიკით არის განპირობებული, მათი მაღალი სიხშირე მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ფაქულტატური აქტანტებს წარმოადგენენ მოცემულ შემთხვევებში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ აუცილებელი აქტანტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის მისი ხშირი გამოვლენა ზმნის გარემოცვაში. აუცილებელი აქტანტის ზმნაში ასახვის ფაქტი ამცირებს ზმნის გარემოცვაში მისი გამოვლენის ალბათობას, მისი სიხშირე, ნაკლებია გარემოცვის ფაქულტატური წევრების სიხშირეზე. როგორც ჩანს, ზმნის გარემოცვაში ხშირი ხმარება არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა ზმნის აუცილებელი და ფაქულტატური აქტანტის ცალსახად გამოსავლინებლად.

ტექსტი გარკვეულ გავლენას ახდენს აქტანტების, განსაკუთრებით პირის ნაცვალსახელებით გამოხატულ აქტანტთა გამოვლენის სიხშირეზე. ამ თვალსაზრისით ქართული ენის მასალაზე დაკვირვება საინტერესო სურათს გვაძლევს.



§ 1. პირის ნაცვალსახელთა ერთი ფუნქციონირების ტექსტი

ტრადიციულად მიმართება „ქვემდებარე — შემასმენელი“ ძირითადი სინტაქსური მიმართება იყო წინადადებაში (და არსებითად ასევე ძირითად მიმართებად რჩება თანამედროვე სინტაქსშიც). იგი თითქმის ყველა ენაში გამოიყოფოდა და ლოგიკური მიმართების „სუბიექტი — პრედიკატი“ ანალოგს წარმოადგენდა. დიდი ხანია შემჩნეული, რომ არ არსებობს ამ ცნებათა (ქვემდებარე — შემასმენელის) მკაცრი, ცალსახა განსაზღვრა. კონკრეტულ ენათა სინტაქსური (სტრუქტურული) თავისებურებები გარკვეულ სიძნელეს ქმნიან ამ ცნებათა დეფინიციას. ენობრივი ფორმიდან ამოვალთ თუ შინაარსიდან, ერთი და იმავე სიძნელის წინაშე ვდგებით. ოდენ ფორმალური განსაზღვრა წინადადებას ვერ ფარავს, შინაარსობრივი დეფინიცია კი არც გრამატიკულია და არც ცალსახა და მკაცრი. გარკვეული თვალსაზრისით ვერც ფორმალურ-სემანტიკური განსაზღვრა უძლებს კრიტიკას. ამის მიზეზი ცხადია: ენაში ფორმასა და შინაარსს შორის არ არსებობს ურთიერთცალსახა მიმართება. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ შეიქმნა ისეთი ცნებები, როგორცაა რეალური და გრამატიკული (მორფოლოგიური) სუბიექტი და ობიექტი, შემოვიდა ინვერსიის ცნება, ბოლო ხანებში ენათმეცნიერებაში საკმაოდ გავრცელებული და სიღრმეული და ზედაპირული სტრუქტურების გამოყოფა და სხვა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თანამედროვე ენათმეცნიერებაში დიდი ყურადღება ექცევა ფრაზის (წინადადების) ფუნქციონალურ დატვირთვას. ფრაზაში ხდება ძველი და ახალი ინფორმაციის, თემისა და რემის დიფერენციაცია. ესა თუ ის წევრი გამოყოფილია კონტრასტულობის, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის თვალსაზრისით და ა. შ.

უ. ჩეიფი ნაშრომში „მოცემული, კონტრასტული, განსაზღვრული, ქვემდებარე, ტოპიკი და თვალსაზრისი [140] აღნიშნავს, რომ წინადადებაში კონკრეტულ სახელს გარდა ფორმალური (ბრუნვით გამოხატული) სტატუსისა აქვს სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც მეტყველის მიერ აირჩევა კონკრეტულ სიტუაციაში მსმენელის შემეცნების გათვალისწინებით. განხილული არის ექვსი ასეთი სტატუსი. იგი არ უდრის იმ ფუნქციონალურ როლს, რომელსაც სახელი ასრულებს ზმნურ შესიტყვებაში და რომელსაც ფილმორის შემდეგ სიღრმეული ბრუნვები ეწოდება, თუმცა, ჩეიფის აზრით, მათ შორის გარკვეული მსგავსება არსებობს [140, გვ. 278].

1. მოცემული (ანუ ძველი) ინფორმაცია არის ის ცოდნა, რომელიც მეტყველის ვარაუდით, იმყოფება მსმენელის შემეცნებაში გამონათქვამის წარმოთქმის მომენტში ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური კონტექსტის გათვალისწინებით. ახალი ინფორმაცია არის ის, რასაც მეტყველი ატყობინებს მსმენელს. ენათა უმრავლესობაში მოცემული ინფორმაცია წარმოითქმის დაბალი ტონით, სუსტი მახვილით. ამავ დროს, ნაცვალსახელით გამოიხატება მხოლოდ მოცემული ინფორმაცია. ზოგ ენაში (მაგ., იაპონურში) ძველი და ახალი ინფორმაციის გადმოსაცემად სპეციალური ნაწილაკი გამოიყენება.

გაბმულ ტექსტში (მეტყველებაში) გარკვეული დროის შემდეგ ხდება მოცემულის გამეორება, რადგან მეტყველი ფიქრობს, რომ მსმენელმა უკვე დაივიწყა ადრე ნათქვამი და ცდილობს აღადგინოს იგი მსმენელის მეხსიერებაში. ამდენად მოცემული არის სტატუსი, რომელსაც ადგენს მეტყველი⁸.

2. მეორე ფუნქცია, რომელიც ეკისრება სახელს წინადადებაში, არის კონტრასტულობის გადმოცემა. მოცემულისაგან განსხვავებით კონტრასტულობა ხასიათდება სამი ფაქტორით: 1. აუცილებელია მეტყველსა და მსმენელს ჰქონდეთ ცოდნის საერთო ფონი, რომელიც მოცემულის ტოლფასია. 2. კონტრასტულობის გადმოსაცემად აუცილებელია შესაძლო კანდიდატთა სიმრავლე (მაგ., თუ ვაშობთ „ივანემ ააშენა სახლი“, ივარაუდება, რომ სახლი შეიძლება აეშენებინა პეტრესაც და პავლესაც). 3. აუცილებლად უნდა არსებობდეს კონტრასტულობის ფოკუსი. ე. ი. ყველა შესაძლო კანდიდატიდან ერთზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ემპირიული წესი: კონტრასტულობის ფოკუსის შემდეგ შეიძლება ჩავსვათ გამონათქვამი „და არა“; „სახლი ააშენა ივანემ (და არა პეტრემ)“. წინადადებაში შეიძლება გვექონდეს ერთზე მეტი კონტრასტულობის ცენტრი. ნაცვალსახელი, რომელიც ძველ (მოცემულ) ინფორმაციას გადმოსცემს, შეიძლება იქცეს კონტრასტულობის ცენტრად სხვა დამატებითი პირობების დაცვით. ოდენ ნაცვალსახელი კონტრასტულობას ვერ გამოხატავს, ამიტომ მოცემული ინფორმაცია და კონტრასტულობა იდენტური არ არის.

კონტრასტულობის გამოსახატავად გამოიყენება ინტონაცია, მახვილი, რამდენადმე სიტყვათა რიგი და ზოგ ენაში, სადაც ზმნური სტრუქტურის საფუძველზე „მოცემული“ გამოხატულია ზმნაში, დამოუკიდებლად ნახმარი ნაცვალსახელი გამოხატავს კონტრასტულობის ფო-

⁸ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მოცემულის ხშირი გამეორება დამახასიათებელია ზეპირი მეტყველებისათვის, იგი განსაკუთრებით ნიშანდობლივია დიალექტური ტექსტებისა და ბავშვის მეტყველებისათვის [153]. ეს ზოგადი კანონზომიერება ქართულ მასალაზეც დასტურდება [47].

კუსს. (ამ უკანასკნელ ნიშანზე ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას).

3. ბევრ ენაში განსაზღვრულობა გამოიხატება არტიკლის, ჩვენებითი ნაცვალსახელის ან ზმნური შეხამების საშუალებით. ეს არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საგანი, რომელსაც ასახელებს მეტყველი, ცნობილია მსმენელისათვის, ხდება მეტყველისა და მსმენელის რეფერენტთა იდენტიფიკაცია. უმრავლეს შემთხვევაში განსაზღვრული და მოცემული და განუსაზღვრელი და ახალი ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ შესაძლებელია სხვაგვარი კომბინაციებიც. მაგ., უნიკალური რეფერენტები: მზე, მთვარე და სხვა ფრაზაში განსაზღვრული სახით გვევლინება, თუმცა მათ შეუძლიათ როგორც ძველი ისე ახალი ინფორმაციის გადმოცემა.

4. არსებობს თვალსაზრისი, რომ ქვემდებარის როლში გამოსული სახელის სტატუსი ოდენ სინტაქსურია, მაგრამ, ავტორის აზრით, ქვემდებარეს აქვს ფუნქციონალური დატვირთვა; ქვემდებარე შეიძლება არ იყოს არც კონტრასტულობის ცენტრი და არც ახალი ინფორმაციის მატარებელი. იგი არის წევრი, რომლის შესახებაც მეტყველი დამატებით ინფორმაციას იძლევა. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის მოქმედების შემსრულებელი წევრი.

5. ტოპიკები სხვადასხვაგვარად გადმოიცემიან ენებში. ინგლისურში ეს შინაარსი მკვეთრად არ არის გამოვლენილი; ძირითადად გამოიხატება კონტრასტულობის ცენტრის დასაწყის პოზიციაში გადაადგილებით.

6. სახელის რეფერენტი შეიძლება იყოს ინდივიდი, რომლის მიმართაც მეტყველი გამოხატავს თავის თვალსაზრისს ანუ ემპატიას. ემპატიის ფოკუსის სტატუსი ჩვეულებრივ ემთხვევა ქვემდებარისა და განსაზღვრულობის სტატუსს. წინადადებაში ინტონაციით შეიძლება გამოიხატოს მეტყველის დამოკიდებულება ემპატიის ცენტრის მიმართ; მაგ., ქართულში „პეტრემ დაიცვა დისერტაცია“ ნეიტრალური წინადადებაა, შდრ., „წარმოგიდგენიათ, პეტრემ დაიცვა დისერტაცია“ გამოხატულია ემპატია (გაკვირვება) პეტრეს მიმართ.

ყველა ზემოთ განხილული სტატუსი ქართულშიც გადმოიცემა სხვადასხვა საშუალებით. სახელდობრ, სიტყვათა რიგის ცვლას, მახვილს, ინტონაციას დიდი ფუნქციონალური დატვირთვა აქვს [89]. ქართულში განსაზღვრულობა — განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორია არ არის, მაგრამ ამ ფუნქციას ასრულებენ ნაცვალსახელები ერთი, რომელიღაც, ვიღაც... („იყო ერთი კაცი“...).

შედარებით ნათლადაა გამოკვეთილი ქართულში კონტრასტულობის გადმოცემის შესაძლებლობა. ქართულში, სადაც პირის ნიშანთა საშუალებით მითითებულია წინადადების ქვემდებარე და დამატებე-

ბი, ფორმალურად პირის ნაცვალსახელთა ხმარება ქარბია (განსაკუთრებით პირველსა და მეორე პირში) და უმრავლეს შემთხვევაში ისინი არც დასტურდება. დამოუკიდებლად ნახმარ ნაცვალსახელს უმთავრესად ეკისრება სხვა ფუნქცია, ერთ-ერთი ასეთი ფუნქციითაგანი არის კონტრასტულობის გადმოცემა, კონტრასტულობის ცენტრის გამოყოფა. ამას ადასტურებს დაკვირვება ახალი ქართულის გარკვეული მოცულობის ტექსტზე. მაგ., „დედაჩემი დაწვებოდა ხოლმე გორაკზე, მე გვერდით მოვუწვებოდი, ხანდახან ყურებს დააქცევტადა, მე შეეყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას“. (კონტრასტი: დედაჩემი — მე). შდრ., „პაწაწა ვარ. ობოლი, ბედმა დამიბრძოვა: ცუდ დროს დავობლდი; ტანზედ მაცვია... თეთრი ქათიბი. ჭერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია...“ (ვაჟა-ფშაველა). „მეც იგივე შომიზლო განგებამ, არც მე შემძლებია ყოველივე გამეწირა სიყვარულისათვის და ამიტომ მეც შენსავით დავისაჭე, უტა“ (კონტრასტი: მე — შენ) შდრ., „ვიწმლო ხარაჩოდან ჩამოვევარდე, ჩემო, ან მორიელებმა დამგესლონ ამ უბედურ სახლში, მაშინ ამ შავი კაბით მოდი, ეს დალალები დაიშალე... და ასე მიტირე, იცოდე“ (გამსახურდია).

როგორც ცნობილია ტექსტში ნაცვალსახელები ასრულებენ სხვა ფუნქციასაც, სახელდობრ, ისინი გადმოსცემენ ძველი ინფორმაციას. ქართულში პირის ნაცვალსახელთა ხმარება ამ ფუნქციასაც ითავსებს, მაგრამ ამ მიზნით უფრო ხშირად ზმნის ოდენ პიროვანი ფორმა გამოიყენება, განსაკუთრებით პირველსა და მეორე პირში. ეს ადვილი ასახსნელიცაა: პირველი და მეორე პირი მეტყველების პროცესში მონაწილე პირებია და მათი დაკონკრეტება მხოლოდ გარკვეული მიზანდასახულობით ხდება. მესამე პირში უფრო ხშირია პირის ნაცვალსახელის გამოყენება ოდენ ძველი ინფორმაციის გადმოსაცემად.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ქართულში ზმნურ ფორმაში პირველი და მეორე პირი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთდროულად სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნებით იმის შესაბამისად სახელი სუბიექტია თუ ობიექტი (თუ ინვერსიასთან არა გვაქვს საქმე). სუბიექტი, ჩვეულებრივ, ძველ ინფორმაციას გადმოსცემს ტექსტში და მისი წარმოდგენა ოდენ პიროვანი ფორმით საკმარისია, ობიექტი კი, როგორც ცნობილია, ახალი ინფორმაციის მატარებელია: საკმარისია თუ არა მისი წარმოდგენა ოდენ ზმნური ფორმით. ხომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში რაიმე სხვაობა წინადადების სტრუქტურაში (შედგენილობაში)? ზმნაში ობიექტური ნიშნების გამოვლენით რას ვაგსმის ხაზი, რისი აქტუალიზაცია ხდება? საკითხი დაისმის, რა თქმა უნდა, პირველი და მეორე პირის შიშარტ, მესამე პირთა კომბინაციებში სუბიექტური და ობიექტური

უღვლილებათა ნეიტრალიზაცია ხდება და ფრაზაში ზოგადი წესის თანახმად ობიექტის სიხშირე არსებითად ქარბობს სუბიექტის სიხშირეს.

სტატისტიკური დაკვირვება გვიჩვენებს, [11], რომ როდესაც ობიექტად პირველი და მეორე პირი გვევლინება, ხოლო სუბიექტად ასევე პირველი და მეორე პირია გამოყენებული ყველა დასაშვებ კომბინაციაში ერთმანეთს ხვდება ორი ტენდენცია: ერთი მხრივ, იშვიათად იხმარებოდეს სუბიექტი. მეორე მხრივ, იშვიათად გვხვდებოდეს პირველი და მეორე პირი. აქედან მაინც პირველი ტენდენცია უფრო ძლიერი ჩანს. მაშინაც კი, როდესაც ობიექტად პირველი პირი გვაქვს, ობიექტის სიხშირე ქარბობს სუბიექტის სიხშირეს (იგულისხმება ორპირიან გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტი და ორპირიანი გარდაუვალ და სამპირიან ზმნაში — ირიბი ობიექტი). პირდაპირი ობიექტი სამპირიან ზმნაში უმთავრესად ნივთის ობიექტია, პირველსა და მეორე პირში იშვიათად გვხვდება, ამიტომ რაიმე დასკვნის გამოტანა ქირს.

არსებითად იცვლება სურათი ასეთი კომბინაციის დროს: ობიექტი პირველი ან მეორე პირი, სუბიექტი — მესამე პირი: მკლავს, მხატავს; გკლავს, გხატავს. სუბიექტის სიხშირე მკვეთრად იზრდება. ობიექტი კი დადასტურებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას რაიმე დამატებითი ინფორმაციის, მაგ., იმავე კონტრასტულობის გადმოცემის ფუნქცია ეკისრება („მე ამიშენა სახლი კაცმა“. მე და არა სხვას).

ინვერსიულ ზმნებთან ანგარიში ეწევა რეალურ სუბიექტს და რეალურ ობიექტს. რეალური სუბიექტის სიხშირე ნაკლებია რეალური ობიექტის სიხშირეზე.

ამ გარემოების შესაძლო ახსნად ჩვენ კვლავ ასეთი ვარაუდი გვესახება: ობიექტი პირველსა და მეორე პირში სამეტყველო სიტუაციაში ცნობილია, ის გვევლინება თემის როლში, განსაკუთრებით მესამე პირთან კომბინაციაში, თემის გამოვლენა კი ნაკლები სიხშირით ხასიათდება. განსაკუთრებით იმ ენებში, სადაც ხერხდება მისი ასახვა ზმნაში. ამგვარად, ვიღებთ, რომ ქართულში ფრაზა (წინადადება) უფრო მგრანობიარეა თემა-რემის (ძველი და ახალი ინფორმაციის) გამოხატვის თვალსაზრისით, ხოლო ზმნა მეტყველების პროცესში მონაწილე პირებს უწევს მეტ ანგარიშს და ფაქტობრივად ათანაბრებს სუბიექტსა და ობიექტს ერთმანეთთან; ან, უფრო ზუსტად, ობიექტს ანიჭებს უპირატესობას. პირველსა და მეორე პირში ობიექტის ნიშანი, პრეფიქსულად გამოხატული, ყოველთვის დასტურდება.

შერწყმულ წინადადებას შუალედური ადგილი უჭირავს მარტივსა და რთულ წინადადებას შორის. ასეა იგი წარმოდგენილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. შერწყმულ წინადადებაში გამოიყოფა ერთ-ერთი ტიპი — ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება. ერთ ქვემდებარესთან გვაქვს რამდენიმე ერთგვაროვანი შემასმენელი. სწორედ ეს ტიპი ქმნის სირთულეს. რას ნიშნავს ერთგვაროვანი შემასმენელი და მართლა ერთგვაროვანია თუ არა შერწყმულ წინადადებაში შემაჯავალი შემასმენლები?

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნებისმიერი ენისათვის წინადადების ცენტრად მიჩნეულია ზმნა. ზმნა ასახელებს კონკრეტულ სიტუაციას, მოქმედებას, წარმოადგენს ცენტრს, რომლის ირგვლივაც განლაგებულნი არიან მოქმედი პირები, აქტანტები. რამდენი ზმნაცაა, იმდენია სიტუაცია, რამდენი ზმნაცაა, იმდენია წინადადება, თუმცა შესაძლებელია ზმნის ადგილები შევსებული არ იყოს მოქმედი პირებით, აქტანტებით.

ზმნა ქართულში წინადადების ცენტრად აღიარებული იყო 30-იან წლებში. „წინადადება არის ერთ-ერთი სახის შესიტყვება. მისი ბუნება და თვისება მთლიანად განსაზღვრულია სათანადო ენის შესიტყვებათა ბუნებითა და თვისებით. ქართულში წინადადება აგებულია ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციისა თუ მართვის საფუძველზე (კოორდინაციისაზე — რელატიურ-ზმნიან წინადადებაში, მართვისაზე — აბსოლუტურ-ზმნიანში)“ [44, გვ. 234]. ძირითადი კოორდინატი არის ზმნა. ზმნა არის წინადადება მინიატურაში. ზმნა განსაზღვრავს წევრთა რაოდენობას წინადადებაში. არსებითია ზმნასა და სახელს შორის სინტაქსური მიმართების ფორმა.

დაისმის კითხვა: ზმნის ასეთი წარმმართველი ფუნქციის გამო შეიძლება თუ არა ერთმანეთს გავუთანაბროთ სტრუქტურულად ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება და მაგ., ერთგვარგანსაზღვრებიანი (ან ერთგვარგარემოებიანი) შერწყმული წინადადება?

როგორ განიხილება სხვა ენათა ანალოგიური კონსტრუქცია?

რუსულ აკადემიურ გრამატიკაში კონსტრუქცია „ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელი“ განიხილება რთულ წინადადებად. ამას სათანადო დასაბუთება ახლავს.

1. არ არის არსებითად მიჩნეული ის გარემოება, რომ ქვემდებარე ერთია (სემენტიკურად ერთი და იგივე მოქმედი პირია). ზოგჯერ ერთია ქვემდებარე რთულ წინადადებაშიც (ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქართული ენის რთულ წინადადებაშიც, მაგ., „ბავშვმა გაკვეთილები ვერ მოამზადა იმიტომ, რომ კინოში წავიდა“).

„გამწარებულმა დედამ გზა დაუწყევლა სიტყვიერად, თუმცა გულში კი სხვას გრძნობდა (აკაკი).

„პეტრემ თუმცა ყურები აცქვიტა, ფეხის თითებზეც შედგა, მაგრამ შორს იყო და ვერა გაიგო რა“ (ილია)⁹.

ე. ი. „ერთგვაროვნების პრინციპი“ საკმარისი არ არის შერწყმული წინადადების იდენტიფიკაციისათვის.

